# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 22 ივნისი | № 25 (2753) | გამოცემის 58-ე წელი, 1990 | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავი

დავბადებულვარ მე 9 ივნისს,

განთიადისას, 1840-ში...

აკაკ



## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას.
## საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ჭითანავას.
## საქართველოს სახალხო განათლების მინისტრს ბატონ გურამ ენუქიძეს

ბატონებო!

დარწმუნებული ვარ: სათხოვარს, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ, მთელი საქართველო დაუჭერს მხარს! —

საქმე ეხება ახალი უნივერსიტეტის გახსნას!

არადა, კაცმა რომ თქვას, ჯერ იმის სიხარულიც არ გაგვნელებია, აგერ ახლახანს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტად რომ ჩამოყალიბდა!

მადლობა ყველას, ვინც ეს ეროვნული საქმე მოიფიქრა და თავი დაადგა!

მაგრამ ნათქვამია, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო!

ამიტომ პირდაპირ ვიტყვი:

თუ არ მეჩვენება, როგორც ადუღებულ რძეს ცეცხლზე შემოდგმულს ველარ გააჩერებ, თითქმის ასევე აუცილებელი ჩანს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე კიდევ ერთი ქართული უნივერსიტეტის გახსნა!

არ ვაჭარბებ, საამისოდ საქართველოს მეორე ქალაქს, მეტნაკლებად, ყველა პირობა გააჩნია: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესორ-მასწავლებელთა კორპუსი, სტუდენტთა ფართო კონტინგენტი!

და, რაც ყველაზე მთავარია, მშვენიერ ქუთაისს საგანმანათლებლო ცენტრად გადაქცევის დიდი ტრადიცია იქიდან „სისხლით“ მოდგამს! — მარტო გელათის აკადემიის გახსენება რად ღირს!

ახე რომ, ბატონებო, აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის მშობლიურ ქალაქს, — თანაც აკაკის საიუბილეო 150-ე წლისთავზე! — ქართული უნივერსიტეტი ნამდვილად დაშვენდება!

სხვათა შორის, ეს იდეა ახალი არ არის!

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამფუძნებლებს მსგავსი აზრი თავშივე ჰქონდათ ნაგულისხმევი! —

მაგალითად, 1933 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტისადმი გამოგზავნილ მისალოც დეპეშაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, პროფ. ლ. აღნიაშვილი იმთავითვე გამოთქვამდა სურვილს, „ამ ინსტიტუტის საფუძველზე მომავალში წარმოიშვას მეორე უნივერსიტეტი საქართველოში“.

სულ ცოტა ხნის შემდეგ აკად. კორნელი კეკელიძე წერდა: „მხოლოდ სამი წლის ისტორია აქვს ამ ინსტიტუტს — მიუხედავად ამისა, ის უკვე იმდენად მომაგრდა, რომ თამამად შეიძლება ჩვენში ის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტად ჩაითვალოს...“

ბატონებო! კაცთანაც და ღმერთთანაც მართალნი რომ ვიყოთ, რასაც ღვთივკურთხეული კორნელი კეკელიძე „მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტად“ მიიჩნევდა, მოდით, თქვენ ეს სრულიად ოფიციალურად, სახელმწიფო ბეჭდით დაადასტურეთ!

მეტსაც გეტყვით!

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტად რომ ჩამოყალიბებულიყო, ამ იდეის ხორცშესხმას გულმხურვალედ უჭერდა მხარს საბჭოთა კავშირის მაშინდელი (ორმოციანი წლების მეორე ნახევარი!) უმაღლესი განათლების მინისტრი ს. ვ. კაფთანოვი!

სამწუხაროდ, მე არ ვიცი, ეს კაცი ცოცხალია თუ არა დღეს, ოღონდ იმას კი შეუმცდარად ვგრძნობ, ამ საქმეში კაფთანოვმა ქართველებს ვერ უნდა გვაჯობოს!

ნება მომეცით, გაგახსენოთ, როგორი დიდებული მამულიშვილები მოღვაწეობდნენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კედლებში! —

ვიქტორ ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, მოსე გოგიბერიძე, სარგის კაკაბაძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე...

თანაც ეს ბრწყინვალე თანავარსკვლავედი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორთა შედარებით უფროსი თაობა, ინსტიტუტში ლექციებს სამუშსამუშ კი არ კითხულობდა, მათი დიდი უმრავლესობა აქ წლების განმავლობაში განაგებდა კათედრებს!

აქვე მოღვაწეობდნენ ასევე დიდებული „ახალგაზრდა“ სწავლულებიც!

ალექსანდრე ბარამიძე, კოტე ბაქრაძე, ნიკო ბერძენიშვილი, ანზია ბოჭორიშვილი, ლევან გოკიელი, ვარლამ თოფურია, ალექსანდრე ფრანგიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, შოთა ძიძიგური, ვიქტორ ძოწენიძე, ვიქტორ ჯიბლაძე...

ამ სიებში მოხვედრილ ცოცხალ მეცნიერებს ღმერთმა დიდი დღე მისცეთ, ხოლო ჩვენი ძვირფასი მკვდრებისთვის ამქვეყნად იმაზე უკეთეს მოსახსენებელს ვერაფერს მოვიფიქრებთ, ვიდრე მათი საყვარელი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთებაა!

ამ კეთილი და სამართლიანი საქმისთვის თქვენს გარჯას, ბატონებო, ქართველი ხალხი ისე მიითვლის, თითქოს თითო დაგვიანებული ყვავილი მიგვეტანოთ ჩვენთვის ამ ძვირფასი მიცვალებულების საფლავზე!..

„ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა!..“

დარწმუნებული ვარ! — როგორ გაგახარებდათ ამ მშვენიერი სტრიქონების ახლა აქ ხსენება!

ეს რომ ლადო ასათიანის ხმაა, რასაკვირველია, ჩემგან არ გესწავლებათ! — მე მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ამ ღვთაებრივი სტრიქონების ავტორს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული!

მის ხსოვნასთანაც მართალნი რომ ვ[illegible]ოთ, ჩვენი [illegible] სურვილი საქმედ უნდა ვაქციოთ — „ვაჩუქ[illegible] ქუთაისს უნივერსიტეტი!

ეს კი იუბილარ, სამიათასხუთასწლოვან ქალაქს ისე დაამშვენებდა, როგორც ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოს თავისუფლება!

ქართველ კაცს უთქვამს:

„თავისუფლების შწოვნელი მხოლოდ და მხოლოდ თოფია...“ ან უნივერსიტეტიო!

ამ პატარა „ეშმაკობას“ ნუ მიწყენთ, საქმისთვის მჭირდებოდა და ამ „ტექსტში“ უნივერსიტეტი მე ჩავამატე!

რა მექნა! თოფის თავი ჩვენ ახლა ნამდვილად არა გვაქვს, ამიტომ უნივერსიტეტი ვარჩიე!

ბატონებო! ამით ვამთავრებ თქვენდამი ჩემს მომართვას და ვიტოვებ იმედს, სასიქადულოდ აკაკის სავარდე და სამაისო ქუთაისში „ახალი“ უნივერსიტეტის გახსნაზე კვლავ შევხვდებოდეთ ერთმანეთს!..

ჩემი იქ ჩამოსვლა აუცილებელია, მადლობა „ადგილზე“ რომ მოგახსენოთ!

პატივისცემით თამაზ წივწივაძე

18.06.90 წ.

# როცა ბუნება საფრთხეშია

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი **შოთა ჟალაბანიძე.**

●

— ბატონო შოთა! დიდი ხანია არ გამოსულხართ ჩვენი გაზეთის მკითხველების წინაშე. ამ ხნის განმავლობაში მრავალი საკითხი დაგროვდა ჩვენი ბუნების, ტყისა და გარემოს სამსახურის საქმეში, ბევრ კითხვაზე აინტერესებთ მათ თქვენი, როგორც ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის კომპეტენტური აზრი.

— პირველ რიგში მინდა მადლობა გადაგიხადოთ შემოთავაზებული საშუალებისათვის, გაზეთის მკითხველებს გავაცნობ ჩვენი საქმიანობის საერთო მდგომარეობას. მართლაც, ბევრი რამ საინტერესო იქნება მათთვის. მართალია ბუნების შესახებ სტატიების სიმცირეზე საყვედური არ ითქმის, ბევრი საინტერესო საკითხი შუქდება, მათში მონაწილეობენ ჩვენი წამყვანი მეცნიერები, სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწეები და სხვ. ხშირად ცალმხრივ, ნაკლებად კვალიფიციურ გამოსვლებსაც აქვს ადგილი. პირველი — უდაოდ დადებითად მოქმედებს ჩვენს საერთო საქმიანობაზე. მეორეს — გარდა ზიანისა არაფერი მოაქვს.

— როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილებით მუშავდება საკითხი რესპუბლიკაში გარემოს დაცვის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ. რით არის გამოწვეული ცვლილებათა აუცილებლობა და რა სიკეთეს მოუტანს იგი ჩვენს ბუნებას?

— როგორც ცნობილია, 1988 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის ახალი გენერალური სქემის შესაბამისად, რესპუბლიკაში გაუქმდა ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და სატყეო მეურნეობის სამინისტრო და შეიქმნა საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის გაერთიანებული სახელმწიფო კომიტეტი, რაც, ჩვენის აზრით, არასწორი იყო და იგი ცხოვრებამაც დაადასტურა. აღნიშნულის შედეგად ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატი (ასე ვთქვათ „დარგის შტაბი“) შემცირდა 62 პროცენტით, ხოლო ქვედანაყოფები — 80 პროცენტით. 44-ის ნაცვლად ახლა მხოლოდ 14 რაიონსა და ქალაქში გვაქვს შესაბამისი სამსახურები და სხვ. ასე რომ, გაძლიერების ნაცვლად ორგანიზაციულად საგრძნობლად დასუსტდა კომიტეტი, მოთხოვნები კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალმხრივ გაიზარდა. მეტად სუსტია კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზა. ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ — მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ექსტენსიურმა განვითარებამ, ურბანიზაციის უმართავმა პროცესებმა, ბუნების დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვის, დაფინანსებისა და რეალიზაციისადმი უწყებრივმა მიდგომამ, გარემოს მდგომარეობისა და მისი დინამიკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის უკმარისობამ, ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის უქონლობამ, რესპუბლიკაში ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში სერიოზული პრობლემები წარმოშვა.

როგორც აღვნიშნეთ, ყოველივე ეს, კომიტეტის სუსტ მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ ბაზასთან ერთად მისი არასრულყოფილი ორგანიზაციული სტრუქტურისა და არასათანადო სტატუსის შედეგიცაა, რასაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა რესპუბლიკაში.

სწორედ ამიტომაც დადგა რესპუბლიკაში გარემოს დაცვის სამსახურის რეორგანიზაციის აუცილებლობა, მისი გაძლიერება დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად, რაც მეტად მისასალმებელია, ვინაიდან იგი კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ყოველივე ზემოღნიშნულზე.

— საქართველოში, რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთ პირველთაგანში, შეიქმნა ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი. ალბათ საქმიანობის გარკვეულ ტრადიციებსაც ჩაეყარა საფუძველი თავის დადებით თუ უარყოფით მხარეებთან ერთად...

— ეს გასაგებიცაა. ასეთ ურთულეს, მე ვიტყოდი მრავალწახნაგოვან საქმიანობაში მიღწევებთან ერთად ბევრი იქნება გადაუწყვეტელი საკითხები, კონფლიქტური სიტუაციები, ნაკლოვანებები და სხვ., რასაც, რა თქმა უნდა, აქვთ თავისი მიზეზებიც, ხშირად ობიექტურიც, ხშირად სუბიექტურიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა სიზარმაცის ან უპასუხისმგებლობის გამო. კომიტეტს არც მაშინ და მით უმეტეს არც ეხლა არ გააჩნია საქმიანობის რეალური პირობები, ხოლო მარტო ემოციებით, ლაპარაკით, პატრიოტობის ურთიერთმტკიცებით ამ საქმეში წინ ვერ წავალთ.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი 1975 წლიდან არსებობდა, მაგრამ მას, როგორც სხვა რესპუბლიკებისას, მხოლოდ კონტროლის ფუნქციები ეკისრებოდა. სამწუხაროდ დღესაც იგივე გრძელდება. როგორც გამოცდილებამ დაადასტურა, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის პრობლემების მოგვარება მარტოოდენ კონტროლით თითქმის შეუძლებელია. ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, ბუნებათსარგებლობითი თუ ბუნებათდაცვითი საქმიანობა ორგანულად ურთიერთშეკავშირებული პროცესებია. ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია ეკოლოგიური პრობლემების მოუგვარებლად, და პირიქით, სწორედ ამიტომ, პრობლემის აღსაქმელად და მისი კონსტრუქციული გადაწყვეტისათვის აუცილებელია (სისტემატური ანალიზის საფუძველზე) მეცნიერულად დასაბუთებული ეკოლოგიური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედება არა მარტო რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარების პერსპექტიულ კონცეფციებს, არამედ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობასაც.

სხვა მიზეზებთან ერთად ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის პრეროგატივაში მხოლოდ კონტროლის ფუნქციებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ როგორც რესპუბლიკა, ასევე მთელი ჩვენი ქვეყანა დღესდღეობით 25-30 წლით მაინც ჩამორჩება საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების პრაქტიკას ბუნების დაცვის საკითხებში.

ცხადია, ზემოაღნიშნულის გამო გაერთიანებული სახელმწიფო კომიტეტი ვერ მიიღებდა „მდიდარ მემკვიდრეობას“, ყოველ შემთხვევაში ისეთს, როგორიც ესაჭიროება დღევანდელობას. უფრო მეტიც. რომ არაფერი ვთქვათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, სადღეისოდ რესპუბლიკაში (ბუნების დაცვის სამსახურში) გაცილებით ნაკლებია მუშაკთა რაოდენობა, ვიდრე საზღვარგარეთის ბევრ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც შექმნილია სხვადასხვა სახის ეკოლოგიური ფონდები და გარემოს კონტროლისათვის გამოიყენება ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილი სტაციონალური თუ გადასაადგილებელი დაკვირვების პუნქტები. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, რესპუბლიკას არ გააჩნია და, ალბათ, არც ახლო მომავალში ექნება.

— რა არის საჭირო აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად. როგორ მიგაჩნიათ თქვენ, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ მიმართულებით?

— როგორც აღინიშნა, ბუნების დაცვის პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ ენთუზიაზმით, სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებში მყოფი თითო-ოროლა კაცით შეუძლებელია. საამისოდ საჭიროა კომიტეტთანვე შეიქმნას მძლავრი საბაზო სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც არა მარტო კოორდინაციას გაუწევს რესპუბლიკაში სათანადო სამეცნიერო თუ საპროექტო სამუშაოებს, არამედ თვითონვე იქნება ფლაგმანი ჩვენი ეროვნული ეკოლოგიური პრობლემების წარმართვასა და გადაჭრაში. აქ უნდა იყოს თავმოყრილი ყოველგვარი ინფორმაცია, დაკავშირებული ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის საკითხებთან, როგორც გლობალური, ასევე რესპუბლიკის მასშტაბით. მან უნდა შეიმუშაოს გეგმაზომიერი, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი, რომლებიც სასურველ საზღვრებში მაინც შეინარჩუნებენ ბალანსს საზოგადოებასა და ბუნებას შორის.

გარდა ამისა, რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს სათანადო ეკონომიკური სახსრებიც, რათა ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დამცავი ღონისძიებათა კომპლექსი განხორციელდეს რესპუბლიკის სპეციფიკის, ისტორიული, ეროვნული, დემოგრაფიული განვითარების თავისებურებებისა და სხვათა გათვალისწინებით. ამ პრობლემათა გადაჭრა შეუძლებელი იქნება ბუნებათსარგებლობისათვის არსებული საგადასახადო პოლიტიკის შეცვლის გარეშე. საჭიროა ბუნებრივი რესურსები ფასიანი გახდეს. ბუნებრივ რესურსებზე გადასახადის დაწესება მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, რესურსების ბუნებრივ პროდუქტიულობაში არსებულ განსხვავებათა გამო წარმოქმნილ დიფერენციული რენტის ამოღებას, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრივ რესურსების აღდგენის უზრუნველყოფას. აღნიშნული გადასახადი თითქმის მთლიანად უნდა გადაეცეს რესპუბლიკურ ბიუჯეტს რეგიონის ბუნებრივი რესურსების აღსადგენად. ამოღებული თანხა აუცილებელია არა მხოლოდ ნაკლებპროდუქტიული რესურსებით სარგებლობის ინტენსიფიკაციისათვის, არამედ იმ რესურსების შესაძენადაც, რომლებიც მოცემულ რეგიონში არ მოიპოვება და მხოლოდ სარესპუბლიკათაშორისო კავშირების საშუალებითაა შესაძლებელი. საჭიროა დაჩქარდეს რესპუბლიკის ეკოლოგიური ფონდის ჩამოყალიბება, რომელიც შეივსება ბუნების დაცვის კანონის დარღვევისათვის ჯარიმებით, გარემოს გაჭუჭყიანებისა და ბუნებრივი რესურსების ზენორმატიული გამოყენებისათვის გადასახადებისა და სხვათა ხარჯზე. ამ მხრივ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე რესპუბლიკის ყველა წარმოება-დაწესებულებამ, სამინისტრომ და უწყებამ ამ ფონდში ყოველწლიურად შეიტანოს წინასწარ განსაზღვრული თანხა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, სათანადო ლიმიტებით და სხვა. ამ სახსრების კონცენტრაცია საშუალებას მოგვცემს გონივრულად და მიზანმიმართულად გავუნაწილოთ იგი შესაბამის ორგანიზაციებს ბუნებათდაცვითი მიზნობრივი ღონისძიებების განსახორციელებლად. ამით ხომ ბევრად გაადვილდება ამ თანხების ათვისების კონტროლიც.

რესპუბლიკაში გარემოს დაცვის საქმის გაძლიერებისათვის, შესაბამისი სამსახურის სტატუსის ამაღლებისა და მნიშვნელობის გაზრდისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის რეორგანიზაცია და გარემოს დაცვის დამოუკიდებელი, რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დაქვემდებარებული სახელმწიფო კომიტეტის შექმნა, რომელიც რესპუბლიკის მოსახლეობისა და მისი მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა საზღვრავდეს და წარმართავდეს ამ დარგში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, მოქმედების მთავარ მიმართულებებს, წყვეტდეს პრინციპული მნიშვნელობის საკითხებს. კომიტეტმა ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა უნდა შეცვალოს მავნე ეკოლოგიური მოვლენების მიზეზთა წინააღმდეგ ბრძოლით.

მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების ამგვარ ორგანოს უნდა გააჩნდეს შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

1. უნდა შეეძლოს განსაზღვროს და გაატაროს რესპუბლიკაში გარემოს დაცვის ერთიანი პოლიტიკა.
2. განახორციელოს საწარმოო ობიექტების, პროექტების, გეგმების, სქემების, პროგრამების ღრმა, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა.
3. განახორციელოს გარემოს დაცვის დარგში მკაცრი სახელმწიფო კონტროლი.

ეკოლოგიური მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესების მიზნით კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სათანადო შეზღუდვების შემოღება. ამ მიზნით მან უნდა დაამუშაოს ბუნების დაცვის კომპლექსური სქემები და მოახდინოს რესპუბლიკის ტერიტორიის ეკოლოგიური დარაიონება; დაადგინოს ამა თუ იმ რეგიონსა და ზონაში გარემოს მდგომარეობის მახასიათებელი ძირითადი პარამეტრები; შეიმუშაოს ბუნებისდაცვითი პროგრამები და გეგმები, დააწესოს კონტროლი მათ რეალიზაციაზე; სრულყოს რაციონალური ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმი; განსაზღვროს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადთა დიფერენცირებული სისტემა; შეიმუშაოს სათანადო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები; განსაზღვროს ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისათვის გასატარებელი სანქციათა სახეები.

აღნიშნულ სამუშაოთა სრულყოფილად წარმოებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომიტეტის აპარატში შეიქმნას ეკონომიკისა და საკანონმდებლო სამმართველოები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საკითხებს, რომლის მთავარი ამოცანაა არ დაუშვას გარემოს თვისობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუარესება და უზრუნველყოს რესპუბლიკის ნებისმიერ რეგიონში მხოლოდ ისეთი ობიექტის არსებობა, რომლის ფუნქციონირებაც მთლიანად შეესატყვისება ნორმატიულად განსაზღვრულ ადგილობრივ ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

აუცილებელია კომიტეტთან შეიქმნას სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის რესპუბლიკური ცენტრი, რომელიც უნდა ფუნქციონირებდეს, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია, მისი თანამშრომლებისა და ხელშეკრულებით მოწვეულ ექსპერტ-სპეციალისტთა შრომის ანაზღაურება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე, რათა მთლიანად გამოირიცხოს ექსპერტიზის მომწყობი ორგანიზაციისა და მოწვეულ ექსპერტ-სპეციალისტთა რაიმე არასწორი ფინანსური ურთიერთობა დამკვეთ და საპროექტო ორგანიზაციებთან. გარკვეულწილად ექსპერტიზასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები შეიძლება აგრეთვე დაიფაროს გარემოს დაცვის კომიტეტთან შექმნილი ბუნების დაცვის ფონდიდანაც.

რესპუბლიკაში ბუნების დაცვის საკანონმდებლო ნორმების შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლი უნდა აწარმოოს სპეციალურმა საინსპექციო-საკონტროლო სამსახურმა, რომელმაც უნდა შეაჩეროს ამ ნორმების დამრღვევი ნებისმიერი სახალხო-სამეურნეო ობიექტის მოღვაწეობა. ინსპექცია მოვალეა ნებისმიერი დამრღვევი იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიმართ, მათ მიერ გარემოსადმი მიყენებული ზიანის საშიშროებისა და მასშტაბის მიხედვით, აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ან გაატაროს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ადმინისტრაციული სანქციები.

ამ საქმიანობის სათანადო დონეზე წარმართვისათვის მიზანშეწონილია კომიტეტის სისტემაში შეიქმნას სახელმწიფო ეკოლოგიური საინსპექციო დამოუკიდებელი სამსახური.

რესპუბლიკაში შექმნილი არახელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაშიც მდგომარეობს, რომ მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა (სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნა „ბუნების დაცვის“ საგნის სწავლება, უმაღლეს სასწავლებლებში გაიხსნა შესაბამისი კათედრები და სხვა), დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ამ დარგში მომზადების ერთიანი, გეგმაზომიერი და მიზანდასახული სისტემა. ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობა სპეციალისტ-ეკოლოგთა ნაკლებობა, დაბალია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა პროფილის წარმომადგენელთა ბუნების დაცვის სფეროში მომზადების დონე.

ვფიქრობთ, რომ მალე დღის წესრიგში უნდა დადგეს საკითხი რესპუბლიკის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ბუნების დაცვის ფაკულტეტის გახსნის შესახებ.

უკანასკნელ ხანს ეკოლოგიურმა მოძრაობამ საქართველოში ფართო მასშტაბი მიიღო. ბუნების დაცვის საკითხებში აქტიურად ჩაება ახალგაზრდობა, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, პრესა, რადიო, ტელევიზია, შექმნილ ვითარებაში აუცილებელია მკვეთრად გაუმჯობესდეს და გააქტიურდეს გარემოს დაცვის დარგში საგანმანათლებლო და საინფორმაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, მნიშვნელოვნად გაძლიერდეს გარემოს დაცვითი სამსახურების ურთიერთკავშირი სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა მოძრაობებთან, მასობრივი ინფორმაციის ორგანოებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტის აპარატში შეიქმნას მეცნიერების, ეკოლოგიური განათლებისა და ინფორმაციის მთავარი სამმართველო, ხოლო კომიტეტთან დაარსდეს პრეს-ცენტრი და ყოველკვირეული მრავალტირაჟიანი გაზეთი — „ეკოლოგია“.

დაკისრებული ფუნქციების სათანადო დონეზე წარმართვის უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია კომიტეტის აპარატში, როგორც ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფები, შეიქმნას: გარემოს დაცვის საქმიანობის ორგანიზაციის, პროექტებისა და ობიექტების შეთანხმების, განსაკუთრებული ტერიტორიების, ობიექტების და ლანდშაფტების, ნარჩენების უტილიზაციის კონტროლის, მავნე ბუნებრივი მოვლენების საწინააღმდეგო ზომების კონტროლის, უწყებრივი ბუნებისდაცვითი სამსახურების კოორდინაციის, გარემოს დაცვის კომპლექსური ანალიზის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებები.

საქართველოს სსრ გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტს დაექვემდებაროს აფხაზეთისა და აჭარის გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის გარემოს დაცვის საოლქო კომიტეტი, გარემოს დაცვის რაიონული და საქალაქო კომიტეტები.

უდავოა, აქ განხილული ყველა ძირითადი ფუნქციის სრულყოფილად განხორციელება ძალუძს მხოლოდ მმართველობითი ორგანოების ნებასურვილისა და უწყებრივი ინტერესებისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი დაქვემდებარებულ, ყველანაირი „ვეტოს“ უფლებით აღჭურვილ, ორგანიზაციულად სრულყოფილ, მტკიცე მეცნიერული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

— და ბოლოს, კომიტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით თუ შეიძლება მოკლედ გვითხრათ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მართვის ორგანიზაციულ სქემის შესახებ.

— საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით და საქართველოს ტყეების უაღრესად დიდი ეროვნული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღდგენილი იქნეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის გაერთიანებული სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით. მაგრამ მე ამაზე აღარ შევჩერდები, ვინაიდან იგი ცალკე განხილვის თემაა.

**გურამ ფანჯიკიძე**

# რამდენიმე განმარტება

„ლიტერატურული საქართველოს“ 8 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ზვიად გამსახურდიას ვრცელი წერილი „საქართველოს ყოფნა-არყოფნა“, სადაც დასაწყისშივე ვკითხულობთ:

„წლების მანძილზე საქართველოს ოფიციალური პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა წერილები შვილოსნობის, ერის გამრავლების პრობლემებზე. მათ შორის მსურს, გამოვყო გაზეთ „კომუნისტის“ 1982 წლის 27 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „საქართველოს უკვდავება“ (გ. ფანჯიკიძე), „ლიტერატურული საქართველოს“ 1983 წლის 28 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული „იქმენინ მრავალძეობა“ (ლ. სანიკიძე) და დისკუსია „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (1985 წ. 7 ივნისი).

ავტორები ცდილობენ გვესაუბრონ ჩვენი ძირითადი ეროვნული უბედურების — ქართული მოსახლეობის კლების გამომწვევ მიზეზებზე, მაგრამ ცენზურის მიერ დაჩეხილი მათი წერილები და გამოსვლები იოტისოდენადაც ვერ ჰფენენ ნათელს საქმის რეალურ ვითარებას. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ მათ წერილებში შეიმჩნევა ტენდენცია საქართველოს დემოგრაფიული სურათის შეცვლის ძირეული მიზეზების იგნორირებისა და მეორადი მიზეზების წინა პლანზე წამოწევისა, ამიტომაც გადავწყვიტე, შევახსენო მათაც და მკითხველ საზოგადოებასაც, ზოგიერთი ჭეშმარიტება.

სიმართლე ფერ-უმარილს არ საჭიროებს და ამიტომ, თავიდანვე საქმეზე ვისაუბრებ. რამ განაპირობა ესოდენ კატასტროფული მდგომარეობა ჩვენი ერისა დღეს, ცივილიზებულ ეპოქაში, მეოცე საუკუნეში, მაშინ, როდესაც სხვები ეროვნულ-კულტურული და დემოგრაფიული აღორძინების გზაზე დგანან? ნუთუ ჩვენი ერის დაკნინების, შობადობის ესოდენ საგანგაშოდ შემცირების მიზეზები მარტოოდენ მეშჩანობასა და ჰამასხმის კულტში უნდა ვეძებოთ, როგორც ამას აცხადებს „საქართველოს უკვდავების“ ავტორი (გ. ფანჯიკიძე) ან მხოლოდ „აბორტმახერების“ დაუსჯელობაში, როგორც ამას სთვლის „იქმენინ მრავალძეობის“ ავტორი (ლ. სანიკიძე)? ნუთუ ის „ობივატელური“ სენი, რომელმაც თურმე ესოდენ დაგვრია ხელი, სხვა ერებს არ სჭირთ? რაღა ჩვენ მოგვითავა ხელი ამ სენმა? რაღა ჩვენ გაგვაპარტახა? მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ მეშჩანობა, ობივატელობა, შედეგია და არა მიზეზი. „საქართველოს უკვდავების“ ავტორს კი შედეგები და მიზეზები ურთიერთში აღურევია და ამტკიცებს: ბრილიანტებზე და ავეჯზე მონადირე ხალხი, აბა, როგორ გაამრავლებსო ერს! ოღონდაც, შეგნების გადაგვარება, საერთოდ ყოველგვარი გადაგვარების წყაროა. მაგრამ, რამ გადააგვარა ჩვენში ეროვნული შეგნება? რამ აუცრა ქართველ კაცს გული ეროვნულ და მოქალაქეობრივ იდეალებზე? მოდით, ვეძებოთ რეალური მიზეზები და მერმე ვისაუბროთ შედეგებზე და მათი დაძლევის შესაძლებლობებზე“..

გულწრფელად რომ გითხრათ, თავდაპირველად გამიკვირდა კიდეც, რამ გაახსენა ბატონ ზვიადს ჩემი ზუსტად რვა წლის წინათ დაწერილი წერილი. თანაც, მოტანილ ციტატაში, და, საერთოდ, წერილში, იმდენი ბრალდებაა ჩემს მიმართ წამოყენებული, რომ იძულებული ვარ, რამდენიმე განმარტება გავაკეთო.

ჯერ ერთი, წერილი დაიწერა რვა წლის წინათ. ვფიქრობ, მკითხველი დამეთანხმება, რომ წერილი სწორედ იმ წლის, იმ დროის სიტუაციის გათვალისწინებით უნდა შევაფასოთ, რა დღესაც იგი დაიწერა. თან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ წერილი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა და არა, ვთქვათ, „ცისკარში“, სადაც შეიძლებოდა უფრო შეუზღუდავად გამომეთქვა საკუთარი მოსაზრებები. სავსებით მართალი ბრძანდება ბატონი ზვიადი, როცა ითვალისწინებს ცენზურის როლს. მაგრამ კარგი იქნებოდა იმის გახსენებაც, რომ იმ პერიოდში თითქმის არ მსჯელობდნენ ასეთ საკითხებზე. (სხვათა შორის, ეკოლოგიის საკითხებზეც პირველმა მე დავწერე საქართველოში ვრცელი წერილი 20 წლის წინათ — „რა ელის ჩვენს პლანეტას“. მას მოჰყვა წერილების სერია „მიწა, ჩვენი მარჩენალი“, „სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია — რას გვიქადის იგი?“ „იცით, კი, რა არის პატრიოტიზმი“, „ბათუმს ქათქათას“ და სხვ.).

მაშინ, იმდენად შორეული ეჩვენებოდათ ეკოლოგიური პრობლემები, რომ ერთმა ცნობილმა კრიტიკოსმა მისაყვედურა, შეეშვი შორეულ მომავალს, სჯობს, დღევანდელ პრობლემებს მიხედოო. დღეს გაზეთს ვერ გადაშლი, ეკოლოგიის საკითხებზე ერთი წერილი მაინც რომ არ იყოს გამოქვეყნებული. დიდი ხნის წინ დაყენებული პრობლემები ისე შუქდება ხელახლა, თითქოს მხოლოდ დღეს წამოჭრილიყოს.

კიდევ უფრო ადრე, გაცილებით უარესი სიტუაცია იყო საქართველოში. ერთხელ, მახსოვს, ჟურნალ „დროშისათვის“ ინტერვიუ ჩამოვართვი ჩვენს სახელგანთქმულ მეცნიერს, იოსებ ჟორდანიას. მან ვერც კი გაბედა ეთქვა, რა სავალალო დღეში იყო ქართველთა გამრავლების საკითხი და მითხრა, მე მხოლოდ იმ რაიონებს დაგისახელებთ, სადაც კატასტროფულად გვაქვს გამრავლების საქმე, შემდეგ კი იმ რაიონებს, სადაც მაღალია შობადობის მაჩვენებელი. მკითხველმა კი დასკვნა თვითონ გამოიტანოს, ვინ მრავლდებიან საქართველოში, ქართველები, აზერბაიჯანელები თუ სომხებიო.

ერთი სიტყვით, ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება.

მეორე: მთავარია, სწორად განვსაზღვროთ, რა მიზნითაა დაწერილი სტატია, ამ შემთხვევაში, ჩემი წერილი „საქართველოს უკვდავება“. მოვიტან ერთ ციტატას ამ წერილიდან: „შობადობის მხრივ ქართველი ერი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა საბჭოთა კავშირში. ამ სავალალო მოვლენას ბევრი მიზეზი აქვს (ხაზი ჩემია. — გ. ფ.), საგაზეთო სტატიაში ყველას ვერ ჩამოვთვლი, არც არის საჭირო, მხოლოდ ორ უმთავრეს ტენდენციას გამოვყოფთ, ორ დამაფიქრებელ და დამაღონებელ ტენდენციას“.

მე მგონი, მოტანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ჩემი მიზანი არ ყოფილა, ჩამომეთვალა საქართველოში დემოგრაფიული მონაცემების დაქვეითების გამომწვევი ყველა მიზეზი. არც ცალკეული რაიონების დემოგრაფიული სურათის ანალიზი დამისახავს ამოცანად. ჩემი წერილის მიზანი იყო ქართველი ხალხისათვის, ახალგაზრდობისათვის დამენახვებინა, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და ტურიზმის პერიოდში რა საფრთხე ელის ქართველ ერს, თუ მომავალში შობადობა არ გაიზარდა.

თანაც, განსაკუთრებით მინდოდა შევბრძოლებოდი ჩვენს საზოგადოებაში გამეფებულ მოშვებულობას, კომფორტითა და უზრუნველი ცხოვრებით გატაცებას. სამწუხაროდ და სავალალოდ, გამრავლების საკითხებზე ყველაზე ნაკლებად სწორედ ის ოჯახები ფიქრობენ, რომლებსაც ბინაც კარგი აქვთ და შემოსავალიც (გამონაკლისს არ ვგულისხმობ).

ვფიქრობ, წერილმა მაშინ გამოიწვია გარკვეული ინტერესი, ამას მოწმობს ალბათ ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას მეხსიერებასაც შემორჩა იგი. მის მიერ წამოყენებულ ბრალდებათა შორის, პირველ რიგში ერთ ყოვლად უსამართლო ბრალდებას გამოვყოფ: „საქართველოს „უკვდავების“ ავტორს კი შედეგები და მიზეზები ერთმანეთში აღურევია“ — წერს ბატონი ზვიადი.

სხვათა შორის მოსაზრება, რომ ჩვენ შედეგებს ვებრძვით და არა მიზეზებს, თუ არ ვცდები, პირველმა მე გამოვთქვი ჩემს რომანში 1969 წელს, ე. ი. ოცდაერთი წლის წინათ. მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვცდილობდი, მებრძოლა არა შედეგების, არამედ სწორედ მიზეზების წინააღმდეგ- ამიტომაც იყო, რომ არა ერთი და ორი უსიამოვნება შემხვედრია ჩემი წერილების გამო. თავს ნებას მივცემ, ქვემოთ მკითხველს ერთი ციტატა შევთავაზო:

„ახლა ყველაფერს სტალინს ვაბრალებთ. ჩვენში ლამის ისიც კი დავაბრალოთ, თბილისის „დინამო“ რომ კარგად ვერ თამაშობს.

სტალინის სიკვდილიდან 35 წელიწადი გავიდა. გავიხსენოთ, რა დღეში იყო გერმანია ომის შემდეგ. ისიც გავიხსენოთ, იაპონია იყო ერთადერთი ქვეყანა, ატომური დაბომბვა რომ იწვნია, შეიძლება დღეს ჩვენი მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის განვითარების დონე ამ ქვეყნების დონეს შევადაროთ?

მოკვდა სტალინი. მას ბერიაც მივაყოლეთ. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, თუ ყველაფერი მათი ბრალი იყო, რას ვაკეთებდით 35 წლის მანძილზე?

აი, სადაა ძაღლის თავი დამარხული. ჩვენ ვებრძვით სტალინს და ბერიას, მაგრამ არაფერს ვამბობთ სისტემაზე, სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე, რომელმაც სტალინი და ბერია, ხოლო შემდგომ სხვადასხვა ზომისა და დიაპაზონის კულტები წარმოშვა. სწორედ ამ სახელმწიფოებრივმა სტრუქტურამ მისცა მათ საშუალება, ხალხისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი ნება-სურვილი, ხელთ ეგდოთ უზარმაზარი ძალაუფლება, ერთი სიტყვით, ჩვენ ვებრძვით შედეგებს და არა მიზეზებს. აი, რატომ არა აქვს ფასი თქვენს პროპაგანდას!“

(„ლიტერატურული საქართველო“, 1988 წ.).

ძვირფასო მკითხველო, განა აქ ორაზროვნად ვლაპარაკობ იმ მოვლენებზე, რაც ჩვენი უბედური ცხოვრების მიზეზებს წარმოადგენს?! მსგავსი ციტატების მოტანა მრავლად შემიძლია, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ძნელიც იყო და მიზნადაც არ მქონია ერთ წერილში ქართველი ერის სულიერ კრიზისზე და მისი მიზეზით გამრავლების დაქვეითების პრობლემებზე დაწვრილებით საუბარი, მაგრამ, დაინტერესებული მკითხველი ჩემს სხვა ნაწარმოებებში, თუ პუბლიცისტურ წერილებში, იპოვიდა პასუხს ყველა აქტუალურ კითხვაზე, რომლებზეც ზვიად გამსახურდია ამახვილებს ყურადღებას, თუმცა, სჯობია, ჯერ იმ მაგალითებით „ვიმართლო“ თავი, რომლებსაც უშუალოდ „საქართველოს უკვდავებაში“ წაიკითხავს მკითხველი.

ზვიად გამსახურდია წერს: „რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ერის სულიერი ცხოვრება? რამდენად ქმედითნი არიან დღეს ის სულიერი და ეროვნული იდეალები, რომელნიც ასულდგმულებდნენ ჩვენს წინაპრებს, აძლევდნენ სტიმულს ბრძოლისას, და შემოქმედებისას, შთაუნერგავდნენ მომავლის იმედს ისტორიული ძნელბედობის პერიოდებში? ან რამდენად მღვიძარებს დღეს ერის სული? ან რამდენად ეზიარება დღეს ჩვენი ერის ყველა ფენა თავისი კულტურის, აზროვნების, ლიტერატურის ტრადიციებს? რამდენად ცხოვრობს თავისი წინაპრების იდეალებით? უფრო მეტიც, რამდენად უწყის მან თავისი ეროვნული ვინაობა, სადაურობა, უწყის თუ არა მან, თავისი ისტორია, თავისი რეალური მდგომარეობა აწმყოში და წარსულში, ან თავისი მომავლის პერსპექტივები?“

სავსებით მართალი ბრძანდება ბატონი ზვიადი, მაგრამ განა ამ პრობლემებისადმი არ არის მიძღვნილი ჩემი რომანები და პუბლიცისტიკა? განა იმავე წერილში არ მიწერია ასეთი აბზაცი: „ყველა რაიკომის მდივანმა იცის, როგორი აქვს გოჯის თუ საქონლის ნამატი, ყველა მინისტრმა თუ დიდი სამმართველოს უფროსმა იცის, როგორი აქვს წარმოების ზრდის ტემპი, მაგრამ ყველამ იცის კი, როგორია რაიონისა თუ მათდამი დაქვემდებარებული სფეროს დემოგრაფიული სურათი?“

ეს მოსაზრება, რომელიც შემდგომში სხვათა მიერ სხვადასხვა ფორმით მეორდებოდა გამოსვლებში თუ წერილებში, მაშინ ძალზე ძნელი სათქმელი იყო.

ახლა, ჩემი მეორე წერილიდან — „თბილისი გუშინ, დღეს, ხვალ“ — მოვიტან პატარა ნაწყვეტს. თან მკითხველს შევახსენებ, რომ იგი ცხრამეტი წლის წინათ, 1971 წ. დაიწერა: „უნამუსობისა და უსამართლობის აღზევებამ, სუსტ ადამიანებს დააკარგვინა ლამაზი იდეალები, რომანტიზმი, დააკარგვინა შეგრძნება პატიოსნებისა და სიმართლის სიდიადისა. ფულმა და ოქროს ელვარებამ, მათ გონებაში ჩაკლა პატიოსანი და ამაღლებული გრძნობები. ნივთებმა დაკარგეს თავიანთი დეკორატიული დანიშნულება და მხოლოდ განძის ფუნქცია შეიძინეს, ხოლო მაქინაციებით, უპატიოსნო გზებით დაგროვილი ფული და სიმდიდრე თანდათანობით ძალაუფლებაში გადავიდა. ისინი ყიდულობდნენ თანამდებობებს, ყიდულობდნენ სამართალს. საზიზღარი ცინიზმი კი ის იყო, რომ ხშირად ასეთი ადამიანები ოფიციალურად გვიკითხავდნენ მორალს პატიოსნებასა და კეთილშობილებაზე“...

ციტატა, რომელსაც ახლა მოვიტან, უფრო გვიან, 1987 წელს დაიწერა:

„...აგორებულმა ტალღამ თითქმის ყველაფერი წალეკა. ჯაჭვურმა რეაქციამ არ დააყოვნა, ქრთამი ზემდგომ ორგანოებში, ქრთამი სამინისტროებში, ქრთამი თითქმის ყოველგვარ დაწესებულებებში. ქრთამი ადმინისტრაციულ ორგანოებში, ქრთამი, ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. სპეკულაცია ფეხის ყოველ ნაბიჯზე, სპეკულაცია ქუჩებში თუ სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებში.“...

მეტს აღარ გავაგრძელებ. ციტატები ძალზე გრძელი გამოგვივა.

ბატონი ზვიადი წერს:

„ერის ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია აგრეთვე ახალგაზრდობის სწორი აღზრდა. მიკვირს, რად აუარეს გვერდი ზემოხსენებული წერილების ავტორებმა ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას. იგი ხომ უშუალო კავშირშია ერის გამრავლების საკითხებთან?..

...გადავხედოთ ჩვენს სკოლებს, სადაც არნახული უზნეობა სუფევს, სადაც მერვე, მეცხრე და მეათეკლასელი გოგონები სიგარეტს ეწევიან (ზოგჯერ ნარკოტიზებულს) ბიჭებთან ერთად, ბილწსიტყვაობენ და კიდევ მრავალ სხვა უმსგავსობას სჩადიან. წარმოვიდგინოთ პერსპექტივაში მათ მიერ შექმნილი ოჯახები, მათ მიერ აღზრდილი შვილები, მათ მიერ გახარებული დედ-მამა და სამშობლო, მათ მიერ გამრავლებული ერი. გადავხედოთ აგრეთვე პედპერსონალს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სავსებით არ შეესაბამება პედაგოგის მაღალ დანიშნულებას. გადავხედოთ უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც კიდევ უფრო უნუგეშო სურათია, კორუფციისა, პროტექციონიზმისა და სხვა მრავალი მანკიერებათა“.

რა უნდა ვთქვა ამ ბრალდებაზე? ნამდვილად არ მეგონა, თუ ამ საკითხებზე გვერდის ავლას მისაყვედურებდნენ. არა ერთსა და ორ წერილში მაქვს გამოთქმული ჩემი მოსაზრებანი ახალგაზრდობის აღზრდის თაობაზე (თუნდაც ცხრამეტი წლის წინ დაწერილ ზემოთ მოტანილ წერილში). გარდა ამ ცალკეული მოსაზრებებისა, ერთი დიდი, საგანგებო წერილიც მივუძღვენი განათლების საკითხებს: „დრო არ კარგავს დროს“, რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ 1986 წ. 31 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა:

სამართლიანად წერს ბატონი ზვიადი:

„დემოგრაფიულ პრობლემასთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული აგრეთვე სწავლა-განათლების სისტემაში არსებული მანკიერებანი, კორუფცია და ქრთამის უკიდურესად გავრცელება საქართველოში, განსაკუთრებით თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ., სამედიცინო ინსტიტუტში 1983 წელს ქრთამმა სარეკორდო ციფრს, 70 ათას მანეთს მიაღწია). ამის შედეგად მრავალი გულაცრუებული ახალგაზრდა ეძებს ბედს რსფსრ-სა და სხვა რესპუბლიკებში, სადაც, მათის თქმით, უფრო „იაფია“ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა“.

კიდევ ვიმეორებ, სამართლიანად წერს ბატონი ზვიადი, მაგრამ ახლა დავუგდოთ ყური, რას ვწერდი მე ჯერ კიდევ ცხრამეტი წლის წინ.

„რა სულიერი სისპეტაკე უნდა მოვთხოვოთ იმ მომავალ ექიმს, რომელმაც კარგად იცის, მამამისს რა ფანტასტიური თანხა დაუჯდა მისი ინსტიტუტში მოწყობა?! რომელ პატიოსნებაზე და სულიერ სისპეტაკეზე შეიძლება ესაუბრო იმ სტუდენტს, რომელმაც 50 მანეთი ჩადო მატრიკულში და ისე მოიპოვა სამიანი?“

დიახ, ეს სიტყვები 19 წლის წინ დაიწერა. ახლა რამდენიმე ნაწყვეტს მოვიტან ჩემივე წერილიდან „დრო არ კარგავს დროს“:

„ამჟამად რესპუბლიკაში 89 000 სტუდენტია, რესპუბლიკის გარეთ კი, მკითხველო, კარგად დააკვირდი, 22 000!

ამ რაოდენობაში არ იგულისხმებიან საქართველოდან სასწავლებლად წასული არაქართული წარმოშობის ახალგაზრდები.

ამ რაოდენობაში არც ის 260-300 ახალგაზრდა შედის, მიზნობრივი მომზადების წესით რომ იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ სწავლობს ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის 27 პროცენტი!..

22 ათასმა ოჯახმა სულ იოლად, დაუფიქრებლად, გაუანალიზებლად, ბავშვის შესაძლებლობების და პიროვნული თვისებების გაუთვალისწინებლად გაგზავნა შვილი შორს, ოჯახისაგან ძალიან შორს...

ერთის შეხედვით, რა უნდა იყოს საგანგაშო, განა 18 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს არ შეუძლიათ იცხოვრონ დამოუკიდებლად?! ვაი, რომ, არ შეუძლიათ! ჩვენი ახალგაზრდობის უმრავლესობა, ჩვენივე არასწორი აღზრდისა და სოციალური მიზეზების გამო, არ არის მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის...

...და აი, ლოგიკურმა შედეგმაც არ დააყოვნა. იმ 22 ათასი ახალგაზრდიდან, რესპუბლიკის გარეთ რომ სწავლობს, 20 ათასი უსაქმურია, ხულიგანია, წვრილმანი ან მსხვილმანი დამნაშავეა, ნარკომანია.

გნებავთ ფაქტები? საშინელი, სულისშემძვრელი ფაქტები?

ქალაქ როსტოვში ნარკომან ახალგაზრდათა ნახევარი ქართველი სტუდენტები არიან. ახლა ისიც ვიანგარიშოთ, ქართველები რა მცირე პროცენტს შეადგენენ როსტოვის ახალგაზრდობისას და თვალნათლივ დავინახავთ, რა დღეში ყოფილან როსტოვში დიპლომის საძიებლად ჩასული ყმაწვილები.

მარტო ხარკოვში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე უმაღლესი სასწავლებლებიდან 119 ქართველი სტუდენტი გაირიცხა, ამორალური საქციელი, აკადემიური ჩამორჩენილობა, სტუდენტის სახელის შელახვა, ქურდობა, ხულიგნობა, ნარკომანია, — აი, იმ ბრალდებათა არასრული სია, რის გამოც ისინი გაირიცხნენ სასწავლებლებიდან, ბევრი მათგანი დღეს ციხეში „იცავს“ რესპუბლიკის, ერის ღირსებას!

ბინის ქურდობის ყოველი მეორე შემთხვევა ხარკოვში ქართველი სტუდენტების მიერაა ჩადენილი!

უბედურება ისაა, რომ გარიცხული სტუდენტები მშობლიურ კერას აღარ უბრუნდებიან. ისინი იქვე რჩებიან, მშობლებს კი უნამუსოდ ატყუებენ, კურსიდან კურსზე გადავდივართო. მათი „წარმატებით“ გახარებული მშობლები ფულსა და ათასგვარ სანოვაგეს უხვად უგზავნიან „საამაყო“ შვილებს. ბევრმა მშობელმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან შეიტყო, რომ მათი შვილი ციხეში იხდიდა სასჯელს.

(გაგრძელება მე-4 გვ.).

---

წერილი იბეჭდება შემოკლებით.

(გაგრძელება)

ახე ეკარგება საქართველოს ათასობით ახალგაზრდა, ახე იზრდება მათ ხარჯზე დანაშაულებათა სამყარო...

...ისიც უნდა ავუხსნათ მშობლებს, რომ ახეთი მაქინაციები სულიერად რუვნიან შვილებს. რამდენი შემთხვევაა ფიქტიური ქორწინებისა, როცა რუსეთში სამედიცინო სასწავლებელში მოწყობილი ახალგაზრდები „ქორწინდებიან" თბილისელებზე, სასწავლებლად რომ თბილისში გადმოვიდნენ!

ალბათ ამიტომაც აღარ გვაშფოთებს ზოგიერთი ახალგაზრდის მიერ ჩადენილი უსაზიზღრესი, დღემდე გაუგონარი საქციელი, როცა „სახელოვანმა" შვილიშვილებმა ბებიისა და ბაბუის ნეშტის ნარჩენები ვაკის „პრესტიჟული" სასაფლაოდან მუხათგვერდში გადაასვენეს, და „გამოთავისუფლებული" საფლავი ვიღაც ფულიან კაცს მიჰყიდეს"...

სკოლისა და, საერთოდ, სწავლების საკითხებს ვრცელი წერილი მივუძღვენი. აი, ერთი ნაწყვეტი ამ წერილიდან: „სამწუხაროდ, ისედაც გაუარესებულ სკოლას დიდი კონკურენტი გამოუჩნდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სახით. იცოცხლეთ, პროფტექნიკური სასწავლებელი კარგი რამ იყოს, თუ მისი მუშაობა ისე წარიმართებოდა, როგორც საჭიროა. თუ იგი მართლა კარგ სპეციალისტებს გამოუზრდიდა ჩვენს მრეწველობას, სოფლის მეურნეობას. მაგრამ პროფტექნიკური სასწავლებლები ჩვენში თითქოს იმიტომ გახსნეს, რაც შეიძლება მეტმა მოსწავლემ მიიღოს ოქროს მედლის ტოლფასოვანი წითელი დიპლომი, უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, რომ უხსნის მათ გზას.

სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, თუკი შეიძლება ამ სურათს ნათელი ეწოდოს, ერთ ფაქტს დავიმოწმებ: თბილისში, თუ არ ვცდები, ორასამდე სკოლაა. 1986 წელს სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა მხოლოდ 101 მოსწავლემ. ზოგიერთ სკოლაში საერთოდ არ გაცემულა ოქროს მედალი.

ამავე წელს პროფტექნიკური სასწავლებლები წითელ დიპლომზე დაამთავრა 8000 მოსწავლემ!

მარტო ერთი სასწავლებლიდან 80 ახალგაზრდამ „დაამთავრა" წითელ დიპლომზე!

განა ეს ფაქტი კომენტარს საჭიროებს?! განა დღესავით ნათელი არ არის, რა ვაჭრობა მიდის ამ სასწავლებლებში?..

...იქნებ უმაღლეს სკოლებში მაინც გვაქვს საქმე კარგად?

წლების მანძილზე იბერებოდა კონტინგენტი. საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, თუ არ ვცდები, 1954 წლიდან, სადაც კი მატარებელი ჩერდებოდა, ყველგან გახსნა თავისი ფილიალი!

...სამწუხაროდ, ათასობით სტუდენტი ისე ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, ნამდვილი მეცნიერის ლექცია არ მოუსმენია. ზოგჯერ კი, მოსმენას ვინ დაეძებს, არც უნახავს. ამიტომაც ნუღარ გაგვიკვირდება, რომ ახე დაბალია ჩვენი კურსდამთავრებულების მომზადების დონე.

ამას კი არავინ გვაპატიებს, ერის მომავალი არ გვაპატიებს".

კიდევ ერთი ციტატა მინდა მოვიტანო ჩემი სხვა წერილიდან „ხვალ გვიან იქნება", რომელიც უშუალოდ ეხადაგება ზვიად გამსახურდიას სწორ მოსაზრებას:

აი, ეს ნაწყვეტიც:

„არ შეიძლება გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ, როგორ ედება კოროზია ერის მომავალს.

ქუჩაში, ყოველ ნაბიჯზე, შეხვდებით „სტანდარტულ" ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, სტანდარტული ჩაცმულობა, სტანდარტული მიხრა-მოხრა, სტანდარტული მანერები, სტანდარტული, უინტელექტო გამოხედვა.

აქაოდა, სოფლელობა არ დაგვწამონო, რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტი გოგონები უფრო ენერგიულად ქაჩავენ სიგარეტს, უფრო გამომწვევად ლებავენ კევს, რომ როგორმე „სვეტში" გავიდნენ.

რა გუნებაზე დავდგებოდი, როცა დავინახე, მშვენიერი გარეგნობის ქალიშვილებმა კევის ლეჭვით როგორ შემოუარეს პანაშვიდზე ჩვენი კულტურის ერთი დიდი წარმომადგენლის კუბოს!"...

ზვიად გამსახურდია წერს:

„ყოველივე ზემოთქმულის გარდა ერის დემოგრაფიულ მდგომარეობას განაპირობებს მოსახლეობის ეკონომიკური პირობები, რაც საყოველთაოდ ცნობილი აქსიომაა და რაზედაც ჩვენს ავტორებს სიტყვაც არ დაუძრავთ. მოდით, გაბედულად გავუსწოროთ თვალი სიმართლეს: აქვს თუ არა ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ისეთი ეკონომიკური და საბინაო პირობები, რომ იყოლიოს ორი ან სამი შვილი?"

ნება მიბოძეთ, არ მივიღო ეს შენიშვნა. განა მე იგივე მოსაზრება არ გამოვაქვეყნე „ლიტერატურნაია გაზეტაში" და შემდეგ „ციხკარში" ამ ხუთი წლის წინ? აი, ეს ნაწყვეტებიც:

„საბჭოთა კავშირში ყველა უბედურების საწყისი არის დაბალი, არარეალური ხელფასები".

„საკითხი პირდაპირ მინდა დავსვა, რამდენად შეეფერება დღევანდელი ხელფასები დღევანდელ საცხოვრებელ პირობებს?..

...რა დააშავა პატიოსანმა, თავისი ხელფასით მოარსებე ადამიანმა, რომლისთვისაც აუხდენელ ოცნებად დარჩება მანქანისა და სხვა ძვირადღირებული ნივთების შეძენა, თუნდაც ახლად მიღებულ ბინაში, ჩვენდა სავალალოდ, როდესმე რემონტის გაკეთება?...

...ადამიანი რომ გარდაქმნათ, მას უნდა ჰქონდეს ნორმალური ბინა, ნორმალური ხელფასი, ნორმალური კულტურული გარემო. ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ სიმართლე ყოველთვის გაიმარჯვებს, რომ მის ბედზე ფიქრობენ ყველგან, ზემოთ და ქვემოთ, მილიციაში და პროკურატურაში, სამინისტროებში და უწყებებში. უნდა სჯეროდეს, რომ მისი შვილი არ დაიჩაგრება სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში. მტკიცედ უნდა სჯეროდეს, რომ მის ეროვნულ კულტურას, მის ენას არ ელის გადაგვარების საფრთხე...

...ოთხ ახალგაზრდას მოსკოვში მოუნდა წასვლა.

ათი დღე იარეს აეროფლოტის სალაროში, ბილეთები მაინც ვერ იშოვეს, მოლარეთა პასუხი მოკლე იყო და ლაკონური — „ბილეთები არ არის"!

ამავე დროს იქვე იდგა კაცი, რომელსაც 50 მანეთად ნებისმიერ რეისზე გამოჰქონდა ბილეთები.

ოთხმა ყმაწვილმა მარტო ბილეთები კი ვერ აიღო სახელმწიფო სალაროში, მათ სულში შხამი ჩაიღვარა, ზიზღი, ბოღმა და უნდობლობა ჩაისახა.

დღისით, მზისით, თბილისის შუაგულში, ისეთ ავტორიტეტულ სახელმწიფო ორგანიზაციაში, როგორიც აეროფლოტია, ირღვევა და ფეხქვეშ ითელება ყოველგვარი კანონი, მიდის გაქანებული სპეკულაცია.

ბუნებრივია, ახალგაზრდებმა გააკეთეს ორი დასკვნა: თავისუფლად, თავის დაუმცირებლად რომ აილო თვითმფრინავის ბილეთი, უნდა იყო ცნობილი პიროვნება, ან დიდი თანამდებობის პირი, ან უნდა გქონდეს ბევრი ფული.

გახდე სახელოვანი და ცნობილი კაცი, ძნელი საქმეა, დროისა და ნიჭის საქმეა. უფრო „იოლია" იშოვო ფული, იშოვო ყოველგვარი რისკის ფასად...

...ჩვენს ახალგაზრდობას არა აქვს ახალგაზრდული იაფფასიანი კაფეები, სადაც შეუძლია შევიდეს მეგობართან, სატრფოსთან ერთად.

პატიოსანი ოჯახის შვილებს არა აქვთ სახსრები, ყვავილები მიართვან შეყვარებულებს. ტაქსის მძღოლებიც კი ერიდებიან, ახალგაზრდას მანქანა გაუჩერონ, რადგან არა აქვთ იმედი, რომ უკვე დაკანონებულ ჯილდოს მიიღებენ.

ხშირად კომკავშირის რაიკომებში სამუშაოდ მიძვრებიან კარიერისტი, მაგრამ კარგად შენიღბული ახალგაზრდები. უნდა დააკვირდეთ, როგორ თამაშობენ ისინი საქმიანი, სერიოზული, დაფიქრებული ადამიანების როლს, როგორ ბაძავენ უფროს კოლეგებს მამის სახელით მიმართვაში, მანერებში, ხშირად ჩაცვლებასა და ხმის ინტონაციაშიც კი...

ასეთი კომკავშირული მუშაკები ზიზღსა და უნდობლობას იწვევენ თანატოლებში. მათი საქმე და სიტყვა ვერასდროს ვერ მოახდენს გავლენას ახალგაზრდობაზე".

გრძელი ნაწყვეტები გამომივიდა, მაგრამ ბოდიშის მოხდით კიდევ ერთი ნაწყვეტიც მინდა შემოგთავაზოთ, რომელიც 1987 წელს გამოვაქვეყნე:

„დავცინით, ვლანძღავთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ვუკიჟინებთ უმუშევრობას და არაფერს ვამბობთ ჩვენს ქვეყანაზე. განა საბჭოთა კავშირში სამუშაოთი უზრუნველყოფილი მილიონობით ადამიანი, ხელფასი რომ თუნდაც 150 მანეთამდე აქვს, ფაქტიურად უმუშევარი არ არის? განა მისთვის, თუ პატიოსნად იცხოვრა, სამუდამო ოცნებად არ დარჩება მანქანა, კარგი ავეჯი, კარგი ტანსაცმელი, თუნდაც ნორმალური კვება?! ამიტომაცაა, რომ ჩვენში, ყველა უბედურების სათავეში დაბალი ხელფასია. სწორედ მან განაპირობა ქურდობა, წაგლეჯა, დატაცება, ქრთამი, სპეკულაცია, დაბალი პროფესიონალიზმი, საქმის არსიყვარული, ღლეტიაობა.

შედეგი? ქვეყანა იქცა გლობალური ქურდობის, დატაცების და კორუპციის არენად".

როგორც ვხედავთ, არც ეს პრობლემა დამრჩენია შეუფასებელი. ზვიად გამსახურდია აბსოლუტურად სწორია, როცა წერს:

„დღევანდელ მეცნიერებაში გარკვეულია, რომ ერის გამრავლების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ქალთა მასობრივი ლტოლვა უმაღლესი განათლებისაკენ. როგორც აღნიშნა ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა პ. გუგუშვილმა, საქართველო სსრკ-ში პირველ ადგილზე დგას უმაღლესდამთავრებულ ქალთა რაოდენობით, ხოლო აზერბაიჯანის სსრ უკანასკნელ ადგილზეა ამ თვალსაზრისით. შესაბამისად, საქართველო შობადობის მხრივ უკანასკნელ ადგილზეა, აზერბაიჯანი კი პირველ ადგილზე. შესაძლოა ვინმემ ობსკურანტიზმი და განათლებასთან ბრძოლა უწოდოს ამგვარ განცხადებას, მაგრამ სანამ ჩვენში არ შეიზღუდება, უმაღლეს სასწავლებლებში ქალების მიღება, შობადობის პრობლემა არ გადაწყდება. სხვათა შორის, ოჯახის სიმტკიცისა და მდგრადობის პრობლემაც ამ პრობლემას უკავშირდება".

განა ზუსტად იგივეს არ ვწერ ჟე იეზს „საქართველოს უკვდავებაში"? მართალია, იქ ფორმულირება ცოტა სხვაგვარია, მაგრამ აბსოლუტურად იგივე პრობლემაზეა ლაპარაკი. პირადად მე ვერ გავბედავდი, გამომეთქვა აზრი ქალთა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შეზღუდვის თაობაზე თვით არასამართლებრივ სახელმწიფოშიც კი. თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, იგივე საკითხზე მე ვმსჯელობ უფრო ფართოდ. ესაა ქალთა დასაქმების პრობლემა. სჯობია, ჩემი წერილიდან პირდაპირ ციტატა მოვიტანო:

„არის კიდევ ერთი დიდი, ძალზე სერიოზული პრობლემა, რომელიც ასე აფერხებს ერის გამრავლებას.

თუ შევისწავლით საბჭოთა კავშირში ქალთა დასაქმების პრობლემას, დავინახავთ, რომ იგი ძალზე აღმავალი გზით მიდის.

პროფესორი ვ. კოსტაკოვი „ნედელიაში" წერდა:

„60-იანი წლების განმავლობაში, სულ ერთი ათწლეულის მანძილზე, წარმოებაში მოვიდა 13 მილიონზე მეტი დიასახლისი. თუკი 1950 წელს ქვეყანაში მუშაობდა შრომისუნარიანი ასაკის ქალების დაახლოებით ნახევარი, 1960-ში, როცა დაიწყო კიდეც შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება, მომუშავე ქალების რიცხვი გაიზარდა 60 პროცენტამდე, 70-იანი წლების დამდეგს კი, თითქმის 85 პროცენტამდე...

...თითქმის ისეთივე სურათის მოწმენი ვართ საქართველოშიც.

მერე, განა ქალთა დასაქმების ასეთი ზრდა ცუდია? — იკითხავს მკითხველი.

პირიქით, ცუდი კი არა, კარგია, მაგრამ ამ მოვლენას თან ახლავს ერთი ფრიად დამაფიქრებელი ფაქტი: ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში თავდადებით შრომობს ათასობით ქალიშვილი, რომლებსაც უნდათ გათხოვება, მაგრამ... ვერ თხოვდებიან...

როგორ გავთხოვდებით, თვეები ისე გადის, ბიჭებს ვერც ვხედებით! — თქვა ერთმა".

კმარა, თორემ უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს ამ საკითხზე ჩემი ციტატების მოტანა.

ზვიად გამსახურდია სრულიად სამართლიანად წერს:

„ვით უნდა გამრავლდეს, მაგალითად, აფხაზეთის ასსრ-ში ქართული მოსახლეობა, როდესაც იქ აკრძალულია ქართველთა ჩაწერა, მათთვის მიწების გამოყოფა. სახლების მშენებლობა, ოჯახების გაყოფა, კადრების შერჩევა-განაწილებისას პრიორიტეტი ეძლევათ აფხაზური და სხვა ეროვნების კადრებს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველობა 48 პროცენტია, ხოლო აფხაზობა 16. ქართველთა დევნამ იქ ტერორისტული თავდასხმების ხასიათი მიიღო. გარდა ამისა, წინა წლების ანტიქართულმა ექსცესებმა გამოუსწორებელი ზიანი მოუტანა აფხაზეთის ქართველობას, მისი ნორმალური არსებობისა და მით უფრო გამრავლების პერსპექტივები აფხაზეთში გამოირიცხა. ქართული ეროვნების მოქალაქეს იქ ემუქრება უბინაობა, უმიწობა, უმუშევრობა, მატერიალური გაჭირვება, „პატიმრობა უმცირესი დანაშაულისთვისაც კი (განსაკუთრებით გაგრა-გუდაუთის ზონაში) მაშინ, როდესაც აფხაზური ეროვნების მოქალაქე არ ისჯება თვით უდიდესა დანაშაულისთვისაც, როგორიცაა სახელმწიფო ქონების დატაცება, მექრთამეობა და სხვა. ერთადერთი დაცვა ქართველისათვის აფხაზად ჩაწერაა და, აი, საპასპორტო მაგიდები ივსება იმ ქართველთა განცხადებებით", რომელთაც სურთ „გააფხაზება". ასე მრავლდება „აფხაზი ერი" და შესაბამისად ძლიერდება აფხაზეთიდან ქართველთა მიგრაცია".

კიდევ ვიმეორებ, ზედმიწევნით სწორია ზვიად გამსახურდიას დებულებანი, მაგრამ ასევე ცამდე მართალი ვარ მეც, რომელმაც ლამის რეკორდი დავამყარე აფხაზეთის მოვლენებზე წერილების წერაში. შეგახსენებთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ ჩემს წერილებს: „აუცილებელია ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოს", „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე", „ლიტერატურული საქართველოს რედაქციას", „სიძე, შე ძველო". ამ წერილების გამო აფხაზი ექსტრემისტები ჩემს სახელსა და გვარს ყველა სხდომაზე, თავყრილობასა თუ მიტინგებზე ყველა ბრუნვაში აბრუნებენ. ხოლო წარსულში ჩემმა მეგობარმა აფხაზმა პოეტმა ქალმა ნელი თარბამ არც მოსკოვში დამინდო, არაფერია, ამას გავუძლებ როგორმე. ერთ ნაწყვეტს კი მაინც მოვიტან ჩემი წერილიდან „აუცილებელია ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოს", „ლიტერატურული საქართველოს" 1989 წლის ნომრიდან:

აი, ეს ნაწყვეტიც:

„წლების მანძილზე მხოლოდ დათმობამ, ცალ კარში თამაშმა და პრობლემების გაურკვევლობა-გადაუჭრელობამ, კარგად ვხედავთ, სანამდე მიგვიყვანა.

დაირღვა ყოველგვარი პროპორცია თანამდებობების განაწილებაში. აფხაზობა უკვე სოციალურ უპირატესობად იქცა. ნება მიბოძეთ, ვიკითხო, რომელი კონსტიტუციის, წესდებისა თუ იურისპრუდენციის საფუძველზე?

აქედან გამომდინარე, დაიწყო ქართველების ორგანიზებული დევნა, შევიწროება და ჩაგვრა, რის შედეგადაც ათასობით სულმოკლე ქართველი იძულებული გახდა აფხაზად ჩაწერილიყო.

აქამდე ოფიციალურად არავის უთქვამს, მაგრამ, ვგონებ, ყველასათვის ცნობილი იყო, რომ აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებში წლების მანძილზე აფხაზი ეროვნების სტუდენტებისათვის არ შეიძლებოდა ორიანის დაწერა. თანამდებობების დასაკავებლად საჭირო იყო დიპლომები და ეს საქმეც დიდი ენთუზიაზმით კეთდებოდა.

სასტიკი ტენდენციურობით ტარდებოდა სასამართლო პროცესები. ერთი და იგივე დანაშაულისათვის ქართველები გაცილებით მკაცრად ისჯებოდნენ".

ასევე სავსებით მართალია ზვიად გამსახურდია, როცა მიგრაციის ურთულეს პრობლემებზე, მის გამანადგურებელ შედეგებზე ლაპარაკობს. მით უფრო სასიამოვნოა ჩემთვის მოვიტანო ნაწყვეტი 18 წლის წინ დაწერილი წერილიდან, რომელიც უშუალოდ მიგრაციის საკითხებს ეხება:

„ამ ერთი თვის წინ ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი საქართველოს რაიონებში მიგვავლინეს. მე რაჭა, კერძოდ, ამბროლაურის რაიონი ავირჩიე.

ერთმა ჩემმა კოლეგამ მითხრა, ამბროლაურის რაიონზე რა უნდა დაწერო, სჯობდა რომელიმე მნიშვნელოვანი რაიონი აგერჩიაო.

მე გაოცებულმა შევხედე. განა საქართველოში არსებობენ მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო რაიონები?

ჩემი კოლეგა, ალბათ, რაიონის ეკონომიკას გულისხმობდა, მაგრამ ეს ხომ საკითხის სრულიად სხვა მხარეა. ეკონომიკის მხრივ მართლაც არიან საქართველოში განსხვავებული და ძალზე განსხვავებული რაიონები. მაგრამ, არა მგონია, არსებობდნენ მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო რაიონები.

შეიძლება ხევსურეთმა ან მთათუშეთმა ისეთი როლი ვერ ითამაშონ რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც, ვთქვათ, გურჯაანის და მახარაძის რაიონებმა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხევსურ და თუშ ბავშვებს ელემენტარული პირობები არა ჰქონდეთ სწავლისა და განათლებისა. ეს როდი ნიშნავს, რომ მთა რაიონების ახალგაზრდობისათვის მიუწვდომელი იყოს დღევანდელი კულტურული ცხოვრების თუნდაც ელემენტარული დონე. ჩვენ ყველა რაიონისათვის ერთნაირად უნდა შეგვტკიოდეს გული, ერთნაირად უნდა გვაღელვებდეს მათი ჭირ-ვარამი. ერთნაირად უნდა ვფიქრობდეთ, ვშრომობდეთ და ვიბრძოდეთ მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად.

იქნებ უფრო მეტი მხარდაჭერაც კი გვმართებს იმ რაიონების მიმართ, რომლებსაც ახლა ძალიან უჭირთ.

იქნებ ახლავე უნდა შევაშველოთ ღონიერი მარჯვენა, თორემ მერე ძალიან გვიან იქნება.

საქართველოში ყველაზე მწარედ ჯოხი სწორედ შედარებით ღარიბი რაიონების ზურგზე გადატყდა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ეს რაიონები რესპუბლიკის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ვერ თამაშობდნენ. იქ გეგმა შესრულდებოდა თუ არ შესრულდებოდა, არსებითი მნიშვნელობა როდი ჰქონდა საერთო ჯამში. ამიტომაც ეს რაიონები ზემდგომ ორგანოებს უპატრონოდ ჰყავდათ მიტოვებული და კაცს არ ანაღვლებდა, როგორ ნადგურდებოდა, როგორ იცლებოდა სისხლისაგან მთა სოფლები, როგორ უკაცრიელდებოდა მთელი უბნები.

ეს არავის აინტერესებდა არც ზემდგომ ინსტანციებში და არც თვით რაიონების ხელმძღვანელებს.

ერთ-ერთი ასეთი რაიონი გახლავთ სწორედ ამბროლაურის რაიონი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში გამეფებულმა უმსგავსობამ თითქმის განადგურებამდე მიიყვანა...

არ შეიძლება გულისტკივილით არ გავიხსენოთ ერთი პატარა გოგონას ამბავი, რომელიც სკოლაში შორეული სოფლიდან დადის, თავის უბანში კი, სადაც თორმეტი ოჯახი ცხოვრობს, ერთი თანატოლი, ერთი ხმის გამცემიც არ ჰყავს. თანატოლს ვინ დაეძებს, ამ უბანში ყველაზე ახალგაზრდა ორმოცდაექვსი წლისაა, და იგი მისი საკუთარი მამა გახლავთ..."

ჩემს წერილებში არც მკვლელობა და ნარკომანია დამვიწყებია. ჯერ კიდევ 1969 წელს ვწერდი:

„საქართველო შეშფოთებულია იმის გამო, რომ რესპუბლიკაში სულ უფრო მატულობს ხულიგნობა და მკვლელობა. ორი წლის წინათ რესპუბლიკის პირველმა გაზეთმა „კომუნისტმა" დაბეჭდა რესპუბლიკის პროკურორის სტატია ერთი მკვლელობის შესახებ. მკვლელს მხეცური მკვლელობისათვის დახვრეტა მიესაჯა. ოთხი თვის შემდეგ მოსკოვმა საერთოდ გაათავისუფლა მკვლელი. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რანაირი ხმები დადიოდა ხალხში ამ საეჭვო რეაბილიტაციის გამო".

როგორც ვხედავთ, ის საშინელი, უმიზეზო და სასტიკი მკვლელობანი, ყოველდღიურად რომ ხდება საქართველოში, არც გუშინ დაწყებულა და არც ხვალ დამთავრდება. და თუ იგი ასეთი „აღმავლობის" გზაზეა, სწორედ

(დასასრული მე-13 გვ.)

# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917—1921 წ. წ.)

## ალექსანდრე ზაქარიაძე

მდგომარეობა კი ტრაგიკული იყო. ბრბოდ გადაქცეულ რუსის ჯარს სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი ბოლშევიკები შაუმიანის მეთაურობით. მათ იცოდნენ, რომ თფილისში იმყოფებოდა პოლიტიკური და სამხედრო ცენტრი მთელი ამიერკავკასიისა, რომელიც ბოლშევიკების წინააღმდეგ იყო. გარდა ცარცვა-გლეჯისა, ამ მოსაზრებითაც ისინი მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს თფილისის განადგურებისაკენ. აზერბაიჯანის და სომხეთის სამხედრო ერთეულები თავ-თავის ტერიტორიაზე იყვნენ აუცილებელნი. გარდა ამისა, სომხეთს პირველ რიგში, მოელოდა ოსმალეთის საშიშროება: უკანასკნელის ჯარი კვალდაკვალ მისდევდა რუსის ჯარს.

ამრიგად, თფილისის კვანძის და ბათუმის დაცვა ევალებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ შეიარაღებულ ძალებს.

კავკასიის ფრონტის, ე. ი. ამჟამად, ამიერ-კავკასიის მთავარსარდლობას არც არავითარი ძალა ჰქონდა და არც დიდ აქტივობას იჩენდა, მიუხედავად იმისა. რომ თვითონ თფილისში იჯდა. ამიტომ მთელი ეს საკითხი ფაქტიურად დაევალა საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიას, ე. ი. ტექნიკურად — მე.

ქართველმა ხალხმა იგრძნო, თუ რა ტრაგედიის წინაშე დგას. მის ერთსულოვნებას, განურჩევლად სქესისა თუ წლოვანებისა, საზღვარი არ ჰქონდა. ბევრი ტრაგიკული მდგომარეობა განვიცადეთ.

პირველ რიგში მოვახდინეთ განიარაღება შიგნით, ჩვენს ტერიტორიაზე გაბოლშევიკებული რუსის ნაწილებისა, რომ ზურგიდან არავითარი საშიშროება არ გვყოლოდა. თფილისში არსენალის მთის ჩვენ მიერ აღების შემდეგ დეკემბერში, მოხდა განწმენდა მთელი საქართველოს ტერიტორიისა ასეთი ელემენტებისაგან და მათი გამგზავრება რუსეთში.

იანვარ-თებერვალში 1918 წ. დაიწყო დენა რუსული ფრონტის ჯარების. არა ერთი ტრაგიკული თუ სახაცილო მდგომარეობა შექმნილა თფილისის ირგვლივ, მაგრამ თფილისი და ბათუმი გადავარჩინეთ. არც სხვა ადგილებისთვის მიუყენებიათ დიდი ზიანი.

ქართველი ხალხის მთლიანობამ, მისმა შეგნებამ და სიდინჯემ, მოხალისეთა რაზმებმა და ჯარისკაცებმა, განსაკუთრებით კი მუშებიდან და გლეხებიდან შემდგარმა წითელმა გვარდიამ, თოფით თუ მიტინგებით და წითელი დროშებით, გვიხსნეს.

### IX. ოსმალეთთან ომი და გერმანიის მიერ ოკუპაცია საქართველოის

შუა მარტში 1918 წ. თურქეთის ჯარი მოადგა ამიერკავკასიის საზღვრებს: ფაქტიურად საქართველოსა და სომხეთს, ვინაიდან აზერბაიჯანს არ ჰქონია მათთან საერთო საზღვარი: როგორც ვიცით, ჰანეთი და ერზერუმ-ვანის ვილაეტები მათ ეჭირათ კიდევ 1914 წლის ომამდე.

ამ დროს მოხდა ერთი უდიდესი მავნე ფაქტი ამიერკავკასიისთვის: რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ დაუთმო ბრესტის ხელშეკრულებით ბათუმის და ყარსის ოლქები ოსმალეთს, ბათუმი ხომ ამიერ-კავკასიის ყელია; ამ რიგათ, მას, გამოეჭრა ყელი, სომხეთი კი ფაქტიურად მოსპობილ იქნა.

ირკვეოდა, რომ ოსმალეთთან ომი აუცილებელი იქნებოდა. ამის მოლოდინში 1-III-1918 წ. ქართული კორპუსის მეთაურად დაინიშნა გენ. გაბაშვილი, მე კი — მისი შტაბის უფროსად. 15-III-ს, სამწუხაროდ, დაგვიანებით გამოცხადდა, საქართველოში და სომხეთში საყოველთაო მობილიზაცია. ჯარისკაცები დიდი ხალისით მოდიოდნენ, მაგრამ იარაღის უქონლობა არ გვაძლევდა საშუალებას სათანადოდ მოგვეწყო მთელი ჩვენი ძალები.

მთავარი ხელმძღვანელობა რჩებოდა კავკასიის ფრონტის (ამჟამად ამიერ-კავკასიის) შტაბის ხელში, გენ. ლებედინსკის მეთაურობით. ქართულ კორპუსს დაევალა ბათუმის და არდაგან-ახალციხის მიმართულებების დაცვა, სომხურ კორპუსს კი — სარაყამიშ-ყარსის და ჯულფა-ერევნის მიმართულებების; ქართული კორპუსის შტაბი გადავიდა სამტრედიაში.

ამ დროს ამიერ-კავკასიის სეიმში აზერბაიჯანის დეპუტატებმა განაცხადეს, რომ აზერბაიჯანი ვერ შეებრძოლებოდა თავის თანამორწმუნე ოსმალეთს. ამრიგად, მოისპო ფაქტიურად ამიერ-კავკასიის მთლიანობა.

ბრესტის ხელშეკრულების ძალით ოსმალეთმა დაიკავა ყარსის ოლქი და მალე ბათუმიც. საქართველოს და სომხეთის სუსტი ძალების თავდადებულმა ბრძოლებმა უშედეგოდ ჩაიარეს. ალიანტებს არ ჰქონდათ არავითარი საშუალება ჩვენ დაგვხმარებოდნენ. მათმა წარმომადგენლებმა დატოვეს ამიერ-კავკასია, ჩვენ კი გვირჩიეს თავის თავისთვის თვითონ გვეშველა რამენაირად.

ამის შედეგი იყო, რომ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიმართა გერმანიის მთავრობას და თხოვდა ხსნას ფიზიკურად განადგურებიდან. 10-IV-ს სეიმმა აღიარა ამიერ-კავკასიის ფედერაციის დამოუკიდებლობა, გერმანიის მთავრობის საშუალებით, გაიმართა მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან.

ამიერ-კავკასიის ახალი მთავრობის თავმჯდომარედ და გარეშე საქმეთა მინისტრად იქნა არჩეული ბ-ნი აკაკი ჩხენკელი. ის პირადად ჩაუდგა სათავეში ამიერ-კავკასიის დელეგაციას და გაემგზავრა ტრაპიზონში; შემდეგ სხდომები დელეგაციების გადმოტანილ იქნენ ბათუმში.

აშკარად ჩანდა, რომ ოსმალეთს სურდა მთელი ამიერ-კავკასიის ოკუპაცია და ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდება. ასაბუთებდა ამას თავისი მორალური მოვალეობით, რომ ეხსნა ბოლშევიკებისგან მუსულმანური აზერბაიჯანი, ამისთვის კი საჭირო იყო სომხეთის და საქართველოს ოკუპაცია, ვინაიდან ოსმალეთს და აზერბაიჯანს საერთო საზღვარი არ ქონდათ. რასაკვირველია, სომხეთი და საქართველო ამაზე ვერ დათანხმდებოდნენ. გერმანიამ ჩვენ მხარი დაგვიჭირა. მოხდა საქართველოს და სომხეთის ოკუპაცია გერმანიის ჯარების მიერ.

ოსმალები მაინც წინ იწევდნენ. ამან გამოიწვია მთელი რიგი შეტაკებებისა იარაღით ხელში, ოსმალეთის და გერმანიის ჯარებს შორის, რომელნიც ჩვენი ჯარების გვერდით იდგნენ პოზიციებზე. ამან ოსმალები შეაჩერა. ამ ბრძოლებში მოკლულ იქნა 14 გერმანელი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი. ქართველი ხალხი არასდროს არ დაუვიწყებს გერმანიას და მის იმჟამად საქართველოში წარმომადგენელს ბ-ნ გენ. კრეს ფონ კრესენშტეინს ამ ხსნას განადგურებიდან.

გაიმართა მოლაპარაკება ბერლინ-კონსტანტინოპოლს შორის. ამის შედეგად ოსმალეთს მიეცა უფლება აზერბაიჯანის ოკუპაციის და საქართველოზე და სომხეთზე ტრანზიტით სარგებლობის ეშელონების გერმანიის რაზმების თანხლებით.

ბაქოში ამ დროს, მართლაც დიდი უბედურება დატრიალდა: ერთი მხრით, ბოლშევიკები და მეორე მხრით, სომეხ-თათრებთან შეტაკებანი იწვევდნენ დიდ სისხლის ღვრას, ხანგრძლივი ბრძოლები დაჰპირდათ ოსმალოებს, რომ იქ ასე თუ ისე წესრიგი დაემყარებინათ.

### 16 მაისი 1918 წლისა

გაიმარჯვა რა აზერბაიჯანში თურქოფილურმა მიმართულებამ, შეუძლებელი გახდა ყოლა მთლიანი ამიერ-კავკასიის სეიმის და მისი მთავრობის, მით უმეტეს სომხებისთვის: აუცილებელი გახდა მისი, დროებით მაინც დაშლა და ცალ-ცალკე რესპუბლიკების მოწყობა და გამაგრება. ამიტომ 26-V-18 წლის დილის თერთმეტი საათზე ამიერ-კავკასიის სეიმმა აღიარა დაშლა თავისი თავის და მის მიერ შედგენილ მთავრობის და მიმართა ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს თავის თავისთვის ეპატრონებიათ.

იმავე დღეს, ნაშუადღების ხუთ საათზე და ხუთმეტ წუთზე შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭო, აღიარა დამოუკიდებლობა საქართველოსი და თანახმად ეროვნული კრების დადგენილებისა, გამოაცხადა თავის თავი საქართველოს დროებით პარლამენტად დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

პარლამენტმა ერთხმად მიანდო მთავრობის შედგენა ბ-ნ ნოე ნიკოლოზის ძეს ჟორდანიას, აღჭურვა ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი წარმომადგენლის უფლებებით და ვინაიდან მდგომარეობა ძლიერ რთული იყო, მასვე მიენიჭა განსაკუთრებული ძალა-უფლებები. შესდგა კოალიციური მთავრობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში პარლამენტი ემყარებოდა ხელშეკრულებას 1783 წლისა თავისუფლად დადებულს საქართველოს მეფის ირაკლი II-ს და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ს შორის. ამ ხელშეკრულების ძალით საქართველო აღიარებდა თავისი გარეშე პოლიტიკა მომავალში შეეთანხმებია რუსეთის მთავრობასთან, რუსეთის მთავრობა კი კისრულებდა საქართველოს დახმარებოდა თავის ჯარით მისი მტრების წინააღმდეგ. 1801 წელში რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I ეს ხელშეკრულება ცალმხრივათ გააუქმა და საქართველო გადააქცია რუსეთის უბრალო გუბერნიათ. ეხლა კი რუსეთის ჯარმა მიატოვა კავკასიის ფრონტი და შინ გაეშურა, საქართველო კი დატოვა მტრის (ოსმალეთის) საბედისწეროთ და ამით იძულებული გახადა ქართველი ერი თავის თავისთვის თვითონვე ეპატრონებია.

საქართველოს პრეზიდენტმა, ბ-ნ ჟორდანიამ, თავის პირველ მოწოდებაში, ქართველი ერისადმი ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის დაყოფა ცალ-ცალკე რესპუბლიკებად დროებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს და უნდა იქნას მიღებული ყოველნაირი ზომები, რათა სულ მოკლე ხანში მოხდეს მათი გაერთიანება ფედერაციის თუ კონფედერაციის სახით.

ქართული კორპუსი გარდაქმნილ იქნა ქართულ საველე არმიათ. მთავარსარდლათ დაინიშნა სამხედრო მინისტრის თანაშემწე. ბ-ნი გენ. გიორგი კვინიტაძე. მე კი დავინიშნე საქართველოს საველე არმიის შტაბის უფროსად. ამავე დროს შექმნილ იქნა საქართველოს გენერალური შტაბი; მის უფროსად დაინიშნა ბ-ნი გენ. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი.

კავკასიის და ამიერ-კავკასიის მთავარსარდლობა და მისი შტაბი გაუქმებულ იქნენ.

### საქართველოს ტერიტორიის საბოლოო გაწმენდა ბოლშევიკურ ბანდებიდან

ოთხი წლის ომმა და რევოლუციამ გადააჩვია ნორმალურ შრომას მცირე ნაწილი ახალგაზრდობის, ესენი განაგრძობდნენ უმუშაკოთ იოლად თავის კარგათ რჩენას; ბევრნი ასეთები დარჩნენ ჩვენ ტერიტორიაზე ყოფილ რუსული ჯარიდან; მათ დაემატნენ არაქართული ელემენტები და ზოგიერთი ქართველებიც კი; დაჯგუფდნენ ბანდებად და იმალებოდნენ მთებში და ტყეებში. ამ ბანდებს აყენებდა ბოლშევიკურ-დენიკინური პროპაგანდა ვითომდა იდეისთვის იბრძვიანო: დიდ მატერიალურ დახმარებას აძლევდნენ მათ. ამ გზით ბოლშევიკებს სურდათ შიგნიდან აფეთქება საქართველოსი. მაგრამ ქართველი ხალხის შეგნებამ, სახალხო გვარდიამ და ჯარმა სულ მალე ხანში მოუღო ბოლო მათ საქციელს.

ამით არ დამთავრებულა ბოლშევიკების ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლები სხვა და სხვა ხრიკებით, ამ მოქმედებებში ჩვენ წინააღმდეგ ბოლშევიკები და დენიკინელები ერთად იყვნენ. მათ გადაიტანეს თავის მუშაობა ჩვენ მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებში: ოსებში, აფხაზებში, აჭარა-ახალციხის მუსულმანებში და სომხებში. ჩვენი შეტაკება სომხეთთან დეკემბერში 1918 წლისა ამ მუშაობის შედეგი იყო. ეს მუშაობა გრძელდებოდა დენიკინის ჯარის მოსპობამდი, მაგრამ ჩვენ მუდამ გამარჯვებულნი ვრჩებოდით, ვინაიდან ქართველ ერში არც ბოლშევიზმს და არც დენიკინის მოძრაობას არავითარი გამოსავალი არ ქონდა.

სამართლიანობა მოითხოვს ხაზგასმით აღნიშნას, რომ ის ფაქტი, რომ ხალხში სოციალ-დემოკრატიას (მენშევიკებს) ყავდა აბსოლუტური უმრავლესობა. ეს პარტია ებრძოდა ბოლშევიკურ რუსეთს როგორც იდეოლოგიურად, ისე ეროვნულად და ღებულობდა ყოველნაირ ზომებს, რომ ბოლშევიკური რუსეთი ჩვენში ხელმეორედ არ გაბატონებულიყო.

ქართველი ერი დღითი დღე რწმუნდებოდა, რომ მხოლოდ დამოუკიდებლობაში და კეთილსინდისიერ შრომაში არის მისი ხსნა და ბედნიერება.

### დამოკიდებულება გენ. დენიკინის მოხალისე ჯართან

ჯერ კიდო ოსმალეთთან ომის დროს, აპრილში 1918 წ. სანამდი გერმანელებს მივმართავდით, ჩვენ მივმართეთ გენ. ალექსეევს; მასთან ლაპარაკი შეიძლებოდა. მაგრამ მისგან მივიღეთ პასუხი, რომ მან არაფერი არ შეუძლია და ამიტომ ამიერკავკასიამ თვითონ უნდა უშველოს თავის თავს. სამწუხაროთ, ის მალე გარდაიცვალა. გენ. დენიკინის დევიზი კი იყო „მთლიანი, განუყოფელი რუსეთი“. ამ გზას ის განსაკუთრებით მეიდროთ დაადგა, როცა გერმანელები დამარცხდნენ და ალიანტების სარდლობამ მას აშკარად მხარი დაუჭირა. ამიტომ მის და ჩვენ შორის იყო მუდმივი პერმანენტური ომი და ბრძოლები ქ. სოჭის მიდამოებში. ამიტომ იყო, რომ მისი აგენტები ბოლშევიკების აგენტებთან ერთად ჩვენ წინააღმდეგ მუშაობდნენ.

არასდროს ჩვენ პირველნი მის წინააღმდეგ არ გავლაშქრებულვართ; წინააღმდეგ, შეძლებისდაგვარად ჩვენ მზათ ვიყავით მას დავხმარებოდით, რამდენათაც ის რუსეთის საქმეს აკეთებდა და ჩვენ საკითხებში არ ერეოდა.

1918 წლის ივნისში ნოვოროსიისკ-ტუაპსეს რაიონებში ბოლშევიკებმა მოუწყვეს გენ. ალექსეევს აჯანყება. ამით მათ უნდოდათ ის მოეჭრათ შავი ზღვიდან, საიდანაც იგი ალიანტებიდან ღებულობდა დახმარებას, მაშინ ჩვენ გავგზავნეთ სოჭის მიმართულებით ჩვენი სამხედრო ნაწილები გენ. მაზნიაშვილის მეთაურობით. მან დაიკავა ტუაპსე და შეიჭრა ყუბანის ოლქში არმავირამდი. ამან აიძულა ბოლშევიკები სასწრაფოდ დაეცალათ ტუაპსე-ნოვოროსიისკი-თამანის მიდამოები და მთელი ნაპირები შავი ზღვის. ამრიგათ მოხალისეთა არმიას გაეხსნა გზა შავი ზღვისაკენ და მისი ნავთ-სადგურები: ტუაპსე, ნოვოროსიისკი და თამანი. ამ ჩვენ კეთილ ხურვილებზე და დახმარებაზე შემდეგში გენ. დენიკინმა გვიპასუხა კონფისკაციით ჩვენ ყუბანში ნაყიდ ნახევარმილიონ ფუთი პურისა.

ჩვენ გვწამდა, რომ, თუკი რუსეთში ნორმალური დემოკრატიული მთავრობა დამყარდებოდა, საქართველოს და რუსეთს შორის სადაო საკითხები იოლად ამოიწურებოდნენ. სამწუხარო გენ. დენიკინს სურდა საქართველო ძალით და სიშტით გადაექცია რუსეთის უბრალო გუბერნიად. მისი მთავრობა მეტ ყურადღებას აქცევდა კავკასიის ერების ძალით დამონებას, ვიდრე ბოლშევიკურ ძალას მოსკოვში. გარდა ამისა, მისი ყოფაქცევა უკვე მის მიერ დაპყრობილ რუსეთის ტერიტორიებზე აშკარა მაჩვენებელი იყო, რომ მას რუსეთში მომავალი არ ქონდა.

გენ. დენიკინის მოძრაობა პოულობდა მნიშვნელოვან თანაგრძნობას სომხეთში. ეს გარემოება იყო მიზეზი შუღლისა ჩვენ და სომხებს შორის, რომელმაც მიგვიყვანა 1918 წ. დეკემბერში ქართულ-სომხურ ომამდი, რასაც ისტორიულად ოცი საუკუნის განმავლობაში არასდროს ადგილი არ ქონია.

მიუხედავად ზემოთმოყვანილ ჩვენ და დენიკინს შორის არსებულ დამოკიდებულებისა, როდესაც ის თავის ჯარით დაილუპა, ჩვენ რამდენიმე ათეული ათასი მისი ჯარისკაცებისა მივიღეთ ჩვენ ტერიტორიაზე, რამდენიმე თვე ისინი ვარჩინეთ და ვეხმარებოდით ყირიმში თუ კონსტანტინოპოლში გამგზავრებაში. ამ ფაქტმა შემდეგში ძლიერ გაგვირთულა დიპლომატიური დამოკიდებულება რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობასთან.

სხვათა შორის, ღირს აღვნიშნო ერთი ფრიად საყურადღებო ფაქტი. ჩვენ წინააღმდეგ მოქმედ, ეგრეთწოდებულ კავკასიის არმიის მეთაური იყო გენ. ერდელი. ის იძულებული გახდა მოდგომოდა ჩვენ საზღვარს სამხედრო გზით დარიალის უღელტეხილზე, იქიდან მთხოვა მე მომეხერხებია მისი ჩამოსვლა თბილისში. ჩამოსვლისთანავე მინახულა მე და მადლობა გადამიხადა. დიდი უკმაყოფილო იყო გენ. დენიკინის მოქმედებით. ჩვენი ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ როდესაც გენ. დენიკინის არმიები უახლოვდებოდნენ მოსკოვს და თვითეულ ბატალიონს იქ მისთვის ქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ერდელის განკარგულებაში ჩვენს საწინააღმდეგოთ ყოფილა 85 მხოლოთ ქვეითა ათასეულები. როდესაც მე მას საბუთებით ხელში დაუმტკიცე, რომ ჩვენ მის წინააღმდეგ გვყავდა მხოლოთ 2100 მებრძოლი, მის აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ №22-23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი ქავთარაძე 50 წლისაა

## ახალი ჰორიზონტი

გურამ ბათიაშვილი



არც კი მახსოვს როდის, სად გავიცანით ერთმანეთი. ერთი მზიანი დღე შემორჩა მეხსიერებას: გოგი ქავთარაძე, დღეს რომ 50 წლისა გახდა, მაშინ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, მე ახალი დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტი. თეატრი ჩვენი თაობის უწმინდესი ტაძარია, საიდუმლოებით მოცული ტაძარი. გოგი და მე ვდგავართ რუსთაველის თეატრთან, მიამბობს, თუ როგორ ჩაიარა სტუდენტური თეატრების საკავშირო ფესტივალზე მის მიერ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით დადგმულმა სპექტაკლმა, განხილვაზე როგორი აღფრთოვანებით ილაპარაკა პროფესორმა გეორგ გოიანმა.

მას შემდეგ, რაც გოგიმ ითამაშა სოსოია გიგა ლორთქიფანიძის პოპულარულ სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“ და სასიკო მიხეილ კობახიძის ფილმში „ქორწილი“, იგი ჩვენი, ახალგაზრდობის კერპი გახდა. თუმცაღა, რატომ მხოლოდ ჩვენი? ყველას უყვარდა — დიდსაც და პატარასაც. მან შექმნა ჩვენი დროისათვის ერთობ საგულისხმო სახე ქართველი ჭაბუკისა — ალალი, გულღია, მიმნდობი, მიმტევებელი, ჭკვიანი, კეთილი სოსოია ჩვენს მაშინდელ ინტერესებს, მისწრაფებებს პასუხობდა — იგი იყო ისეთი, როგორიც გვინდოდა ყოფილიყო ჩვენი გარემომცველი სამყარო.

იმ დღიდან ლამის 30 წელი გავიდა. მას შემდეგ, თითქმის ერთად ვართ. გოგის, ვგონებ, არ დაუდგამს სპექტაკლი, მე რომ არ მენახოს, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში თუ სოხუმში. მისი ცხოვრება ჩემს თვალწინ მიდის და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: გოგი დღესაც ისეთივე დარჩა ჩემთვის, როგორც სოსოიას თამაშისას იყო — წმინდა და ალალი. მისი სუფთა ღიმილი მსახიობის ნიღაბი არ არის, ბავშვივით მიმნდობია და მოყვარული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვინმეს აგრე იოლად ძალუძდეს მისი გაცურება, სულაც არა! ასეთ ცდას მეხივით დახვდება, ისევე, როგორც ბაქიობასა და მკვეხარობას (ერთხელ, ქუთაისის თეატრში რომ მუშაობდა, სპექტაკლის, ვგონებ, ა. აბდულინის „მეცამეტე თავჯდომარის“ განხილვაზე ჩავედით ერთი თეატრმცოდნე და მე. თეატრმცოდნემ განხილვაზე ძალიან „ჭკვიანური“ ლაპარაკი დაიწყო, იმ შესანიშნავ მსახიობებს, ქუთაისის თეატრს რომ ამშვენებენ, არა მხოლოდ ჭკუის სწავლება, თითის ქნევაც დაუწყო. გოგიმ მისთვის ჩვეული პირდაპირობითა და გულღიაობით უთხრა თეატრმცოდნეს — შენ მგონი, ახლა აქ გინდა ილაპარაკო ის, რისი ლაპარაკის უფლებას რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში არ გაძლევენო). ამიტომ, გოგი ჩემთვის იქცა ერთგვარ ხატად ქართველი კაცისა — დამნდობი, მიმნდობი, მოყვარული, გამრჯე კაცისა, რომელსაც თავდაუზოგავი შემოქმედებითი გატაცებაც ახასიათებს და ასევე ძლიერი დაუნჯებაც, გაცეცხლებაც იცის, მაგრამ დასკვნის გამოტანისას იშვიათად აჩქარდება. ბუნებით ანალიტიკოსია, ტემპერამენტით—რომანტიკოსი. შრომაში დაუზარელი, დაუზარელი კი არა, დაუნდობელიც. რეჟისორის შრომა კი ისეთია, თუ თავისი გზნება სხვასაც არ გადასდო, ყველაფერი ამაოა, ყველაფერი აზრს კარგავს, რადგან სხვები ახორციელებენ იმას, რასაც რეჟისორი მოიფიქრებს. თავის თავს რომ არ ინდობს, ენერგიის დაშრეტამდე რომ მუშაობს, აღარც სხვები (რაღა სხვები — უახლოესი ადამიანები — მსახიობები) იშურებენ ძალასა და ენერგიას. ასეთ რიტმს კი სიკეთე მოაქვს ჩვენთვის, მხოლოდ სიკეთე. ჯერ ერთი, კიდევ ერთხელ, ალბათ, მეათიათასჯერ ვრწმუნდებით, რომ შრომაა ადამიანის ამ უკიდეგანო სამყაროში გადარჩენის ერთადერთი გზა, მხოლოდ შრომას შეუძლია მოგანიჭოს შვება და მერეც — არა ზოზინით, არა მეზვალეობით, საკუთარი მიკროკლიმატის, მიკროკომფორტის შექმნაზე ზრუნვით იწყება ნამდვილი თეატრალური ცხოვრება ამა თუ იმ ქალაქში, არამედ ისეთი თავდაუზოგაობით, როგორიც გოგი ქავთარაძეს სჩვევია.

არავითარ თეატრალურ დაჯგუფებაში არ გაერევა, რადგან, თავად არის ერთი სამყარო — მრავალფეროვანი, საინტერესო, მიუდგომელი. ამიტომ, ენდობიან მსახიობები, ამიტომ მიაჩნიათ მისი სიტყვა მიუდგომელი კაცის სიტყვად. იქნება შეცდეს, იქნებ, უმტყუნოს ალღომ, მაგრამ არ მიემხრობა იმას, ვისაც მგონია, გუშინწინ ღამე ერთად გავვითენებია და ამიტომ მხარში ამომიდგებაო. ამიტომ, ისიც კი ენდობა, ისიც კი პატივს სცემს, ვინც იქნებ, გაბრაზებულიც კი იყოს მასზე; ვისაც პატივმოყვარეობა, ამბიცია არ აძლევს საშუალებას, ბოლომდე გახსნას შუბლი, გული. ამ თვისებებმა განაპირობეს ის, რომ გოგი ქავთარაძე მუდამ ლიდერია. სადაც არ უნდა ჩავიდეს, რომელ ქალაქშიც, ორიოდ თვეში მის ორგვლივ უამრავი ხალხი იყრის თავს. ამ ხალხს იგი უყვარს, პატივს სცემს, ენდობიან. ბათუმის შემდეგ ერთხანს თბილისში იყო, მერე წავიდა ქუთაისში. მე მახსოვს ქუთაისის თეატრში პრემიერაზე უამრავი ბათუმელი ჩამოდიოდახოლმე. ქუთაისიდან სოხუმში რომ მოუწია გადასვლა, ახლა აქ ქუთაისელებიც ჩამოდიოდნენ და ბათუმელებიც, ამიტომ, სულ სასტუმროების ძებნაში იყო. მაგრამ ამ ქალაქში გაჩენილი მეგობრები მუდამ გვერდით უდგანან.

დღესასწაული იყო შექსპირის „მეთორმეტე ღამე“ — ცოცხალი, ხალისიანი, ახალგაზრდული ტემპერამენტითა და სიცოცხლით აღსავსე. ცხადია, ბათუმელებმა ადრევე იცოდნენ, მაგრამ ბევრისთვის (მთელ რესპუბლიკაში) ამ სპექტაკლით გახდნენ ცნობილნი იური ცანავა და ამირან ტაკიძე, ლამარა ყარასაშვილი და მანუჩარ შერვაშიძე, ნინო საკანდელიძე და როლანდ კაკაურიძე, ბერდია ინწკირველი, ნუნუ ხინიკაძე.

ალ. ჩხაიძის „სიდი“—ერთ-ერთი საუკეთესო სცენური განხორციელება ამ პიესისა, 60-70-იანი წლების ცხოვრების განაჩენად იქცა.

„დრო-24 საათი!“ ვალერიან კანდელაკისა. მართლაც საოცარი დრო იყო — გენერალმა მაზნიაშვილმა რომ ბათუმი გაათავისუფლა და თავისუფალი დაუტოვა საბჭოელებს. ამაზე წერა, ამის თამაშიც კი გმირობად ითვლებოდა. ეროვნულობა პარტიულობაზე მაღლა დააყენეს მაშინ ქართული სოციალდემოკრატიის სამხედრო ლიდერებმა. ისედაც მომხიბვლელი მსახიობი იური ცანავა ჩინებულად თამაშობდა მაზნიაშვილს და ჩვენ გვჯეროდა ისტორიული სიმართლე, მხატვრული სიმართლე.

არასოდეს დამავიწყდება ბათუმში განხორციელებული „რევიზორი.“ არ დამავიწყდება იმ აზრის გამო, რაც რეჟისორმა ჩადო ამ სპექტაკლში. პიესა თავისთავად ხომ ბრწყინვალეა და ყოველ დროში ჰპოვებს გამოძახილს, მაგრამ იმჟამად, იმ წლებში, როცა სპექტაკლი იქმნებოდა, რეჟისორმა პიესა კონკრეტულად თავისი გარემოსა და დროის სამსახურში ჩააყენა და ის ათქმევინა, რაც მაშინ ყველას გვაწუხებდა. ამ სპექტაკლმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა არამარტო ბათუმის თეატრის შემოქმედებით ძლიერებაში, არამედ იმაშიც, რომ ქართულ რეჟისურაში მოდიოდა საინტერესო შემოქმედი. მე ეს სპექტაკლი უწინარესად იმით მომწონდა, რომ „რევიზორი“ ერთობ თანამედროვედ ჟღერდა. დღევანდელობაზე იყო ეს სპექტაკლი. იმ დროზე, რომელშიც დაიდგა. გოროდნიჩი რომ დაბაში რევიზორის ჩამოსვლის ამბავს გაიგებდა, მერე დაბის მესვეურნი ეს ბობჩინსკები, დობჩინსკები, ლიაპკინ-ტიაპკინები, რომ ხლესტაკოვთან ქრთამის მისაცემად მიდიოდნენ, თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს ძალიან ეშინოდათ, მახსოვს, როგორ ცახცახებდა ჩინებული მსახიობის კაკაურიძის ბობჩინსკი. თითქოს ყველას შიშის ზარს სცემდა ცენტრიდან ჩამოსული ჩინოვნიკი. სწორედ მეორე პლანში იყო ის აზრი, რომელიც დროს ესმიანებოდა — მეორე პლანში აშკარად იგრძნობოდა, რომ ეს არ იყო ნამდვილი შიში, ეს იყო რევიზორის წინაშე გათამაშებული, მოჩვენებითი შიში („ნახეთ, როგორ გვეშინია თქვენი“), სინამდვილეში არაფრის არ ეშინიათ, ქრთამის მიმცემს ქრთამის ამღებისა, მართლაც, რატომ უნდა ეშინოდეს? ისინი ხომ ერთი ცომისაგან არიან მოზელილნი. ის, ვინც დღეს აძლევს, ხვალ აიღებს და ის, ვინც ახლა იღებს, მერე გასცემს. „რევიზორის“ ამ პერსონაჟებს ბევრი რამ აახლოებდათ ერთმანეთთან, უფრო მეტი, ვიდრე აშორებდათ. ეს კარგად ჩანდა მომდევნო სცენაში — როგორც კი ხლესტაკოვი ფულს ჩაიდებდა ჯიბეში, ქრთამის მიმცემი ქალაქის ყოველი მესვეური მხარზე ხელსაც მოუსვამდა, ამ წუთიდან ჩვენ ერთი ვართ, რამ გაგვყოო.

როგორ ჰგავდა ყველაფერი იმას, რაც ცხოვრებაში ხდება. როგორ უახლოვდებოდა კლასიკა თანამედროვეობას!

ქუთაისში გოგი ქავთარაძის პირველი სპექტაკლი კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ გახლდათ. უამრავი ხალხი ჩამოვიდა პრემიერაზე: ქუთაისის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის უზარმაზარ კაბინეტში (უცხოეთში ბევრი თეატრი ამ კაბინეტის ოდენა არც არის) ანტრაქტში იმდენმა ჩამოსულმა მოიყარა თავი, კაცი კაცს ვერდს ვერ აუქცევდა. ქუთაისში განხორციელებული სპექტაკლებიდან რამდენიმე, ალბათ, სამუდამოდ დამამახსოვრდა. თუნდაც დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ რად ღირს! რამდენი სევდა იყო ამ სპექტაკლში, სევდა და ტკივილი არა მარტო დარისპანის და კაროჟნას ბედის, არამედ ყოველი ადამიანის გამო, რომელიც კი სცენაზე გამოჩნდებოდა. უყურებდი ამ სულისშემძვრელ სპექტაკლს და კიდევ ერთხელ გრძნობდი დავით კლდიაშვილის სიდიადეს, როცა დარისპანი და კაროჟნა კვლავ გაუყვებოდნენ გზას, როცა გამოჩნდებოდა უკანა პლანში მოქცეული ნაღვლით სავსე გზა, იწყებოდა შემოდგომის ნაღვლიანი ფოთოლცვენა — ნელ-ნელა, თითქოს მდორედ, მაგრამ საოცარი სევდის მომგვრელად ეცემოდნენ ფოთლები, დაინახავდი ამ სევდიან გზაზე მიმავალ ჭარმაგ ქართველ კაცსა და მის ასულს, გულში რაღაც ჩაგწყდებოდა, რადგან იცოდი, რისთვის გაუდგნენ ამ უსახურულო სევდით აღსავსე გზას.

ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“ ეროვნული გრძნობის ისეთი ამაღლებული განცდა, როგორიც ამ სპექტაკლზე ეუფლებოდა მაყურებელს, იშვიათია თეატრში. რეჟისორმა სპექტაკლში „დაიხმარა“ ქუთაისის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც მაშინ ჯემალ ჭკუასელი ხელმძღვანელობდა. სიტყვა, სიმღერა, ცეკვა — ამ ელემენტების ერთობლიობა ქართული ფენომენის ისეთ ძლიერ განცდას ზობდა, რომ ძნელი იყო არ განგეცადათ ხალხის სულისკვეთება. ზოგჯერ თეატრმცოდნეები გოგი ქავთარაძეს პირში თუ ზურგსუკან საყვედურობენ, სპექტაკლში შემოგთავაზებს ძალზე საინტერესო მიგნებას, შესანიშნავ დეტალს, რომელსაც მერე აღარ ამუშავებს, ამიტომ ის მშვენიერი მიგნება აღარ ზოგადდებაო. მე ახლა მათთან კამათს არ ვაპირებ — შესაძლოა, მქონდეთ კიდეც მიზეზი ასეთი საყვედურისა, მაგრამ მე იმ მიგნებას, იმ მხატვრულ აღმოჩენას გავიხსენებ, რომელიც „ღალატის“ პირველი მოქმედების ფინალს უძღოდა წინ. ეს გახლავთ სცენა გორში, ოთარბეგის მამულში, ზეინაბისა და ოთარბეგის დიალოგი, როცა ზეინაბმა უნდა „მოაქციოს“ ოთარ ბეგი, უნდა გააღვივოს მის სულში ნაცარწაყრილი სიყვარული საქართველოსი. რეჟისორი, ევა ხუტუნაშვილი (ზეინაბი), და ანზორ ხერხაძე (ოთარ ბეგი), ამ სცენაში იმდენ გამომგონებლობას, სცენის დამუშავების ისეთ ფილიგრანულ ოსტატობას ავლენდნენ, იმდენად გადამდები იყო მათ სულში დაბადებული გრძნობა მამულის ხსნისა და მოვლისა, რომ ემოცია ზენიტს აღწევდა. ამას ერთვოდა ძლიერი, მხნე ქართული სიმღერა, რომელიც გამოხატულება გახლდათ ერის სულიერი ძლიერებისა. ბერის შეძახილი „ქრისტე აღსდგა, ოთარ ბეგ“, ბერის კი არა ჩვენი შეძახილი იყო. თითქოს ჩვენ, დარბაზში შეკრებილნი მივძახოდით ერთმანეთს — სამშობლო აღსდგა, სამშობლო ჩვენი ხვალზეგ გათავისუფლდება, რადგან მას ასეთი წინდახედული, გონიერი და დიდი გულის ადამიანები მეურვეობენ. ამ დროს სპექტაკლით მოგვრილი ემოცია იმდენად დიდი იყო, რომ თეატრიდან გასვლა მინდოდა, მინდოდა ქუჩაქუჩა მევლო, რომ იმ დიდი ემოციისაგან განვმუხტულიყავი. აქ ყველაფერი მთავრდებოდა, სოლეიმან ხანი — მტერი, მოძალადე, დამპყრობელი უკვე დამარცხებული იყო.

ქუთაისში გოგი ქავთარაძის მიერ განხორციელებულ სპექტაკლთაგან ბევრი სხვას გაახსენებს, სპექტაკლებს, რომლებშიც მართლა გამოჩნდა მწერლის ღირსებაც, რეჟისორის და მსახიობთა ოსტატობაც, მე კი ამ ორ სპექტაკლს კი ალბათ ვერასოდეს დავივიწყებ, რადგან ჩემი ერთ-ერთი ძლიერი თეატრალური შთაბეჭდილებაა.

ბევრი მიიჩნევს, რომ გოგი ქავთარაძის ღვაწლი სოხუმის თეატრში ის შემოქმედებითი ატმოსფერო გახლავთ, რაც მან ქალაქში თეატრის ირგვლივ შექმნა. ეს, რასაკვირველია, დიდი ღირსებაა. მე მართლაც ბევრთან მისაუბრია, ქართველ თუ აფხაზ მსახიობებთან, თეატრის მოღვაწეებთან. პირველნი — აღტაცებით ლაპარაკობდნენ თეატრზე, მის ხელმძღვანელზე, მეორენი — კეთილი შურით, ოცნებით, ნატვრით. კი, ეს ღირსება მართლაც გააჩნია დღეს სოხუმის თეატრს, გოგი ქავთარაძემ შექმნა ამგვარი ატმოსფერო, მაგრამ მე სხვა რამ უფრო მიმაჩნია მისაბაძ საქმედ — ის, თუ რა მხატვრული ღირებულებისაა დღეს ეს კოლექტივი. ხალხს ნიჭიერი ადამიანები აინტერესებს, ნიჭიერთა ირგვლივ იყრიან თავს. თეატრის შემოქმედებითმა ცხოვრებამ განაპირობა ის ატმოსფერო, რაც მის გარშემო შეიქმნა ქალაქში, განაპირობა იმან, რომ დღეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რას და როგორ თამაშობს მ. ჩუბინიძე, წ. მახზულია, ნ. ქართსანიძე, ს. პაჭკორია, ფ. შედანია, თ. ბოლქვაძე, ნ. ყიფიანი, გ. რატიანი, დ. ჯაიანი, ბ. ბექაური, ვ. არღვლიანი, თ. ბაბლიძე, ო. ელერდაშვილი, ლ. პაპუაშვილი, დები ხურითები, ვ. ბრეკაშვილი, ო. ყოლბაია და სხვანი. მთელი დასის სია ხომ არ გადმოვიწერ! დღეს სოხუმის ქართული თეატრი ბრუკის ტერმინოლოგიის მიხედვით, „ცოცხალი თეატრია“. შესაძლოა, ზოგი რამ არ მოგვეწონოს ამა თუ იმ სპექტაკლში, შევეკამათოთ კიდეც რეჟისორს თუ მსახიობს, მაგრამ აშკარაა, რომ სოხუმის ქართული თეატრი სწორედ ის შემოქმედებითი კოლექტივია, რომლის ცხოვრება გვაინტერესებს, თვალს ვადევნებთ მას. მისი მსახიობები დღეს ინტენსიურად შრომობენ, ამიტომ არიან ასეთ მხატვრულ „ფორმაში“, ასე მგონია, დღეს ამ დასს ძალუძს დასძლიოს ბევრი შემოქმედებითი პრობლემა. სწორედ აქ იღებს სათავეს ის პოპულარობა, რაც ამ შესანიშნავ თეატრსა აქვს ქალაქში. გავიხსენოთ შარშანდელი ნოემბერი, სოხუმელთა გასტროლებისას მაყურებლით როგორ ისუნძლებოდა რუსთაველის თეატრის დარბაზი. თუ სპექტაკლის წინ ოცი გაწბილებული კაცი მაინც არ დასტოვებს თეატრის შესასვლელს იმის გამო, რომ ბილეთი ვერ იშოვნა, ყველაფერი ამაოა. ამ გასტროლებისას კი ბევრი, ძალიან ბევრი მიდიოდა შინ გულდაწყვეტილი.

გოგი ქავთარაძე თხემით ტერფამდე ქართველია. ქართულ დრამატურგიას იმიტომ კი არ არჩევს, რომ ეს უფრო ეიოლება, არამედ ასე სწამს და ასე სჯერა. რასაკვირველია, დრამატურგიის ტექნიკა უცხოელებს უკეთ აქვთ დამუშავებული, ცხადია, იმ ჭეშმარიტად გამართული, დრამატურგიული კანონების სრული გათვალისწინებით, დაწერილი პიესების დადგმა უკეთესია, მაგრამ იშვიათად ეტანება მათ, მეტწილად ქართულს არჩევს, რადგან ქართველი კაცის სულის სატკივარის გამოხატვა ასე უკეთ შეიძლება. რამდენჯერ მითქვამს, ამა თუ იმ ქართველ დრამატურგზე, რატომ არ დგამ, კარგი პიესა დაწერა-მეთქი. „ოჰ, კარგი ერთი, უცხოურიდან თარგმნილს ჰგავს, ქართული არ არი, რაღა მაგას მოვკიდო ხელი, თუ მაგნაირი პიესების დადგმა მინდა, სჯობია ისევ უცხოური დავდგა, დედანთან უფრო ახლოს ვიქნებით“.

მასთან მუშაობა ძალიან ადვილია. ადვილია იმიტომ, რომ იცის, საით უნდა წავიდეს, რა უნდა გააკეთოს, ავტორის ერთგულია, პატივს სცემს და ენდობა მას, მაგრამ რეპეტიციაზე ახლოს არ გაიკარებს, ვიდრე სპექტაკლის სახე საბოლოოდ არ გამოიკვეთება: მე ვმუშაობ, შენ ხელს შემიშლით. ალბათ, სწორიც არის — იგი სულ სხვა სამყაროს ქმნის, ლიტერატურულ ნაწარმოებს თეატრალურ ნაწარმოებად აქცევს. ეს რთული პროცესია, ძალზე რთული! მაგრამ ყოველ ავტორს სჯერა, რომ გოგი ქავთარაძე თავს არ დაიზოგავს, ყოველმხრივ შეეცდება მაქსიმალურად წარმოაჩინოს პიესა.

ასე მოვიდა დღემდე რეჟისორი და მსახიობი. ნახევარი საუკუნის მიჯნაზე ახალი ჰორიზონტი ჩნდება, სინათლით გასხივოსნებული ჰორიზონტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეზო ჭეიშვილი

# ორი მოთხრობა



## ღამის სტუმრები

ერთ რამესაც ვარ დაკვირვებული: მსმელი რუსი (მეშინია, გლახად არ გამიგონ) კახპას ჰგავს; თუ მოწყნრო გამოფხიზლება (ინტელიგენტზე და მაღალი რანგის ჩინოვნიკზე უფრო ლაპარაკი), ყველაფერი ისტორიას ჩაბარდება მეორედ მოსვლამდე. „კანონშიც" რომ იყოს გამოძინებული, სასმელის საყვედური არ დაცდება. გაისწორებს ჰალსტუხს. შეისხურებს (თუ გადარჩა) ოდიკალონს და ისე გამოცხადდება საზოგადოებაში (ფაქტიურად — სამსახურში) სიცოცხლეში არა დაელიოს რა თითქოს. პირიქითა ვართ ჩვენ:

ზის სამსახურში ნაბახუსევი ქართველი. ამთქნარებს, ოხრავს და თხრობს, სად დალია. ჯერ იქ მოვიკალი თავი, მერე იქ მოვთავდი, დავწყდით ხმითო და სხვა...

რუსი როგორ იქცევა, გითხარით, ჩვენ როგორ ვიქცევით, ვიცით, ჩვენსავით და რუსებივით სხვები არც სვამენ და იმ სხვებზე (გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში) ვერაფერს მოგახსენებთ, თქვენ თუ გამოიდებთ თავს, სხვა იქნება. ერთიცაა: რუსებს რომ ვედრებით, შედარებისათვის ვეზმანებით მხოლოდ, თორემ ჩვენი სმის წესიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, სხვანაირია; აკადემიურ-რიტუალურია ერთგვარად. ცალკე შესწავლისა და გაანალიზების ღირსიც კია, მაგრამ ამაზე აქ ლაპარაკი აღარ გვექნება.

ბიჭიკო:

ზაფხულია. ღამე. სიცხე სულისშემხუთველი. ცხელი ქარი დაქშის. ვიღაც მეძახის. მეყურება? ქარს თუ მოაქვს ეს ხმა.

— ბიჭიკო!..

ვინ ოხერია ამ ნაშუაღამევს. დედაჩემი გახდა დაწოლამდე გლახად. წნევა გავუზომეთ, ნემსი გავაკეთებინე, ჩავაძინეთ, რავარც იქნა. არცაა არავინ მეტი სახლში. ცოლ-შვილი ქობულეთში მყავს დატოვებული. გავრგე ფლასტებში ფეხი, გავედი, გავხედე. ორი კაცი დგას ჭიშკარში. არც გალების ჭრიალი გამიგია, არც საკეტის რაჩხუნი. დგანან ჭიშკრის დედოს ჩრდილში, ქარიან მთვარეში. ერთი ნამეტანი დიდია (შორიდან ასე ჩანს), მეორე ნამეტანი პატარა. ძაღლი დააბიო, ერთმა დამიძახა. ხოხოია უბედურნახევარი ვიცანი. სად მყავდა ძაღლი. რომ მყოლოდა, რავა დავაბამდი! მეორე ვინღაა? ბავშვი ახლავს ვითომ?.. მივედი, დავაკვირდი... ბახაია. კაცი კაცს სად არ გადაეყრება, მაგრამ მაინც გამიკვირდა იმათი ერთად დანახვა. ერთი ალთას იყო და მეორე ბალთას საძმაკაცოში, ისე, კარგად კი არიან, ხოხოია ქანაობს, ბახაია იფხორება. ვისზეა გულმოსული, რას გაიგებ. უძილარი მჭირდა და ქეც გამიხარდა ბოლოსბოლოს ამათი დანახვა, მარა ცოლი არაა, დედა, ქე გითხარით, ავადაა, მინარჩენ-მონარჩენი არის მაცივარში, მარა რას კმარა! არაფერი არ გვინდაო, ბახაია მეუბნება, შენ ბეოლაზე გაგვიშალე სუფრა, პურმარილი ჩვენზე იყოსო. გასაშლელი და გამოსატანი არაფერი მქონდა, თვარა მაგიდა და სკამები ქე იყო ხეზე გაწყობილი. ღამითაც კარგია იქ ჯდომა, შრიალ-შრიალი გაუდის ფოთლებს. ღვინო გამოიტანე, პურმარილი დოლში მაქვსო, ბახაია ხლიწინებს. ამას თავი ხომ არ ტკივა, ვფიქრობ. თურმე [illegible] მეუბნება. ქორწილიდან მონავალან, მერე გავიგე. ერთი მაყრად ყოფილა დაპატიჟებული, მეორე დამკვრელად. გაქცევია სუფრა თამადას შუაღამისას. გენძეხაძე შეჩენია დამკვრელებს: მე რომ მიყვარს ის შეუბერეთ, არ გაჩერდეთო. შეუბერე კაიაო, მეკლარნეტეს უთქვამს, ჩაიყავი ჯიბეში ხელი, მორიელი ხომ არ გიზის შიგო. შენი წონა ფული ჩამიკუჭია შენთვის სხვა დროსო, გენძეხაძეს უპასუხნია თავისებურად. ბახაიას უთქვია, შენ ხომ არაფერი გეშლებაო. მათხოვე მაგ დოლი და თუ მეშლება, გეტყვიო. გამოურთმევია დოლი და ჩამოუფხრეწია თავზე. ძლივს გამოუძვრიათ ბახაია დოლიდან და ამტყდარა, მარა რა ამტყდარა. დაურღვევიათ იქაურობა. ხოხოიას წარბი ჰქონდა გასიებული. ბახაიას არ მოუტანია გულთან არაფერი. ხელჩართულ ჩხუბში გაუვსია დოლი საჭმელით. რო არის ლაწა-ლუწი სუფრაზე, ბახაია ტენის თურმე დოლში ხაჭაპურებს, შემწვარ წიწილებს. ქე იდო დოლი მართლა ჭიშკარგადაღმა. ძლივს ავწიე, გულჩახუტებული წამოვიღე. გავაწყვე მოკლედ სუფრა ბეოლაზე. ხოხოიამ დაიბარა, მოვალ ახლავეო და ქუჩაში გადაბნელფებდა. მოყარაულე ჯარისკაცს გამოლაპარაკებია ადრევე საწყობთან, სიგარეტი უჩუქნია, ძმები ვართ ერთმანეთისო... იმას მიაკითხა ისევ. სამხედრო ფარდულები დგას, თუ იცი, არხის პირას. სროლა იყო წინაკვირაში. იარაღის წასაღებად მოვიდნენო, ცეცხლი გაუხსნეს მილიციას. მილიცია იარაღის წამღებს მოყვა, დაჭრეს ერთი მილიციელი, ერთი სალდათი მოკლეს მანამდე. იყო ვაი-უბედურება. მერე მიფარცხეს რავარცხა იყო ყველაფერი და იქ არ მიდის ხოხოია! რავარი საქმეა! ვაწყობ დოლის პურმარილს და ხოხოიას ჯავრი მაქვს, გადამკიდებს რაღაცას ვიცი და ისე აგიხდათ ყოველივე კაი... არ მომიყვანა, ბიჭო, ყარაული პოსტიდან! რაფრად წამოყვა, მე იმის, პირი ქვისკენ მიქნია. თუმცა ხოხოიას ენა აქვს, ყვავს ჩამოაგდებს ხიდან. ჯარში ქეა ნამსახური და იმათი ენაც ესმის. უძახა თურმე ბრატ, ზემლიაკ, ერთი ჭიქა დალიეო და არ მოიყვანა ყარაული გაძეძგილი ავტომატით! ვაი, შენ დედას! გამხდარი, მაღალი, ჭორფლიანი რუსია. არც ავს ამბობს, ეს ჩემის გადანგრეული, არც კარგს. მარანი უნდა ვაჩვენოთ შენი, უნდა გადავრიოთო, ხოხოია მეუბნება. რას ერჩი, მე ვუთხარი, რაზე გინდა ამის გადარევა! გავბრიყვდი. შევუძეხი. რა ჩემ ფეხებად უნდოდა ჩემი მარანი. არადა მარანია ჩემი სასტუმროც და მისალებიც, გადავყევი იმას და სახლი გაურემონტებელი დამირჩა, იქაურობა გამოვაწყვე მარტო უმაღლესად. შევუშვი. შევყევი. ბოცები მაქვს სავსე ძველი და ახალი ღვინით. არაყი ცალკე გაკამკამებული. ამოუტრიალდა თვალები სტუმარს. წყალიაო, იკითხა. ვოტკაათქვა, ჩვენ ვუთხარით. ჩაუვარდა ისევლე ენა. ქართველის მარანში მოხვედრილმა არყის შემხედვარე რუსმა იკითხა, რაფრად გძინავთ ამის მაყურებლებს ამ სახლშიო, ქე არაა ნათქვამი!.. ასე იტყოდა ისიც, მეგონა. არ ამოუღია იმ გაჭირვებულს ხმა. ჩვენც აღარ შევაწუხებია მაინცდამაინც, დავსვით ბეოლაზე და დავუდევით წინ შემწვარ-მოხრაკული. არ ჭამა, დალია მარტო. ამისთანა მარანი აქვს აქ ჩვენთან ყველასო, ხოხოია უხსნის. მოეშვი ბიჭო, მე ვეუბნები... მოუსავლიდანაა ჩამოსული და იცოდესო, დიდი ჭიქები შეუვსე პირისგასახსნელად. მოკლავს, მე ვეუბნები, რას აკეთებ-თქვა. არაუშავს, ერთბაშად დალევს და წავა, აბა სულ ხომ არ მიატოვებს იქაუროაბასო. დაუსხა, დალია, დალია, დაუსხა და წაიყვანა მალე. გამოართვა გაძეძგილი ავტომატი და გაყვა. ქე მობრუნდა მალევე. მიიყვანე? ვეკითხები. ეგერ დავსვი გადაღმა ქვაზე, ავტომატი ქე ჩავუდევი მუხლებში, წაიძინებს, გამოფხიზლდება და მოძებნის პოსტსო. რაღა ვქნა, მე ვთქვი, ახლა! შენი ოჯახი დაიქცა ხოხოია, მაინც ქე ხარ დაქცეული, მე ვუთხარი. რა იყოო. რაღა რა იყო, მე ვუთხარი, ვერ ჩააბარე ვინმეს, მე ვუთხარი. ჩავაბარე, აქტით კი არ მყავდა წამოყვანილიო. მოგვიშვებს ახლა ავტომატის ჯერს, მე ვუთხარი. ხო კაი ჭკუაზე ხარო, ხოხოიამ მკითხა. ელექტრონის შუქში ვზივართ, ბეღურებივით ჩამოგვყრის ბეოლიდან, მე ვუთხარი, არ უნდა ამას ლაგლაგი, უეჭველი ასე იქნებათქვა. გამწვანდა და გალურჯდა, ეწიშნა ჩემი ნათქვამი. მატარებელს გადაუდგება, მარა მაგნაირ შეშინებასაც ვერ ნახავ ხანდახან. გამოვრთოთ შუქიო, იყვირა ძილღვიძილში ბახაიამ. გამოსართველი სახლში მქონდა. ჩავალ გამოვთიშავთქვა. ამდენს ვინღა გვაცლისო და ეცა ხოხოია გახურებულ ნათურას, დაეთუთქა ხელისგულები და მაინც ჩამოხსნა. ჩავბნელდით და ვერ მოვისვენეთ. გადაკიანთებული ღამე იყო და ბეოლა ჩანდა განათებულად მაინც. მოგვიშვებდა იქაც, ლაპარაკი არ უნდოდა. ვიკადრეთ და ჩავედით, ჩავზიდეთ პურ-მარილი, მალულად, ლაფეროში დავჯექით, ხმადაბლა ვილაპარაკეთ, მერე შიშმაც გაგვიარა.

ქვაზე დამჯდარმა ჭორფლიანმა ჯარისკაცმა ის სუფრა დაიმხრო, რომელზედაც აპურმარილეს. ამოიღო თვალში სუფრა და ჩაბნელდა კიდეც სამიზნე. მწვანედ აშრიალებული ხეც გაფერმკრთალდა. უყურა ჯარისკაცმა ხეს, უყურა, ვეღარა გაარჩია რა და თავმა დაძალა.

— Гады — ჩაილაპარაკა და ჩაეძინა.

ბრძენი იყოო, დაწერა არქანჯელო ლამბერტიმ, ყოველმხრივ გათახსირებული და ზნედაცემული სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანიო.

ᲐᲠᲥᲐᲜᲯᲔᲚᲝ ᲚᲐᲛᲑᲔᲠᲢᲘ (XVII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ).

„...თურქეთიდან როცა ელჩები მოვლენ, დადიანი საზღვარზე თავის კაცებს დაახვედრებს, რომელთაც ნაბრძანები აქვთ, გვერდი აუხვიონ კარგ, პირდაპირ გზებს და გამოატარონ ციცაბო კლდეებზე, ტალახიან გზებზე, დაბურული ტყეებითა და ცუდი ადგილებით; მდინარეებში გასვლისას უნდა ამოერჩიათ ღრმა ფონი. ღამით უნდა დაებინავებინათ ღარიბი გლეხის სახლში, ლოგინად დაეგოთ მხოლოდ თივა და ეშოვნათ მწირი საჭმელი. ელჩები ფიქრობდნენ: მთავრის სახლში როცა მივალთ, მაშინ მაინც კარგად მოგვასვენებენო, მაგრამ მთავარი იქაც ახირებულად დახვდებოდა: დამჯდარი ხის ქვეშ, ძველს ხალიჩაზედ. ღარიბულად ჩაცმული მიიღებდა ელჩებს. გარშემო მრავალი მხლებელი ჰყავდა, მაგრამ ყველანი ცუდად ჩაცმულნი. მოსასვენებლად მიუჩენდა ერთ დიდ ფიცრულ სახლს, თითქმის უკაროს და უსახურავოს, რომელშიაც კაცი ერთ კუთხესაც ვერ იპოვიდა, რომ წვიმის დროს თავი შეეფარებინა. საჭმელად ყოველ დღე მიართმევდნენ ბევრი თხის ხორცს, პურს, რომელიც ისედაც ცოტაა ამ ქვეყანაში, ისე გამოზოგვით მიართმევდნენ ხოლმე, რომ იგინი შიმშილსაც ვერ იკლავდნენ. რაც შეეხება ღვინოს, თუმცა ელჩებს დიდი სურვილი ჰქონდათ თავიანთი კანონები დაევიწყნათ და დაელიათ ყურძნის წვენი, მაგრამ ისეთს საძაგელს ღვინოს მიართმევდნენ, რომ ძალაუნებურად უნდა მტკიცედ დაეცვათ თავიანთი კანონი და წყურვილი მარტო წყლით მოეკლათ.

აგრე შეწუხებულნი და გაჭირვებულნი იყვნენ დადიანის კარზე ელჩები. ისინი სწყევლიდნენ იმ წამს, როცა მოვიდნენ ამ დაწყევლილს და ჯოჯოხეთზე უარეს ქვეყანაშიო. ყველა ღონეს ხმარობდა დადიანი, რომ კონსტანტინეპოლში ცუდი აზრი ჰქონოდათ ამ ქვეყნის შესახებ და ხონთქარს აზრადაც არ მოსვლოდა არც ხარკის მომატება და არც ამ ქვეყნის სრულად დაპყრობა".

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ.

ბოლო, ციტირებულ ნაწილში ჰონორარს ნუ გამოწერთ, რადგან ისე დაღმავლობით წავა, ისე დაადაღმადავლებენ ხოკოებივით მომრავლებული ვაიპოლიტიკოსები საქართველოს ეკონომიკას, ხალხის მატერიალურ ყოფას, რომ დადიანის მეთოდის გამოყენება ბარე მრავალ წელს აღარ დაგვჭირდება; იტალიელ მისიონერს, კარგ კაცს არქანჯელო ლამბერტის კი პირადად მოვახსენებ მადლობას, იმქვეყნად რომ შევხვდები.

## ნიკოლოზ გრაჩოვი



რამდენჯერმე ვიყავი ბროლის ქარხანაში, რამდენიმე კაცი გავიცანი, რამდენიმე ჩემდაუნებურად დავიმახსოვრე; კოლია გრაჩოვი კი ვერ გავიხსენე. იცნობდიო, ამიხსნა იუზამ, მზა ბროლის საამქროში პატარა სუფრასთან დავუძახეთ, კალთა არ ჩამოგვიხევია, მაგრამ დაჯდომაც ვთხოვეთ, არ დაჯდა, ერთი ჭიქა დალია, გაგვეცალა. გამხდარი კაცი იყო, ნაყვავილარი სახისა, ცალთვალმოჭუტული იცოდა დგომაო. ვიხსენე, ვერ გავიხსენე, ვერ აღვიდგინე სახება ხმელი კაცისა ცალთვალწაჭუტული რომ დგებოდა ხოლმე. ნაყვავილარი სახის რუსი კი სხვაგან, სხვა ადგილებშიაც ბევრი მენახა და ბოლოს პატარა ქარხანა არაფერ შუაში უნდა ყოფილიყო. არ მახსოვს გრაჩოვი-მეთქი, გავტყდი. ჩემ ცუდ სახატე მეხსიერებას, რომელსაც მედიცინაში (ეს ახლახან გავიგე) თანდაყოლილი პროზოპაგნოზია ჰქვია, სხვა დროსაც ბევრჯერ ჩავუგდივარ უხერხულ მდგომარეობაში.

ᲘᲣᲖᲐ:

ჩამოვიდა მოსკოვიდან. მოსკოვური სახლი, რა სარგებლით, არ ვიცი, გადაცვალა ჩვენსაზე და ერთოთახიან ბინაში დამკვიდრდა „ავანგარდის" დასახლებაში. ცხოვრობდა ცოლთან, მაგრამ მარტოხელა კაცი ერქვა მაინც. ცოლი, ქმრის განმარტებით, საქმეების გამო თვეობით იკარგებოდა და კოლია გრაჩოვის სიმარტოვეც, ცხადია, ამით იყო გაპირობებული. ერთადერთი ქალიშვილი რუსეთის რომელიღაც ქალაქში იყო გათხოვილი. დროდადრო აგზავნიდა წერილებს და მამა ამას საგანგებოდ აღნიშნავდა. ცოლი კი, უნდა ვივარაუდოთ, რჩებოდა მოსკოვში ისევ და ისევ საბინაო (გაცვლა-გაფორმება და სხვა) საკითხების მოსაგვარებლად. ნაკითხი კაცი გახლდათ და განათლებულიც ეთქმოდა მუშის ბარობაზე. სვამდა. ზომიერადო ვერ იტყვი, თუმცა ვერც გადამლაშებულ მსმელს დაარქმევდი. მუშაობაში ხელი არ ეშლებოდა, წიგნის კითხვასაც ახერხებდა რაღაცნაირად. ცოტას ლაპარაკობდა, მოსმენა შეეძლო სამაგიეროდ. ისედაც წაჭუტულ ცალ თვალს წაჭუტავდა და მოგჩერებოდა. რა მოხელე იყო და სვარჩიკი, ქართულად როგორ უნდა ვთქვა?

— შემდუღებელი.

— მრჩილავიო, იაშამ მითხრა, კინაღამ ენა მოვიმტვრიე. შემდუღებლად მუშაობდა მოკლედ. მაგარი მოხელე, ნამდვილი პროფესიონალი. შესაბამისად გააწყობდა რკინებს. მეძღლის ცივად გამოკვეთილს ჰგავდა მინადუღარი. სატრაქტორო ქარხანაში დაიწყო სამსახური თავდაპირველად. კერძო მშენებლებს მიყავდათ კვირა-უქმე დღეს, სხვა დროსაც... რამდენჯერმე დავითრიე და სხვაზე მეტად დავუახლოვდი. ფულს არ ვახარბებდი, არ ვაკლებდი, არ ვუგვიანებდი, ზედმეტსაც არ ვტენიდი და ეს მოწონდა. რამდენი გაქვს ხელფასი სატრაქტორო ქარხანაში-მეთქი, ვკითხე ერთ დღეს. ორასორმოცდაათ მანეთამდე გამოვდივარ თვეშიო. მეტს მოგცემ და გადმოდი ჩემთან, გაბმული სამუშაო არა მაქვს, დრო დაგრჩება, თავისუფლება გექნება-მეთქი. გადმოვიბირე. უქმად მყავდა მართლაც ნახევარჯერ. წაკუზული იჯდა ხოლმე სკამზე საყარაულოსთან, წიგნი ორი ხელით ეჭირა და კითხულობდა, არყის მსუბუქი ორთქლიც ამოუბოლავდა პირიდან. დილაადრიანზე გადიოდა. თურმე რიონის სადგურში, სისხამზე დაურტყამდა გლეხის ჭაჭას, რაღაცას მიაყოლებდა და სამსახურში სხვაზე ადრე გამოსული თავაუღებლად მუშაობდა დღის ბოლომდე; თუ საქმე არა ჰქონდა რა, კითხულობდა, როგორც გითხარი. ჩვენ სუფრაზე მოხვდა რამდენჯერმე, მაგრამ ვერ შევეწყო. ღვინოსაც ვერ გაუგო გემო. ბევრი საჭმელი გილაგიათ სუფრაზე და ბევრს ლაპარაკობთო, გვითხრა. თუ ცოლს გაიგულებდა (დიდი ლოდინი არ სჭირდებოდა) საღამოსაც გადაჰკრავდა, ადრე იძინებდა და დილაუთენია ეღვიძებოდა ამის გამო. ჩემი დაკვირვებით, ცოლი ზღუდავდა, თუმც დალევას არ უკრძალავდა. ცოლის ხათრი და შიში ჰქონდა, უყვარდა ალბათ... კარგი ქალი იყო ის ვალია, რაღა დაგიმალოთ... წიწკვი არ ეთქმოდა, მაგრამ ბარემ ჩვენებურ გასათხოვარს არ დაუდებდა ტოლს. ცხოვრობდა ამ ქალაქში კოლია გრაჩოვი. მუშაობდა. მუშტარი არ ელეოდა, თუმცა, ყველას არ მიყვებოდა; თუ ხოში არ ჰქონდა, საერთოდ არ მოკიდებდა სამსახურგარე სამუშაოს ხელს. რასაც მაძლევენ, ისიც მეყოფნისო, იტყოდა ხოლმე.

მოწყენილი დამისვდა ერთ დღეს, ცოლი გაემგზავრა ისევ და კარგა ხანი არ დაბრუნდება ამჯერზეო. ახლა გაქვს დრო, მე ვუთხარი, იგრიალებ შენს ნებაზე-მეთქი. არაო, ეგრე არ გამოსდისო. ცოლს მიტიროდა და ხუმრობაც არ შველოდა. ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი რომ უნდა მისცემოდა, მაშინდელ არეულობას დაემთხვა ვალიას ბოლო გადაკარგვა. ჩვენთანაც აიშალა ახალგაზრდობა და თბილისიდანაც ჩამოვიდა საგანგაშო ცნობები. აღარავინ მუშაობდა საბროლეთში, ახალ და შემაშფოთებელ ამბებს ველოდით დედაქალაქიდან. რას ითხოვთ, რა გაწუხებთო, დაინტერესდა კოლია გრაჩოვი. ენისათვის ვიბრძვით, ქართული ენის დამცა-

(დასასრული მე-8 გვ.).

(დასასრული)

ვი მოძრაობაა, მე ვუთხარი. იფიქრა. მიყურა, იფიქრა. „რანაირი ხალხი ხართო, ამოღერღა. ენას რად უნდა დაცვა, ენა სხვას ვის დაკარგვია, თქვენ რომ დაგეკარგოთო. ენას ვინ წაგართმევთ, ილაპარაკეთ, ვინ დაგიშლათო, ხორცი და ყველი რომ აღარ არის მაღაზიებში, ამაზე ამოიღეთ ხმა გირჩევნიათო. ზოგიერთმა ჩვენიანმაც დაუჭირა მხარი: მართალს ამბობსო. რის ენა, რა ენა, საჭმელი გაგვიძვირდაო, თქვენ ქართველმა მუშებმაც. საკუთარ მთავრობას აგინებდა კოლია გრაჩოვი. წესრიგი აღარ არის, წესრიგი მოიშალაო. სტალინს აქებდა, შევარდნაძეს ნატრობდა სათავეში. შევარდნაძე გვჭირდებაო. ღმერთი თუ არისთქვა, ვკითხე. ღმერთიო, მითხრა, თუ გწამს არი, თუ არა გწამს არ არიო. მთავარი მაინც კანონი და მართლწესრიგიაო.

ახე ამნაირად გადის დრო და ერთ მშვენიერ დღეს მეუბნება, სატრაქტორო ქარხანაში უნდა დავბრუნდეო. რატომ, მე ვუთხარი, რითა ხარ უკმაყოფილო-მეთქი. მადლობელი ვარ, პირიქითო, რასაც შენ მაძლევ, იმის ნახევარს არ მომცემენ, რასაც მომცემენ, იქედანაც წამართმევენ, ვირივით მამუშავებენ სამაგიეროდ და ეს იქნება ჩემი ბედი, წასვლა მინდა ამიტომაცო. გავშტერდი. კოლია, აქ თავისუფალი ხარ სანახევროდ, მე ვუთხარი. ამაშიცაა საქმე, თავისუფლებამაც შემაწუხაო. ილაპარაკე ახლა! შენ სიკეთეს ვერაფრით გადავიხდი, მაგრამ მე თუ ტაბელი არ გადავაბრუნე, ვახტიორს საბუთი თუ არ ვაჩვენე არ შემიძლიაო. ცოლიც აღარ მაკონტროლებს და გამიჭირდაო. აქ არც პარტკომია, არც პროფკავშირი მაძლევინებს საწევროსო. საყვედურს არავინ მიცხადებს, დაგვიანებისთვის არაფერს მეუბნებიანო. ხედავ, კაცო! სხვას რომ მოეყოლა ეს ამბავი, არ დავიჯერებდი. ახალ საამქროს ვამონტაჟებდი იმხანად, სახურავზე არმატურა იყო გასაგები და ჩასაქსოვი და ეს საქმე არ მიმიტოვო, მე ვუთხარი, მერე მევახტესაც გიშოვნი, პარტკომსაც მიგაბარებ, საყვედურსაც შევატანინებ ვინმეს პირად საქმეში-მეთქი. კაი, გაეხარდა, ცოტა ხანს დავრჩებიო, დამპირდა. ამ საქმეს მოვრჩები და ვალიაც ჩამოვა, ქარხანაშიც მელიანო. მოუმატა მუშაობას, ქარხანა ენატრებოდა და დაღამებამდე აყრევინებდა აპარატს ნაპერწკალს და ჩინჩხვარს, ღამეც იქ რჩებოდა თურმე, მერე გავიგე. მოძრავი კოშკურა იყო მიდგმული კედელთან და იქ ითენებსო. არ დავიჯერე და ჩემი თვალით ვიხილე. დომინოს შევრჩი ერთხელ და გაბუნაგებული დავინახე. მანდ ძილი როგორ შეიძლება-მეთქი, დავუძახე. ნუ დამიშლიო, მთხოვა. ცარიელ ბინაში გული არ მიდგება, აქ გრილადა ვარ, დაძინებამდე ვარსკვლავებს ვითვლი, ნეტარებით მეძინებაო. ვარსკვლავებს ითვლიდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ იმ აგვისტოს ალმურსხვატში სანიავო და საქიქინოში რომ ძილი ჯობდა, რად უნდოდა ლაპარაკი. არ გადმოვარდე, მე ვუთხარი და ჯანდაბას შენი თავი და ტანი. გულმა ცუდი მითხრა, მაგრამ აღარ დავეძიე, საქმისათვის ეგრე ჯობდა და აღარაფერი ვთქვი. ვიფიქრე, აქამდე არაფერი დამართნია, აწი რაღა დაემართება-მეთქი. იყოს, ითვალოს (რად უნდოდა ვარსკვლავებს დათვლა) ვარსკვლავები-მეთქი.

მეცა ელდა დილით.

რაღა ბროლის საამქროს ეზოში, რაღა ბროლის ქარხნის კოშკურიდან!.. მიშოვნეს დრო და ეგ არი-მეთქი. მოხსნა არ ამცდებოდა, მაგრამ დავტრიალდი, მივფარცხე საქმე. ცოლს მივაწვდინე გაჭირვებით ხმა, დაიღუპა კოლიათქვა. ქალიშვილსაც მივაგენით. ჩამოვდივართო, შემოთვალეს და არც ერთი ჩამოსულა და არც მეორე. შეაგროვეს ბიჭებმა ფული, ჩემი მე ვთქვი, რაღა ლაპარაკი უნდა. ადგილი ვუყიდეთ საფიჩხიის სასაფლაოზე. ქელეხი გადავუხადეთ...

●

ქროდა იმ ღამითაც იქაური ქარი, ახე რომ დაძვირდა ამ ბოლო დროს. ირხეოდნენ და ჭრიალებდნენ ცხელქარიან ღამეს ალვის ხეები ბროლის ქარხნის პატარა ეზოში; თბილი ბროლის ჭიქები რაწკუნებდნენ მზა საამქროს მორყეულ ზედსადგარებზე. ღრმად ეძინა კოლია გრაჩოვს ვარსკვლავიანი ცის ქვეშ. დაძინებამდე ცოლს ნატრობდა, ძილში ცოლს ხედავდა, ქარხნის თაღედის მბრუნავი კარი ელანდებოდა, ეცხადებოდა პარტკომი, რომლის არც კი სჯეროდა; ისმენდა საყვედურებს კრებაზე და ძილბურანში იცვლიდა გვერდს, გან-გან მიჩოჩავდა პარტიულ კრებაზე, ჰაერში გაეღვიძა და მიხვდა, რომ გადავარდა.-

იუზა:

ვალიას ტელეგრამა მივილეთ ქელეხზე. ამ დღეებში ვერ ჩამოვალ, როგორმე უჩემოდ დამარხეთო. (დამარხული გვყავდა). საწყალი ბაძინას ორმოცი რომ გადაიხადეს დღეისწორს, კოლია გრაჩოვი გავიხსენე. ლითონის ფირფიტა, სამარის თავთით რომ დავასვენეთ წარწერით ნიკოლოზ (კოლია) გრაჩოვი, ვეღარ ვნახე. შეიძლება სხვის საფლავს მივადექი.

მხატვარი მიხეილ ნონიკაშვილი

---

**შოთა ნიშნიანიძე**

# აქა ამბავი აპოლონის ოქროს ჩანგისა, ამირანისა და კიდევ სხვათა

I

იდგა ელადური გაზაფხული... დარები რბილი და ატლასური,
ჰყვაოდა ზეთისხილი... ბროწეული... ჰყვაოდა სატაცური...
იყო თამაშები... ტურნირები... იყო ორგიები... ბაზრობები...
ტრიუმფი ბუკოლიკურ აზროვნების.
იმდენი მოეზიდათ ფარჩეული, დიბეული და ბამბაზია,
რამდენიც არ ჰქონია არასოდეს
ხურმა ინდოეთს და
ბამბა — აზიას.
მედეას სამკურნალო ბალახების სურნელება და გრძნეულება
შორიდანვე აფრთხობდა ყოველნაირ ავადობასა და სნეულებას.
იყვნენ, რა თქმა უნდა, ათასგვარი სახელმწიფოების დესპანებიც
იბერიელები — კავკასიით,
იბერიელები — ესპანეთით.
მოასხეს ცხენები — რაშები ფრთიანი,
ხოხბის გამკვესავი და ხოხბის მფრთქვინავი.
— ხოხობო,
უცხოეთს ფაზანად რგებიხარ,
არადა კოლხეთის მფრინავი ლერწი ხარ!
ისმოდა: ჰომეროსი... პლატონი... ფიდიასი...
მსჯელობდნენ თითოეულ დიალოგ-იდეაზე.
მღეროდა სპარტელი მენახირე და ხმა დგაფუნობდა ქორალიდან.
თითქოს და იმ ხმებში ღრიალებდა 300 ლომის ხმა მომავლიდან.
— კარგია სიმღერა ელადური —
მაღალი ბურჯი და გოდოლია,
მაგრამ, ბაბაია, ვერ მიწვდება
„მრავალჟამიერს“ და „ოდოიას“.
— ვინა თქვა ბერძნული ჰეგზამეტრი
ბებერი ლომივით გაფიასტდა,
მაგრამა ფეხიც ვერ ჩაუვა
ფშავ-ხევსურების კაფიასთან.
მწყემს ბიჭს, სიმღერაში გამარჯვებულს,
დაფნის გვირგვინები უწყალობეს.
— ვააავა! — ვიღაცამ შეიცხადა, სიმღერის ყოფილაო პიტიახში,
მაგრამ ეს ულვაში გამპარსეთო, მაგაზე ნაკლებად თუ გალობდეს
რომელიც გნებავთო ოჩოკოჩი ლებარდესა და კიწიაში.

II

სტვირზე დაკვრაში ბეოტიელმა მეღორემ გაიმარჯვა.
გახარებული ჭაბუკი ჰაეროვან კოცნებს უგზავნიდა აზრიალებულ
მაყურებელს.

უცებ ერთ-ერთ მათგანში
მდაბიურად გადაცმული აპოლონი შეიცნო.
ტაშით და დიდებით თავბრუდახვეული მეღორე
ღვთაებასთან მიიჭრა და
შეჯიბრში გამოიწვია.
— შენ, შენი ოქროს ჩანგით, მე ჩემი სტვირითო.
ბრბო აჩოჩქოლდა... წამოიშალა... მაგრამ მაშინვე გაისუსა...
ღვთის ხილვით მონუსხული და მუხლიც მოიყარა...
სამარისებურ სიჩუმეში
მხოლოდ შეშინებული ფუტკრის ბზუილიღა ისმოდა....
უცებ ქვეყანა დაბნელდა,
საშინლად დაიგრგვინა
და როცა წყვდიადი გაიფანტა,
ყველამ დაინახა, როგორ მიცურავდა ოლიმპოს მწვერვალებისკენ
ვეება ღრუბელი.
მეღორე მთლად გადაირია სიხარულისგან.
თხასავით კუნტრუშებდა, ხტუნავდა, მაღაყებს გადადიოდა:
ღმერთს ჩემთან შეჯიბრის შეეშინდა, მე გავიმარჯვე მეე-მეეეო,
საწყალმა იმდენი იკუნტრუშა და იმდენი იძახა მეეე, მეეეო,
უცებ წვერებცანცარა ვაცად გადაიქცა
და მთის ფერდობზე შეფენილ თხის არვეს შეერია
კიკინ-ბღავილითა და მეე... „მეეს“ პეტელით,
საკუთარი სტვირი კი ლაჯებშუა ზანზალაკივით უკონწიალებდა...
რეგვენი მეღორე
თხისჩლიქებიანმა პანმა (ოჩოპინტრემ) დასაჯა აპოლონის შიშით.
ის საცოდავი მეც მინდა შევაჩვენო,
ვთათხო და თავზე ნაცარი ვაყარო,
მაგრამ ენა არ მიტრიალდება —
ქართველმა კაცმა როგორ ვლანძღო ბეოტიელი მეღორე,
როცა ქართველთა სათაყვანო გმირმა უარესი ჩაიდინა.
განა ამირანი არ იყო უფალს რომ გზაზე გადაუდგა?
უფალ თავის ნათლიას და... დამეჭიდეო შეჰბედა.
როცა ეს ამბავი მახსენდება,
მინდა ყრუ ვიყო, ბრმაცა და მუნჯიც.
ამირანი ზედმეტად თავდაჯერებულია.
მისთვის უცხოა სინდისის ქენჯნა, ცოდვის მონანიება.
სულიერი თვითგვემა.
ყველა ქართველს მინდა ვთხოვო
ღრმად ჩაუფიქრდეს ამირანის ბუნებას.
ღმერთო,
მართლაც უსასრულოა შენი მოწყალება:
ამირანის სამშობლოს ღვთისმშობლის კალთა აფარია.
ამირანის ყოყოჩობასთან სად მოვა
ბეოტიელი მეღორის სიბრიყვე!
ადამიანის თხად გადაქცევა არამარტო სასტიკი,
დამამცირებელი სასჯელიცაა:
ადამიანური არსი ცხოველური არსით იცვლება,
ხოლო კლდეზე მიჯაჭვა ადამიანურ არსს არ სპობს,
პირიქით, გმირი უფრო გმირი ხდება ტანჯვის წყალობით.
მაინც რით აიხსნება აპოლონის საქციელი?
მოკვდავთა აზრით, ღმერთმა ითაკილა კაცთან პაექრობა.
უკვდავთა (ოლიმპიელთა) აზრით,
აპოლონმა შეჯიბრზე უარი თქვა არა იმიტომ,
რომ ღმერთი იყო და მეღორეს თავი არ გაუყადრა,
არამედ იმიტომ, რომ
იქაური მსმენელები ყველანი მდაბიონი იყვნენ
და მათ მწყემსის დაკვრა უფრო მოეწონებოდათ
(მსგავსი შეიცნობს მსგავსს),
ვინემ ოქროს ჩანგოსნის ღვთაებრივი ხელოვნება.
მაშასადამე, ღმერთს ბრბოს მსჯავრის შეეშინდა...
კაცს მით უფრო უნდა ეშინოდეს ბრბოს მსჯავრისა...
ბრბო დუღილის ლექი და ქაფია.
ხალხი რომ ბრბოდ იქცეს, ერთი უკუღმართი სიტყვაც კმარა.
ხოლო ბრბო რომ ისევ ადამიანებად მოიქცეს, —
ამის ძალა და უნარი არათუ უბრალო მოკვდავებს,
კაცობრიობის მოციქულებსაც აღარ შესწევთ.
ბრბოს ადამიანებად შემობრუნებას დიდი დრო
ან დიდი მსხვერპლი სჭირდება.
მოციქულების მაგიერ მაშინ სიტყვას ამბობს
ციხეები, სახრჩობელები, გილიოტინები.
მაგრამ ბრბო არ არსებობს დიქტატორის გარეშე,
როგორც ჯალათი არ არსებობს მსხვერპლის გარეშე.
ბრბოს ე. წ. ზედმეტი ადამიანები აკოწიწებენ.
უსაქმურები, ხელმოცარულები, რომელთაც
საკუთარი ადგილი ვერ უპოვნიათ ცხოვრებაში.
ისინი არა მარტო უსამართლობად თვლიან
სხვათა სახელ-დიდებას,
არამედ საკუთარი უბადრუკობის დასტურადაც,
ამიტომაც სძულთ ყოველი წარჩინებული კაცი.
ბრბოს ბედნიერება აღიარებულთა გაბიაბრუებაა.
ჩინეთში, კულტურული რევოლუციის დროს,
სახელგანთქმულ პიანისტებს მაჯებს უმსხვრევდნენ,
წიგნებს და ნახატებს კოცონზე წვავდნენ.
იმავე ჩინეთში, წითელი რევოლუციის გამარჯვებისთანავე,
ციხეებიდან გამოიყვანეს და ერთ გემზე შეჰყარეს
ყველა ჯურის ნაძირალა:
კაცისმკვლელები, ბანდიტები, სადისტები,
მანიაკები, ნარკომანები, თაღლითები.
და გემი შუა ზღვაში ჩაძირეს.
ასე გაუსწორდა დიქტატორი მაო თავის ბრბოს...
თავად განსაჯეთ:
რა აპოკალიფსური კოშმარებით აბუზბუზდებოდა ზღვის ზედაპირი
ამდენი ავად მხრჩოლავი აირის წყალობით.
ღმერთო, დიდებულო, დაილოცა შენი სამართალი:
ქართველობა ბრბოდ ვერ გადაიქცევა, რამეთუ
საქართველო პიროვნებათა ქვეყანაა.
საქართველოში ყველა პირველია,
ანდა პირველობის მოსურნე.
გაიხსენეთ, რა ბრძანა იულიუს კეისარმა,
როცა ერთ-ერთი ლაშქრობისას
უბადრუკ ქოხმახებიან სოფელს გადაეყარა:
აქ მირჩევნია პირველი კაცი ვიყო,
ვიდრე რომში მეორეო.
ო, რა იცოდა დიდმა რომაელმა,
რომ ქართველების გულს მარტო ამ სიტყვებითაც მოინადირებდა.
უამიდან უამად კაცთა მოდგმას ავი ზნე უვლის
და ამას ომი ჰქვია.
ომებს შორის ყველაზე საშინელი და სამარცხვინო სამოქალაქო ომია —
მამა-შვილთა და ძმათა სასაკლაო.
სამოქალაქო ომი ბრბოს ომია.
ბრბოს არ უნდა და არც შეუძლია
ერთმანეთისაგან გაარჩიოს ყალბი და ჭეშმარიტი,
თეთრი და შავი,
მართალი და დამნაშავე,
ღვთისნიერი და ეშმაკეული,
სილამაზე და სიმახინჯე,
ნიჭი და უნიჭობა;
მისთვის სულერთია აპოლონის ჩანგი და მეღორის გუდა-სტვირი.
— დავწვათ წიგნები!
— კარები ავუშენოთ!
მშიერი ლამურებივით დაფართხუნებენ ჰაერში
ინკვიზიციის ეს სიტყვები,
რომლებიც ხვალ-ზეგ შეიძლება
ადამიანთა სისხლით სავსებივით დაზიზინდნენ.
ბრბოსთვის არაფერი წმინდა არ არსებობს,
გარდა დიქტატორის ბრძანებისა.
თუმცა ბრბოს
არასოდეს, არცერთ ქვეყანაში,
არცერთი მუზის ქურუმი არ გადმოუგდია კვარცხლბეკიდან.
როცა კაცობრიობას ბნედა გაუვლის,
ისტორია მხოლოდ დიქტატორებს გაასამართლებს,
მხოლოდ დიქტატორებს დასდებს ბრალს.
მაგრამ ვისი ხელებით თამაშდებოდა ტრაგედია,
თუ არა ბრბოს ხელებით
და არა მარტო ხელებით,
ტვინითაც, ბრბოს მოწამლული და ადუღებული ტვინით!
ბრბო ქმნის დიქტატორს,
ბრბო სვამს ტახტზე,
ბრბო აქგამს შარავანდედს,
ბრბო უგებს ძეგლებს,
ბრბო აცხადებს ღმერთად.
მაგრამ თვითონ ბრბო ისტორიის მიერ დაუსჯელი რჩება.
ბრბოს მხოლოდ-მხოლოდ მის მიერ შექმნილი დიქტატორი სჯის.
გაივლის ისტერიკა, გაივლის დრო და
ბრბო თანდათან დაშოშმინდება,
თანდათან გარდაისახება თვინიერ მასებად.
ისინი დიდხანს იცხოვრებენ გლადიატორებად და მეხოტბეებად,
ბავშვობიდანვე შიშნაჭამი,
ტაშისკვრით ხელისგულებგადაყვლეფილნი.
მაგრამ ადამიანები დაიღლებიან.
ამდენი ტაშისკვრითა და ვაშას ძახილით,
მობეზრდებათ მონური ცხოვრება,
ისინი ნელ-ნელა გამოვლენ ბურანიდან, გამოფხიზლდებიან,
მერე და მერე დაიბადება მოაზროვნე და უშიშარი თაობები.
ადამიანებს თანდათან მოეძალებათ თავისუფლების წყურვილი.
თავისუფლებისათვის ომი ერთადერთი სამართლიანი ომია.
ეს ომი წარმოშობს გმირებსა და წმინდანებს.
ისინი ერთ მშვენიერ დღეს
ტახტებიდან და კვარცხლბეკებიდან ჩამოყრიან ტირანებს.
მათთვის სულერთი აღარ იქნება
შემოქმედების ოქროს ჩანგი და მეღორის სტვირი.
საერთოდ, ადამიანები ისეთები არიან,
როგორადაც აპოლონის ჩანგს ეპყრობიან.
მე თვითონ ვნახე
კვარცხლბეკიდან ძეგლის ჩამოგდება.
შემხმარი ლაყე კვერცხები
ორდენებივით მიტყეპებოდა გულ-მკერდზე.
ერთმა ჭალარა მოქალაქემ
სილა გააწნა ბრინჯაოს სახეში
სამშობლოს მიწების გამჩუქებელს.
ბიჭუნამ (ქართველმა გავროშმა)
გაშხლართულ გოლიათზე პატარა ძაღლი შეასკუპა,
დამფრთხალი ძაღლი მაშინვე უკან გადმოხტა,
მაგრამ მანამდე ფეხის აწევაც მოასწრო და
ბრინჯაოს ნახევარი ულვაშის გაპატიოსნებაც.
ბულდოზერმა ტაშის გრიალში ხრიგინ-ხრიგინით გაათრია,
ბრინჯაოს გიგანტური თოჯინა ისტორიის სანაგვისაკენ.
მომრავლდა ცარიელი კვარცხლბეკები...
ეს ცარიელი კვარცხლბეკები
ცარიელ საფლავებზე უფრო ამაზრზენია.
ცარიელი კვარცხლბეკები ეშაფოტებს ჰგვანან,
რომლებზედაც სახრჩობელებიც იმართებოდა,
ან საჯალათო კუნძები და გილიოტინები იდგმებოდა.
ცარიელი კვარცხლბეკები
მოხეტიალე თოჯინების თეატრის სცენებს
მაგონებენ, ბავშვობაში რომ მინახავს.
ცარიელი კვარცხლბეკები პაწაწინა სცენებია,
რომლებზედაც ისტორიის
დიდი დრამები გათამაშდა.
მე მეშინია ამ კვარცხლბეკებზე ბრბომ არ შეასკუპოს
ან თვითონ არ შეხტნენ ისტორიის მომავალი თოჯინები.
ტაშის გრიალი იულიუს კეისრისა და ნაპოლეონის პოზას აადვილებს
ასეთი თვითმარქვიები ტაშს იწოვენ, ისრუტავენ, ირგებენ...
იზრდებიან, იბერებიან, იფუყებიან და ბოლოს
გიგანტურ თოჯინებად იქცევიან.
თუ შეგიმჩნევიათ, ძეგლებს მტრედები ეტანებიან,
თავს დაჰფარფატებენ, შეფრთხიალებენ.
კვარცხლბეკის გარშემოც დაგოგმანებენ,
დარონინებენ,
დაგუგავენ,
დაბაჯბაჯებენ.
მოფათქუნე მტრედები მჭუხარე ტაშისცემას ჰგავს.
ხელის მტევნები რომ მტრედის პანტომიმური მეტაფორაა.
მოფათქუნე მტრედი — მაშასადამე მფრინავი ტაშია.
ტაში ამ ძეგლებს სიცოცხლეში ისე უყვარდათ,
რომ განგება ტაშს ახლაც არ აკლებს
თავის რჩეულებს ამ მტრედების სახით.
მტრედები მფრინავი ტაშებია!
სხვადასხვაა მისი ფორმები:
მოფათქუნე მტრედები — მჭუხარე ტაშისცემაა.
მოფარფატე მტრედები — ჩვეულებრივი ტაშია.
მორონინე მტრედები (უკვე მიწისკენ დაშვებული) — საშუალო ტაში.
მოგოგმანე — სუსტი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ტაში.
მობაჯბაჯე — დაღლილი, ქანცგაწყვეტილი ტაშია.
შინაარსობრივად ტაშები ასეთია:
მოწონების და პატივისცემის გამომხატველი,
ზრდილობის გამო დაკრული,
არის პროტესტის ტაშიც.
მაგრამ არის ბრბოს ტაშიც:
მჭუხარე, ფეხზე მდგომარე, ხანგრძლივი,
ისტერიკაში გადაზრდილი...
და მე არ ვიცი,
კაცობრიობას ბრბოს ტაშის უფრო უნდა ეშინოდეს
თუ ბრბოს მსჯავრისა...
ქალაქში დემონსტრაციაა...
გრგვინავს და გრგვინავს თევზისფერი მეგაფონი...
„ჯოს“ გრიალი ენარცხება შენობებს, ხეებს, გაქვავებულ ტრანსპორტს...
მოირწევიან ეროვნული დროშები...
ეროვნული გმირებისა და წმინდანების პორტრეტები...
მოტივტივებენ ტრანსპარანტები, ლოზუნგები,
რომაულად შემართული მუშტები...
აქა იქ თავმომწონედ ყელყელაობენ წარწერები:
„ჩვენთან არის ღმერთი!“
სიამაყისაგან გული ყელში გებჯინება:
ასეთ რამეს უწინ სიზმარშიაც ვერ ნახავდი.
მოდის ერის იმედი,
ერის მაჭარი,
ერის ხვალინდელი ოქროს ჭირნახული.
აქ არიან რომანტიკოსები,
რომელთაც მომავალი ცისარტყელების ბრიალად ეჩვენებათ.
მამიკოებს კისრებზე შემოუსხამთ პატარები.
აქ მრავლად არიან
მამის კისრებზე მსხდომიარე არაპატარებიც...
ბევრი გასართობადაა მოსული.
მათი აურები ერთმანეთს არყევენ, ერთმანეთს ჩეხავენ
და ერთ ჯაჭვად ასხმული მდუღარე ვნებები
ვულკანის ლავასავით მიიგრაგნება გამზირზე.
უცებ, დემონსტრაციის საპირისპიროდ, მანქანა გამოლოლდა
და დემონსტრანტების მოძრაობა დაარღვია:
მხოლოდ ის ერთი მოდიოდა დემონსტრანტების საპირისპიროდ,
დიახ, საპირისპიროდ.
ახალგაზრდები მანქანას მიცვივდნენ,
ფარები ჩაულეწეს წიხლებითა და დროშის ტარებით.
ერთმა სწორედ ის ტრანსპარანტი დასცხო,
რომელზედაც ეწერა „ჩვენთან არის ღმერთი!“
საჭესთან მჯდარ მამაკაცს
მწვანე სათვალე ჩამოგლიჯეს,
მუშტები მოუღერეს და გზას გაუჭრნენ
ერთმანეთის მუჯლუგუნების კვრით, კბილების ღრჭიალით,
თვალებიდან ალმასის ნემსები ცვიოდათ.
ყველაფერი მუნჯური კინოს კადრებივით გათამაშდა.
ხმა არავის ამოუღია, მამაკაცს არავინ გამოსარჩლებია.
დემონსტრანტებმა ჩაიარეს,
ზოგმა გამქირდავი ღიმილით,
ზოგმა — რა მოხდა, რა მოხდას გამოკითხვით.
მანქანიდან მამაკაცი გადმოვიდა...
მკვდრისფერი ედო... ყბა უკანკალებდა...
რატომ? რისთვის? ესღა ეწერა გაოგნებულ სახეზე.
როცა გონს მოვა,
კიდევ ერთხელ მოკვდება სირცხვილისა და უმწეობისაგან.
მამაკაცმა დალეწილი ფარები შეათვალიერა,
შეიგინა და მანქანაში შევარდა,
უკან აბსტრაქტული თუთიყუშივით გაეკიდა
დაკორტნილ-გაწეწილი საკუთარი აურა.
თევზის ქერეჭივით ეყარა შუშის ნამსხვრევები.
მწვანე სათვალე გაჭეჭყილ კვაჭიჭას გავდა —
პაწია ბაყაყს.
სოფელში გამეგონა:
თუ გვალვაში კვაჭიჭას მოჰკლავდნენ — გაწვიმდებაო —
და მართლაც, ჰაერში წვიმის სუნი დაეკიდა
და კიდევ არავის თქმული სიტყვები:
რატომ? რისთვის?
ვინ არის დამნაშავე?
(ქუჩაში მოძიძგილავე ორი ბიჭი სულაც არ იჩხუბებს
თუ ვიღაც გარეშე, ვიღაც მესამე არ უყურებს).
ადამიანები კი არა,
ერთად შეყრილი ანგელოზებიც
ვერ იქნებიან მთლად უწყინარნი და სათნონი.
ათასობით ანგელოზი
სალაშქროდ გამზადებული მხედრიონი უფრო იქნება,
ვინემ უფლის მადიდებელ მგალობელთა დასი.
იქნებ იმ მამაკაცს შვილი შეეძინა და
სამშობიაროსკენ მიიჩქაროდა?!
იქნებ წამალი მიჰქონდა მომაკვდავი დედისთვის?!

. . . . .

აქაც დავფიქრდეთ, ჩემო ძვირფასებო,
ჩემო გულფიცხო და ამირანულო ჯიშო!

ქვებისგან ციხეც შენდება და ეკლესიაც,
ადამიანებისაგან ღვთის ხატიც იქედება და
ბრბოც მოდუღდება ხოლმე.
როდესაც ბრბო მსაჯულია —
ადამიანი საზარბაზნე ხორცია და არა ღვთის ხატი.
როდესაც ბრბო მსაჯულია —
მხატვრის ფუნჯი და ვირის კუდი ერთი და იგივეა.
როდესაც ბრბო მსაჯულია —
აფროდიტე საჭურისის ხასაა...

. . . . .

უფრთხილდი, ერო, ნიჭს ჭეშმარიტს, წიგნს სამაგიდოს,
ბრბომ ოქროს ჩანგი ზანზალაკად თხას არ დაჰკიდოს...



გრემი
ჯემალ კახრაძის ფოტო

# შეურიგებელნი?

## შენიშვნები ქართულ ოპოზიციაზე

უკვე მოსკოვში, როცა ამ პუბლიკაციას ვამზადებდი, აი, რა შევიტყვე: 24 აპრილს თბილისში სროლის ხმები გაისმა. საქართველოს უახლესი სოციალ-პოლიტიკური ისტორიის ინსტიტუტში უნდა გამართულიყო სხდომა ეროვნული ფორუმისა, რომელიც შეურიგებელ ოპოზიციას აერთიანებს. სწორედ აქ გაიმართა სროლა უცნობ ჯგუფებს შორის.

ამ ცნობამ შემაწუხა: სულ ცოტა ხნის წინათ ოპოზიციის წარმომადგენლები მარწმუნებდნენ, რომ ყველა პარტიას, რესპუბლიკასა და ცენტრს შორის უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყდებაო. თბილისში დავრეკე და ვესაუბრე ოპოზიციის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც ამ ცოტა ხნის წინათ შევხვდი. და, აი, რა განაცხადეს მათ: ამ ურთიერთსროლას ინსტიტუტში სხდომის ჩაშლის მიზნით ბლად შეკრებილ ოპოზიციონერებთან საერთო არაფერი აქვს, ეს ეროვნული ფორუმის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციააო.

ვფიქრობ, რომ ძიება დაადგენს მომხდარი ფაქტის სურათს, მაგრამ ფაქტია, რომ სისხლი დაიღვარა და ეს ფაქტი მნიშვნელოვანწილად ასახავს რესპუბლიკის ამჟამინდელ ნერვულ ვითარებას.

### ტრაგედია და გათვლები

იმ დღეებში, როცა მთელი თბილისი აღნიშნავდა 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავს, გულის დამამძიმებელი ცნობა მოვიდა აფხაზეთიდან: თავი მოიკლა ერთ-ერთი სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ. თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე მას თხოვნით მიმართეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა — რესპუბლიკის მთავრობის სახლთან დაღუპულთა ხსოვნის ძეგლის ასაგებად საჭირო თანხის შეგროვების უფლება მოგვეცითო. თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა. მაშინვე გამოჩნდნენ მისი ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგენი. დაიწყო კამათი, რომელიც შეურაცხყოფასა და მუქარაში გადაიზარდა.

ადამიანმა თავი ყულფში გაჰყო. რა დრო დადგა ქართულ მიწაზე?

და გამახსენდა უკვე წლევანდელი 8 და 9 აპრილის გაყრის ღამე. ათიათასობით კაცი გამოვიდა თბილისის ცენტრალურ მოედანზე. მიკროფონთან დგას ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი. მეცნიერნი, მწერლები... ერი გლოვობს. და ამ დროს ადამიანთა ყიჟინ-ალიაქოთის ფონზე რომელიღაც ორგანიზატორი წვავს საბჭოთა გენერლის მუნდირიან ფიტულს. იმ ადგილას წვავს, სადაც შარშან, 9 აპრილს, 16 ადამიანი დაიღუპა. ზოგიერთებმა, აი, ასე გადაწყვიტეს მსხვერპლთა ხსოვნისათვის პატივის მიგება.

თბილისის ტრაგედიას მხოლოდ მწუხარება და ძალმომრეობის სიძულვილი როდი ჩაუნერგავს ადამიანთა გულებში.

ოპოზიციის ლიდერები პირდაპირ ამბობენ: ტრაგედიამ ერი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ბრძოლისათვის გააერთიანაო. „9 აპრილი, დაღვრილი სისხლის მიუხედავად, ჩვენი დიდი გამარჯვებაა", — დაუფარავად განმიცხადა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ.

რა ელოდება ერს იმ გზაზე, რომლითაც მის წაყვანას ცდილობენ ოპოზიციის ძალები? ეს გზა ხომ არ დამძიმდება იმედების გაცრუებით, მეტიც, ახალი მსხვერპლითაც? როგორი იქნება ხვედრი რესპუბლიკის სალხებისა „თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში?"

ოპოზიციურ პარტიათა პრესას ასეთი ციფრი მოჰყავს: ქართველთა ოთხმოცდაათი პროცენტი სსრკ-დან რესპუბლიკის გასვლისათვის იბრძვის. საიდანაა აღებული ეს მონაცემები? მახსენდება, რომ ამასწინათ აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ოფიციალური წარმომადგენელიც ასევე მარწმუნებდა, აზერბაიჯანელთა 80% თავისი რესპუბლიკის სუვერენიტეტის მომხრეაო. მაგრამ ამ საკითხზე რეფერენდუმი არც საქართველოში ჩატარებულა და არც აზერბაიჯანში.

### „მეფისათვის..."

თბილისის ტრაგედიიდან განვლილი წელიწადი მოსახლეობის დაუცხრომელი, ბობოქარი პოლიტიზაციის პერიოდად იქცა. ყველა პროფესიის ადამიანები ჩქარობდნენ ეროვნული მღელვარების პროცესში ჩართვას და ზოგჯერ განურჩევლად შედიოდნენ სასწრაფოდ შექმნილი მრავალი პარტიიდან რომელიმეში.

პარტიულ პროგრამებსა და საზოგადოების განახლებისათვის შექმნილ შეხედულებებში სხვაობებს ოპოზიციის ლიდერები ხშირად პირად მტრობამდე მიჰყავს. პარტიებს კი ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი მიზნები აქვთ. მაგალითად, ფრიად პოპულარული მონარქისტული პარტია იმისათვის იბრძვის, რომ საქართველოს მართავდეს... მეფე. მონარქისტების ჯგუფმა, რომელთანაც მომიხერხდა საუბარი მთავრობის სახლის ახლოს, თავისი ამოცანა მოკლედ ასე ჩამოაყალიბა:

„თქვენი ახლანდელი იმპერატორი ვლადიმირ კირილეს ძე რომანოვი დაქორწინებულია საქართველოს ტახტის მემკვიდრის პირდაპირ შთამომავალ ლეონიდა ბაგრატიონზე. ჩვენი პარტია თანამემამულეთა უმრავლესობის მხარდაჭერას თუ მოიპოვებს, ტახტზე სამეფო წყვილის ერთ-ერთ ნაშიერს დავსვამთ".

მეოცე საუკუნის მიწურულს მონარქიის რესტავრაცია, დამეთანხმებით, შთამბეჭდავი რამაა. აბა, მონარქიული პარტია ერთ-ერთი ყველაზე წევრმრავალი პარტია რატომაა საქართველოში? ნუთუ, ადამიანებს ნამდვილად სჯერათ, რომ მოვა „მეფე-მამილო" და ქართულ მიწას კეთილდღეობას დაუმკვიდრებს?

ჩემის აზრით, პარტია წინაალმდეგობის ცნობილი გრძნობის გამოა პოპულარული. ზოგიერთები მონარქისტულ მმართველობაში სოციალიზმთან კავშირის რადიკალურად გაწყვეტის გზას ხედავენ, რადგან აყვავების გარანტიად მხოლოდ სოციალისტურ არჩევანზე სრული უარის თქმა ესახებათ.

ამგვარად, ოპოზიციის ბანაკში ერთ დროს გამოიკვეთა უთანხმოება. სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ მიმართულებათა შეულლება მათმა ლიდერებმა სცადეს ეროვნულ ფორუმში, რომელიც 13-15 მარტს შეიკრიბა. შეკრებაში მონაწილეობდა შვიდი ყველაზე გავლენიანი პარტია — ეროვნულ-დემოკრატიული, დემოკრატიული, მონარქისტული, ილია მართლის საზოგადოება, „შელსინკის" ჯგუფი, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, სოციალური დამოუკიდებლობის პარტია.

თავიდანვე გაარკვიეს თავიანთი დამოკიდებულება წარსულისადმი. აქ სრული ერთსულოვნება იყო: 1921 წელს საქართველო ანექსირებულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ.

ცნობილია, რომ ყოველთვის ცდილობენ სახელმწიფოებრიობის უფლება იურიდიულად გაფორმდეს. ასე იყო აქაც: საქართველო „ევრეთწოდებული სსრკ-ის" შემადგენლობაში ფორმალურად არასოდეს შედიოდაო. 1921 წელს ხომ, როგორც ფორუმზე ხაზს უსვამდნენ, საქართველოს მთავრობას კაპიტულაციის აქტზე ხელი არ მოუწერია. მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო მისი 1918 წლის კონსტიტუციით ახლაც განაგრძობს არსებობას. ამიტომ საქართველო კოლონიაა, სსრკ კი — მეტროპოლიაო.

იურიდიული სიზუსტეების დადგენას ნუ დავიწყებთ. მაგრამ აღვნიშნოთ, რომ უკანონობის, ძალმომრეობის პირქუში პერიოდი მთელმა ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანა. მაგრამ ჩვენი საერთო წარსული მხოლოდ ამით ამოიწურება? ღმერთო ჩემო, მხოლოდ თუნდაც ფაშიზმთან ბრძოლაში ჩვენი საერთო გმირობა რად ღირს! მაგრამ დღეს ამის გახსენება არ სურთ.

ისე კი, ფორუმზე წარსულისადმი მიმართებაში ერთიანობას იოლად მიაღწიეს. მაგრამ ამის შემდგომ როგორ უნდა ემოქმედათ? „შელსინკისა" და ილია მართალის საზოგადოებები ემხრობოდნენ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობას, ანუ „ლიტვურ ვარიანტს" უჭერდნენ მხარს. მათი აზრით, ოპოზიციის გამარჯვება არჩევნებში გარანტირებული იყო, ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლის შემდეგ კი უფრო ადვილი საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე გამოცხადება.

არა, ოპოზიციონერთა უმრავლესობას ამგვარი განზრახვები არ აღმოაჩნდა. „არჩევნებში მონაწილეობა ხელისუფლების საბჭოთა სტრუქტურის აღიარებას ნიშნავს. უნდა შევქმნათ ჩვენი პარალელური მთავრობა და ვიბრძოლოთ საბჭოების დამხობისათვის".

ასეთი მოწოდებით მიმართა კიდეც ფორუმმა რესპუბლიკის მოსახლეობას. ჭირჭირობით კი არჩევნები შემოდგომამდეა გადატანილი.

### როგორ შეიძლება ძალაუფლების ხელში ჩაგდება?

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს გიორგი ჭანტურიას მე შევხვდი ამ პარტიის შტაბ-ბინაში რუსთაველის პროსპექტზე. ეს ორსართულიანი განმარტოებით მდგარი სახლი 18 მარტამდე კომკავშირის საქალაქო კომიტეტს ეკუთვნოდა. „ჩვენ ვაიძულეთ ისინი აბარგებულიყვნენ", განმიმარტავს ჭანტურია.

კანონით, შენობის ამგვარი მიტაცება სისხლის სამართლის კანონით ისჯება. მაგრამ ოფიციალურმა ხელისუფლებამ ხმა არ ამოიღო: თავი ისე დაიჭირა, ვითომ არაფერი მომხდარა. ეს, საერთოდ, მისი დამახასიათებელი პოზიციაა.

80 წლის გიორგი ჭანტურიამ უკვე მოასწრო ანტისაბჭოური მიტინგების ორგანიზებისათვის საპატიმროში ჯდომა. 1985 წელს ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის, ახლებური აზროვნების დამკვიდრებისთანავე ის სასჯელის მოხდამდე გაათავისუფლეს. სიტყვამ მოიტანა და, პატიმრობაში ყოფნა ოპოზიციური პარტიების აქტივისტებს დიდ ღირსებად ეთვლებათ, ეს მათ ლიდერებად გასვლის შანსს აძლევს. ეტყობა, არც ისაა შემთხვევითი, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავისი შეხედულებების პროპაგანდას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ეწევა. პატიმრები უხვად მარაგდებიან ეროვნულ-დემოკრატიული ლიტერატურით.

— თქვენ „ლიტვური ვარიანტი" უარყავით, მაგრამ რას უჭერთ მხარს?

— ჩვენი პირველი ამოცანაა, რომ რესპუბლიკაში უმართავი ვითარება შეიქმნას. ამისათვის ჩვენ რესპუბლიკის მოსახლეობას მოვუწოდებთ მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობისკენ.

სამყაროსავით ძველი ხერხია — ძალაუფლების ხელში ჩაგდების წინ საზოგადოების დესტაბილიზირება, მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობა საბჭოთა კანონების აშკარა შეუსრულებლობას ნიშნავს. მაგალითად, ქართველ ყმაწვილებს მოუწოდებენ, უწყებას რომ მიიღებთ, სამხედრო კომისარიატში ნუ გამოცხადდებითო. ოპოზიციის ლიდერებმა იციან, რომ სამხედრო მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, არსებული კანონის თანახმად, ყმაწვილები შეიძლება ციხეში ჩასვან. გათვლა კი მომგებიანია: თუ ხელისუფლება სამხედრო კომისარიატში გამოუცხადებელ წვევამდელთა დაპატიმრებას დაიწყებს, ეს რესპუბლიკაში ახალ მღელვარებებს გამოიწვევს. თუ ასე მოხდება, მაშინ შეიძლება სპეკულირება — ხედავთ, „ზემდგომნი" უძლურნი არიან, მათ ოპოზიციისა ეშინიათო.

ამ სახიფათო თამაშში ბურთულის როლს ასრულებს ყმაწვილკაცის ბედი თამაშობს.

თბილისის ხალხმრავალ ადგილებში უკვე მერამდენე თვეა გამოფენილი მოუწოდებენ, საბჭოთა მოქალაქეობაზე უარი თქვითო. ქუჩაში დგას მაგიდა, სადაც ანკეტაში შეგიძლია შეიტანო შენი მონაცემები ამის თაობაზე — ეს მონაცემები სსრკ უმაღლეს საბჭოში გაიგზავნება.

ეს იმპროვიზირებული „თხოვნები" უკვე 50 ათასმა ქართველმა შეავსო. ძნელი დასაჯერებელია, რომ ისინი კარგად იყვნენ დაფიქრებული იმაზე, რაც გააკეთეს:

— ჩვენ ამ აქციას საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ძლიერი მოქმედების აქციად მივიჩნევთ, — განაცხადა გიორგი ჭანტურიამ, — მაგრამ არც მე და არც ჩემი თანამებრძოლები საბჭოთა ქვეშევრდომობაზე უარს არ ვამბობთ.

ჭანტურია ამ „სიფრთხილეს" იმით ხსნის, რომ მას არ უნდა ხელისუფალთ მისცეს „თავისუფლებისათვის მებრძოლთა" სსრკ-დან გასახლების საბაბი. „რეპრესიებისა კი არ გვეშინია, — განაგრძო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, — ჩვენს პარტიას აქვს ფართოდ განტოტებული და კარგად ორგანიზებული იატაკქვეშეთი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში გადარჩება".

### გზა განხეთქილებისაკენ

„მთავარია გამოყოფა, ჩვენ შინაურ წინააღმდეგობებს კი შემდეგ როგორმე ჩვენვე მოვუვლით" — ეს სიტყვები ხშირად მესმოდა თბილისში. ამაში ადამიანებს არწმუნებენ ოპოზიციის წარმომადგენლები, აცხადებენ, საქართველოს პრობლემები ფედერაციის ფარგლებში ვერ გადაწყდებაო.

დღეს ვის სჭირდება არწმუნო იმაში, რომ ყველა ერსა აქვს თავისი გზის არჩევის უფლება? მაგრამ ოპოზიცია თავს არიდებს იმ საკითხის განხილვას, რომ კავშირიდან რესპუბლიკის გამოსვლა აუცილებლად წარმოშობს აურაცხელ ურთულეს პრობლემას რესპუბლიკის შიგნით.

ავიღოთ მხოლოდ ასეთი მომენტი. დღეს საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიები მართლმადიდებლურ საფუძვლებს ემყარება. „გაუმარჯოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, ქრისტიანულ საქართველოს!" — აი, ეროვნული ფორუმის ლოზუნგი. მან დაადგინა, რომ საქართველოს კავშირიდან გამოყოფის შემდეგ სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობა გამოცხადდება, ცივილიზებული ქვეყნების უმეტესობაში არცერთ რელიგიას არ აცხადებენ სახელმწიფო რელიგიად, რათა არ დაამცირონ სხვა რწმენის მიმდევრები.

მეორეს მხრივ, თუ მუსულმანი აჭარლები ქართველებთან ერთად ერთ ერს შეადგენენ, მართლმადიდებელი აფხაზები უკვე სულ სხვა ხალხია. აფხაზეთში, როგორც ცნობილია, ბევრს, საერთოდ, არ სურს „თბილისის ხელისუფლების მორჩილებაში" ცხოვრება და ამის აშკარა დემონსტრირებას ახდენენ (გავიხსენოთ სადაბო საბჭოს თავმჯდომარის ტრაგიკული ხვედრი), ასე რომ, კონფლიქტები მარტო ნაციონალისტურ პარტიებს შორის როდია მოსალოდნელი.

ენობრივი პრობლემა? რუსულ ენას საქართველოში მიიჩნევენ მხოლოდ „ენად, რომლითაც ერთი წლის წინათ ბრძანება მიეცათ ჯარისკაცებს". ბალტიისპირეთის, რუსის, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის წარმომადგენლები, რომლებიც ტრაგედიის წლისთავზე ჩამოვიდნენ თბილისში, ბოდიშს იხდიდნენ მიკროფონის წინ იმის გამო, რომ რუსულ ენაზე უხდებოდათ გამოსვლა.

მძიმე და სახაცილო იყო ეს თავის მართლებები. მიტინგზე თავმოყრილნი მოხარულნი იქნებოდნენ ასეთ შემთხვევებში ურთიერთობის სხვა საშუალება გამოეყენებათ, მაგრამ ვერაფერს აწყობდნენ, რას იზამ, ასე აეწყო ჩვენი საერთო ბედი; სურთ ქართული ოპოზიციის ლიდერებს ეს თუ არ სურთ, რუსული ენა ქართველთათვის დიდხანს დარჩება ერთაშორის ურთიერთობის საშუალებად. ვერცერთი სხვა ენა მას ვერ შეცვლის.

გულუბრყვილობა იქნება ვინმეს იმის შიში ჰქონდეს, რომ საქართველოს დღევანდელი პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მადრიდში განცალკევებით მდგარ სახლში, სადაც ქართული ტახტის მემკვიდრეები ცხოვრობენ. ეს პრობლემები აქ, ამ მიწაზე უნდა გადაწყდეს. და ვისიმე სურვილისგან დამოუკიდებლად ამ მიწაზე რუსი და ქართველი ხალხები მეზობლებად დარჩებიან, დარჩებიან თავიანთი საერთო წარსულით. ისტორიას ხომ ისევე ვერ გააბრძანებ მისი სამუდამოდან, როგორც კომკავშირის ქალაქკომს იმ შენობიდან, რომელიც შენ თვალში მოგივიდა. მან ორი ხალხი სამუდამოდ დააკავშირა ერთმანეთს. რუსეთისა და საქართველოს სამეფო გვარები რომ არიან ერთმანეთს დაკავშირებული ქორწინებითი კავშირით, იმაზე მეტი ძალით დააკავშირა.

**ალექსანდრ ანინი**

„ნედელია", №18, 1990 წ.

## რედაქციისაგან:

ა. ანინის წერილს კომენტარს უკეთებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე **გიორგი ჭანტურია.**

უპირველეს ყოვლისა, საკომენტაროა ის, რომ სიტყვა შეურიგებელი არის კითხვის ნიშნის ქვეშ და ეს ჩემთვის გაუგებარია, რადგან ქართულ შეურიგებელ ოპოზიციას ეს არ დაუმსახურებია. ყველაზე შეურიგებლად, მგონი, საქართველოში ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ ყველაფერი ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოდის...

ყველა ჩვენი მტერი ამა წლის 24 აპრილს ფორუმის შენობასთან ამტყდარ სროლას იყენებს, აქაც, „ნედელიაშიც", ფაქტიურად, ამით იწყება. უკვე მოსკოვში ყოფნისას ალექსანდრ ანინმა გაიგო იმის შესახებ, რომ მოხდა სროლა და თბილისში დარეკა. ეს ფაქტი და შემდგომი „ხვლა", რომ ვილაც აფხაზმა თავი ჩამოიხრჩო, ქმნის ერთგვარ ნიადაგს, რათა ავტორმა წარმატებით გაატაროს პუბლიკაციაში ანტიქართული აზრები. მისი აღშფოთება გამოუწვევია საბჭოთა გენერლის მუნდირიანი ფიტულის დაწვას 9 აპრილს, რაც, კორესპონდენტის აზრით, არასერიოზული მოქმედებაა. აქ იბადება კითხვა, თუ ვისი ფიტული უნდა დაეწვათ, თუ არა გენერლისა, რომლის ბრძანებით, ეს ტრაგედია დატრიალდა.

სტატიაში დიდი ადგილი უკავია ჩემს პიროვნებას და ჩემს გამონათქვამებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, დამახინჯებულია. აღნიშნულია, თითქოს მე განვუცხადე კორესპონდენტს, რომ ჩვენი მიზანია უმართავი სიტუაციის შექმნა. ეს არასწორია. პირიქით, ჩვენ სტაბილიზაციის მომხრენი ვართ, ხოლო სიტუაცია უნდა იყოს მართვადი, ოღონდ მართვადი ეროვნული მოძრაობის თვალსაზრისით; საქართველო უნდა დავტოვოთ საბჭოების, საბჭოთა სტრუქტურების გარეშე, რომ მათ ვერ შეძლონ მართვა სიტუაციისა. სიტუაცია რეალურად უნდა მართონ ეროვნულმა ოპოზიციურმა ძალებმა. ასეთი იყო და არის ჩვენი პოზიცია, რაც სტატიაში ცალმხრივად არის ასახული.

რაც შეეხება მონარქისტულ პარტიაზე მსჯელობას, რატომღაც, ავტორი ცდილობს მონარქიზმის იდეის გაბერვას საქართველოში. იგი ფაქტიურად სხვა ალტერნატივას არც აყენებს — ან საბჭოთა ხელისუფლება, ან მონარქიზმი. თითქოს მეტი პოლიტიკური ძალები საქართველოში არ არსებობდნენ. (მონარქიზმის იდეა ჯერჯერობით ნაკლებად პოპულარულია, როგორც დასავლეთში, ისე რუსეთში). ავტორს სურს დაანახოს ყველას თუ რამდენად კონსერვატორულია, რამდენად რეაქციულია ქართული შეურიგებელი ოპოზიცია. ვფიქრობ, რომ ეს მან ვერ შეძლო.

1921 წლის ანექსიის შემდგომი მოვლენების სამართლებრივ შეფასებაში ჩვენი პოზიცია უცვლელია. ოპონენტის აზრით, 1941-45 წლებში ქართველები და რუსები ერთად რომ იბრძოდნენ, ეს ფაქტი არ ცვლის 1921 წლის ანექსიით გამოწვეული ტრაგედიის სიმძიმეს და ხელს ვერ აგვაღებინებს ეროვნულ ბრძოლაზე.

ერთ-ერთ ქვეთავში — „როგორ შეიძლება ძალაუფლების ხელში ჩაგდება" — საუბარია იმაზე, რომ ჩვენ დავიკავეთ კომკავშირის ქალაქკომის შენობა. ეს, რა თქმა უნდა, ასეა... რადგან ჩვენ ეს შენობა დავიკავეთ, ავტორი ასკვნის, რომ ჩვენ „დავიკავებთ" ხელისუფლებასაც. რაც შეეხება ფრაზას, რომ ჩვენ კომკავშირელი აქტივისტები გავყარეთ, ამის მსგავსი არაფერი მითქვამს. კორესპონდენტმა მხოლოდ აღნიშნა: „დრო იცვლებაო". მაშინ იგი საკმაოდ კეთილგანწყობილი მომეჩვენა. გასაგებია, რატომ და რისთვის. სტატიაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ჩვენი პარტია განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებს ჩვენი იდეების, ლიტერატურის გავრცელებას პატიმრებში. ეს სიცრუეა, რადგან, ჩვენ ვეწევით თანაბარ პროპაგანდას, როგორც სოფლად, და ქალაქად, [illegible]ნებში და ციხეებში, ჩვენი იდეების გასავრცელებლად. რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას თავისუფლებისათვის ბრძოლის „ლიტვურ ვარიანტთან", იგი კარგად არის ცნობილი. ჩვენ მხარს ვუჭერთ ეროვნული დაუმორჩილებლობის ისეთ ფორმას, როგორიც არის საბჭოთა არმიაში სამსახურისადმი ბოიკოტის გამოცხადება, აგრეთვე უარის თქმა საბჭოთა პასპორტზე (50 000 ქართველმა მოაწერა პროტესტის ამ სახეს).

საერთოდ, ჩვენ არ გაგვკვირვებია ასეთი შინაარსის სტატიის დაბეჭდვა. ქვეყნდება და კვლავ გამოქვეყნდება უფრო მტრულად განწყობილი სტატიებიც, სანამ იარსებებს იმპერია. ეს ფაქტიურად არის მორიგი პასკვილი ეროვნულ მოძრაობაზე: თითოეულ ასეთ პასკვილს პასუხი რომ გავცე, მაშინ ყოველგვარ სხვა საქმიანობას უნდა დავანებო თავი. ეს პუბლიკაცია რომ ერთადერთი იყოს, მაშინ იქნებ ღირდეს კიდეც საპოლემიკოდ, მაგრამ ეს მთლიანი ჯაჭვის მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია. სწორედ ამიტომ, არ დავწერეთ საპასუხო წერილი, მით უმეტეს, რომ 99%-იანი გარანტია გვქონდა, რომ „ნედელიას" ფურცლებზე იგი არ დაიბეჭდებოდა.

## მე ვეძებ ჩემს თავს




იცნობდეთ... ციფი მიხაელი, ლალი მიხელაშვილი, დაიბადა 1964 წელს საქართველოში, ბავშვობა სენაკში გაატარა. 7 წლის ასაკში მშობლებსა და ძმებთან ერთად გაემგზავრა ისრაელში, ქალაქ ხოლონში. დაამთავრა მსოფლიო ლიტერატურის ფაკულტეტი, პედაგოგის სპეციალობით. სულ ახლახანს გამოვიდა მისი პირველი პოეტური კრებული. „ლალის ლექსები", ასე ჰქვია ამ წიგნს. თევზი მისი ჰოროსკოპია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არის ემოციური, პოეტური ბუნების, მოსიყვარულე. ხშირად უცრუვდება ოცნება, მაგრამ ყოველთვის იმედიანია.

კიდევ რისი თქმა შეიძლება ახალგაზრდა პოეტ ქალზე? მოდით, თვითონ მას გავესაუბროთ.

●

— ციფი, რა მიზნით ჩამოხვედით საქართველოში?

— საქართველოში მსოფლიო ებრაელთა ორგანიზაცია სოხნუთმა გამომგზავნა ივრითის მასწავლებლად. აქ ძალიან ბევრი ადამიანია დაინტერესებული ამ უძველესი ენით. თითქმის ყველა ასაკის ორასამდე მოსწავლე მყავს. უმეტესობა მაინც ახალგაზრდებია.

— ციფი, რა გრძნობა გქონდა, როცა შენი წიგნი ნახე დასტამბული?

— ისეთივე, როგორიც დედას, რომელიც ახალშობილს დაინახავს პირველად. იმ გრძელმა პერიოდმა, ჩემი ლექსების წერისა, დასრულებული სახე მიიღო. ეს წიგნი ჩემთვის სარკეა, მასში საკუთარ თავს ვუმზერ, ჩემს დადებით და უარყოფით მხარეებს. ამ წიგნით ჩემს თავს ვპოულობ, როგორც ქალი და როგორც პოეტი.

— რა თვისებებია იმისთვის, საჭირო, რომ იყო ჭეშმარიტი ხელოვანი?

— ეს კითხვა მისცეს ერთ გამოჩენილ ებრაელ მწერალ ქალს. მან ასე უპასუხა: — ვისაც სურს იყოს ჭეშმარიტი ხელოვანი, უნდა [illegible]ეშვიდობოს მორცხვობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწერალი უნდა იყოს თავისუფალი, არ მოერიდოს ფიქრის გაძლობა. ამავე დროს, მამა-უფალმაც უნდა მისცეს ის ნაპერწკალი, რასაც ჩვენ მუზას ვუწოდებთ.

— რისი თქმა გსურს შენი ნაწერებით და, საერთოდ, როგორ იწერება ლექსი?

— რისი თქმა მსურს? ჯერჯერობით, მე ვეძებ ჩემს თავს. ამ პროცესს, ალბათ, თვითშეცნობა ჰქვია. ლექსს ფიქრი მაწერინებს. ფიქრით კი მაშინ ვფიქრობ, როცა ჩემში კონფლიქტი იბადება. როცა სევდიანს და გაორებულს გზა ვერ მიპოვია. ლექსი ის გზაა, საკუთარ თავთან რომ მიგიყვანს.

— ციფი, თქვენ ალბათ გაეცანით ქართულ პოეზიას, რაიმეს თარგმნის სურვილი ხომ არ გაგიჩნდათ?

— დიახ, ჩემი დიდი სურვილია, შევადგინო ქართველ და ებრაელ პოეტ ქალთა ანთოლოგია.

— თქვენ ბავშვობა საქართველოში გაატარეთ, და მაინც, ალბათ, თქვენთვის უცხოა ქართველი კაცის ხასიათი, — წეს-ჩვეულება. რა თვისებები მოგეწონათ და რა უარყოფითი დაინახეთ ჩვენი ხალხის ბუნებაში?

— საქართველო და ქართველი ხალხი ყველასგან გამორჩეულია, თქვენ ძალიან ემოციური ერი ხართ, ხელოვნების დამფასებელი. გულისხმიერი, სტუმართმოყვარე. გამაოცა იმან, რომ ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოებს ხშირად ლექსად ამბობენ. ქართველ კაცს ესთეტიკისაკენ დიდი სწრაფვა აქვს. იგი სულით ხორცამდე პოეტურია. ეს თქვენი დიდი ღირსებაცაა და, იქნებ, ნაკლიც, რადგან ქართველი პოეზიას ჰგავს, ლექსივით მშვენიერია, მაგრამ არარეალური. და კიდევ ერთი თვისება მინდა აღვნიშნო ქართველის, ის საოცრად მოკრძალებულად ექცევა სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანს.

ჩემთვის ამაღელვებელი იყო ქრისტიანობისა და ებრაელების ასეთი სიახლოვე. მახსოვს, როცა ჩემს ქართველ მეგობართან ერთად ეკლესიაში შევედი, უცნაური ჟრუოლა ვიგრძენი. ვიფიქრე, რომ ეს ერიც იგივე ღმერთს სცემს თაყვანს, რომელსაც ჩვენ. ოღონდ, ამ ღმერთს სხვადასხვა კუთხიდან ვუცქერით. მერე სინაგოგაში წავედით. ადამიანები პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთის ეროვნებასა და სარწმუნოებას. ამით ქართველნი ნამდვილად სამაგალითონი არიან.

— რას უსურვებდი ჩვენს ერს?

— რასაც თქვენ თვითონ ნატრობთ კარგა ხანია, — განთავისუფლებას. მაგრამ, თავისუფლებას ყოველი ადამიანი თავისთავში უნდა ეძებდეს, არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ მას სხვა მიანიჭებს თავისუფლებას. თვითგანთავისუფლება გზაა თავისუფლებისაკენ, ამას კი თავგანწირვა სჭირდება. სადაც იბადება სურვილი და მოთხოვნილება, ღმერთი იქ ძალასაც ბადებს. მე მჯერა, საქართველოში გაჩენილ სურვილს, უსათუოდ უწერია ასრულება.

— და ბოლოს ასეთი შეკითხვა, თევზი თქვენი ჰოროსკოპია. წამით წარმოიდგინეთ, რომ ზღაპარში მოხვდით, რას შესთხოვდით ოქროს თევზს?

— იმას, რაც არარეალურია. მარადიულ სიყვარულს, მარადიულ ბედნიერებას, მარადიულ სიცოცხლეს.

**მაყვალა გონაშვილი**

## ებრაელები კავკასიაში



ისრაელის კავკასიოლოგიის ცენტრის ცნობით, ამ ცოტა ხნის წინ, გამოვიდა დოქტორ **იცხაკ დავიდის** ორტომიანი მონოგრაფია „ებრაელთა ისტორია კავკასიაში" გამომცემლობა „კავკასიონი", თელ-ავივი, 1990 წ. I-II ტომი (რუსულ ენაზე).

გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

კავკასიის, მცირე აზიის და პალესტინის (ისრაელის მიწა) სამკუთხედი, ევროპის, აზიისა და აფრიკის გზაჯვარედინზე, ისტორიულადაც და გეოგრაფიულადაც მსოფლიოს უდიდესი ცივილიზაციების გადაკვეთის წერტილში იმყოფება.

ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა, გეოგრაფებმა, ბიბლიის მცოდნეებმა, ეკონომისტებმა და ანთროპოლოგებმა შესძლეს აღედგინათ ის უმთავრესი მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ კავკასიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულიდან დღემდე, ისტორიამ განაპირობა ცვლილება ეთნოლინგვისტური ვითარების და გეოგრაფიული საზღვრებისა.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, ჩვენ შევეცადეთ გადაგვესინჯა და გაგვეანალიზებინა კავკასიელ ებრაელთა შესახებ არსებული წყაროები და გვეპოვნა ახალი თვალსაზრისი, დაგროვილი ისტორიული ცოდნის შემოწმების, გაღრმავებისა და გავრცობის გზით; რათა აგვეხსნა ზოგიერთი უცნობი ფაქტი, რომელიც ახლახანს აღმოჩნდა მრავალ ენაზე არსებულ წერილობით დოკუმენტებში.

ნაშრომზე „ებრაელთა ისტორია კავკასიაში" მუშაობისას, ჩვენ შევეცადეთ, გადმოგვეცა ადაპტირებული ისტორიული მასალა, როგორც საფუძველი საკვლევი პრობლემისა.

ნაშრომები კავკასიურ-ებრაული პრობლემატიკის კვლევის შესახებ არ არის ბევრი. უკანასკნელ წლებში გამოსულ წიგნთა მხოლოდ მცირე რაოდენობა ეხება კავკასიელ ებრაელთა განსაკუთრებულ ეთნოსსა და ისტორიას.

რუსულ ენაზე გამოცემული წინამდებარე ნაშრომი თემის სპეციფიკურობის საფუძველზე საკითხს კომპლექსურად განიხილავს. ამგვარად, ავტორი დაინტერესებულ მკითხველს სთავაზობს ნაშრომს, რომელიც ემყარება ისტორიულ წყაროებს და აღიარებული ავტორიტეტების (მოგზაურთა, მეცნიერთა), დაკვირვებებს.

ამ ხალხთა ნათელი და თანმიმდევრული სურათის დახატვა ღრმა სოციალური ისტორიის ჩარჩოებში კულტურულ, ეთნიკურ და ფსიქოლოგიურ დილემათა გადაჭრისათვის გამუდმებული ძიების ასახვის ერთგვარი ცდაა; იმ დილემათა, რომელთა დრამატიზირებაც ასე ცხადად ზემოქმედებდა კავკასიელ ებრაელებზე თითქმის ოცდასუთი საუკუნის განმავლობაში თავიანთ დროებით საცხოვრისში.

რელიგიურ-რაციონალისტურ წყაროთა წარმოშობის, განვითარებისა და ცვლილების ანალიზისას, ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების, მისი მოდელის და კომპონენტების განხილვისას, რომელთაც ისტორიკოსები და მკვლევარები ხშირად აღევნებდნენ თვალყურს, ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ განიცდის ებრაელი ხალხი და მათი კულტურა კავკასიაში საოცარ მსგავსებას ტიპიურ ებრაულ დიასპორასთან, ერთადერთ შემთხვევასთან, როდესაც, კავკასიელი ებრაელები თავიანთი რწმენით და წეს-ჩვეულებებით იყვნენ ღვთისმოსავი ორთოდოქსი იუდეველები, ძალზე ხშირად მოხსენებულნი, როგორც „ებრაელები" და დაქვემდებარებულნი რიგ ინდივიდუალურ ნაციონალურ ქმედებას.

ჩვენ, აგრეთვე, დაგვაინტერესა იმ გზამ, რომლითაც სხვადასხვა ხალხები ერთმანეთთან კავშირს ამყარებენ და ერთიმეორის ზემოქმედებას განიცდიან. წიგნზე მუშაობისას, ვიმედოვნებდით, რომ ნაშრომი აღადგენდა მრავალრიცხოვანი დეტალების თავისებური და მეტად ამაღელვებელი დოკუმენტური მასალის ზოგიერთ აუცილებელ თანმიმდევრობას, რათა იგი მისაწვდომი გამხდარიყო მეცნიერული სამყაროსათვის, ვითვალისწინებდით, რა კავკასიის რეგიონის შუასაუკუნოებრივი კულტურის იშვიათ მრავალფეროვნებას.

ნაშრომი ემყარება ისტორიული ცნობების ხელახალ შეფასებას, ახდენს მათ გადასინჯვას და გვთავაზობს ახალ თვალსაზრისს კავკასიელ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების შესახებ, ხაზს უსვამს, რა ამ ფენომენის ისტორიულ უწყვეტობას.

ვევვარეშეა, რომ ეს ნაშრომი შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ებრაელ ხალხთა ისტორიის პირველი თანმიმდევრული ანალიზი, რომელიც გვთავაზობს ამ მხარის ირგვლივ ფასეულ მოსაზრებებს. ამ ხალხთა ისტორიის შესახებ, მრავალი საკითხი ასე სრულყოფილად და ამომწურავად პირველად გაანალიზდა კვლევის ახლებურ ასპექტში.

ჩვენ შევძელით შენიშვნები დაგვერთო სხვადასხვა ისტორიული, სალიტერატურო, ფოლკლორული, თხრობითი. ეტიმოლოგიური, იურიდიული და კულტურული ფაქტებისათვის, რითაც შესაძლებელი გახდა, ნათელი მოგვეფინა ამ ერთგვარად შეუსწავლელი მხარისთვის. საზოგადოდ, კავკასიოლოგიური და ებრაული სფეროს კვლევის დარგში, რამაც ჩვენი აზრით, მკითხველს მიაწოდა კავკასიელ ებრაელთა ტომობრივ-წარმომავლობითი სტრუქტურის ფსიქოლოგიური ფესვების შესახებ საინტერესო ინტერპრეტაცია.

ისტორიული მეთოდოლოგიის და პერიოდიზაციის პრობლემები გაშუქებულია ისტორიულ-ტიპოლოგიურ შედარებებთან, მოვლენათა, ეპიზოდთა და ფაქტთა დიალექტიკური ერთიანობის ფსიქოლოგიურ დინამიკასთან და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასთან კავშირში.

თარგმნა
**ლელა შველიძემ**

ძნელია ერთგვაროვანი შეფასება მისცე იმ რეაქციას, რაც მოჰყვა ჟურნალისტ ნანა დავითაშვილის პუბლიკაციას — „შეგვახსენეთ, რომ ჩვენც ქალები ვართ“ („ლს“, 11. V. 90 წ.). მკითხველს გავახსენებთ, რომ ეს იყო რეპორტაჟი თბილისის ქალთა კოლონიიდან. იმ დღიდან სარედაქციო ფოსტას მოაქვს უამრავი წერილი თუ გამოხმაურება, არ წყდება ტელეფონის ზარი, მოდიან ათასნაირი საწუხარით გატანჯული ადამიანები, ითხოვენ ნანა დავითაშვილისა და რედაქტორის ნახვას; ნუგეშს, შველას ელიან რედაქციისაგან. მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ თურმე სადღაც აქვე, ჩვენს გვერდით არსებობენ ადამიანები, რომელთა მძიმე ხვედრზეც, შინაურების გარდა, არავინ ფიქრობდა. აღარ გვახსოვდა, რომ ამქვეყნად არიან, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საცოდავი არსებები — პატიმარი ქალები. ერთი წუთით წარმოიდგინოთ საერთოდ დატუსაღებული ადამიანის მდგომარეობა და, მითუმეტეს, ქალისა, რომელიც გუშინ ოჯახში ფუსფუსებდა, ქმარ-შვილს უვლიდა, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ საზრუნავებში იყო ჩაფლული, დღეს კი... „ზონის“ ცხოვრებით ცხოვრობს, მის მგლურ კანონებს ემორჩილება. ძნელია ამაზე უფრო მძიმე, დამამცირებელი მდგომარეობის წარმოდგენა.

იმ უამრავ გამოხმაურებათა შორის, ზემოთ რომ ვახსენეთ, პატიმრების წერილებიც საკმაოდ მივიღეთ. ისინი დიდ მადლობას უხდიან ნარკვევის ავტორსა და რედაქციას გულისხმიერი მოპყრობისათვის, სიმართლის თქმისათვის; წერენ თავიანთ უბედურ ცხოვრებაზე, ჩადენილ დანაშაულზე, მიტოვებულ ოჯახსა და შვილებზე. ითხოვენ შეწყალებას, სასჯელის შემსუბუქებას, ცხოვრებაში დაბრუნებას. ამ ადამიანებს სხვადასხვა სახის დანაშაული აქვთ ჩადენილი — სახელმწიფო თუ სამეურნეო ქონების გაფლანგვა, ქრთამის აღება, წვრილმანი ქურდობა, მკვლელობა... ახლა ძნელია მათ დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობაზე ლაპარაკი, მაგრამ ერთი რამ კი უნდა ითქვას: ჩვენი საზოგადოება, ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები უფრო მეტს უნდა ფიქრობდნენ პატიმარ ქალებზე — მათი უმრავლესობა ხომ შემთხვევით მოხვდა განსასჯელის სკამზე. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ მათ ცხოვრებაში დასაბრუნებლად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალის ადგილი ოჯახშია და არა ციხეში...

საპატიმროდან გამოგზავნილი ბარათები, რომელთაც დღეს გთავაზობთ, თითქმის უცვლელად იბეჭდება. მიგვაჩნია, რომ დღეს დასამალი აღარაფერი გვაქვს, ყველამ უნდა იცოდეს, რა ქვეყანაში ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ, რა მოგველის, თუკი შემთხვევით გზიდან ფეხი გადაგვიცდა.

# წერილები საპატიმროდან

ბატონო რედაქტორო! პირველ რიგში მადლობას გიხდით იმ დიდი თანადგომისა და თანაგრძნობისათვის, რასაც თქვენი გაზეთი იჩენს ჩვენს მიმართ. პატიმრისადმი თანადგომა დიდი სულის მქონე ადამიანს შეუძლია მხოლოდ და თქვენ ეს დაამტკიცეთ. გვიბრუნდება რწმენა, ნდობა ადამიანებისადმი — ჩვენ, პატიმრებიც, ხომ თქვენი სისხლის და ხორცის ნაწილი ვართ. მადლობა თქვენ, რომ თითქმის პირველმა შეძელით გაჭირვებულისთვის ხელის შეშველება, რაც ქართველ ერს დიდი ხანია დაავიწყდა — უსამართლობამ ბევრი იმსხვერპლა და მათ შორის მეც.

ბატონო რედაქტორო! მე ქრთამის აღებისთვის ვზივარ. მისჯილი მაქვს 8 წელი, მყავს ორი პატარა შვილი 9 და 10 წლის, მოხუცების ამარა დატოვებული უდანაშაულო ვარ? არა — მაქვს გარკვეული დანაშაული — მე ვარ ნემსის ქურდი, აქლემის ქურდები კი გარეთ არიან, მაგრამ ხომ იცით, დიდია აქლემის ძალა...

ბატონო რედაქტორო! ყველაზე დიდი ბრალმდებელი საკუთარი თავის და ჩვენს გვერდში მყოფი პატიმრების, ჩვენ თვითონ ვართ. ორი წელია, რაც დაჭერილი ვარ და ყველასთან გაწყვეტილი მაქვს ყოველგვარი კავშირი, მათ შორის შვილებთანაც — ვთქვი და დღემდე გავატარე, რომ სანამ პატიმარი ვიქნები, არავის ჩემიანს არ შევხვდები, რასაც შევეწირე: ნერვიულობისგან დიაბეტი დამემართა, ვარ ინვალიდი, ასაკით 33 წლის. პირველი წერილი, რომელიც მე დავწერე, ეს თქვენი დამსახურება არის — დღეს მივხვდი, რომ ჯერ კიდევ სულ არ დამიკარგავს რწმენა — როგორ მინდოდა ყველაფერი მართალი მეთქვა ვინმესთვის, მაგრამ... მერე გამოვიდოდა რამე? არაფერი და ისევ ჩუმად ვარ, ვითმენ ისეთ საშინელ ცილისწამებას და შვილების უნახაობას, რომელსაც, ალბათ, ვერავინ ვერ შეძლებს. რამდენჯერ გადავწყვიტე ნანასთან საუბარი, მაგრამ უკან დავიხიე — ჯერ კიდევ მეშინია სიმართლის თქმის.

ბატონო რედაქტორო! მე ისე ავად ვარ, არ მგონია დიდხანს ვიცოცხლო, მაგრამ მაშინ, როცა ყველა იმედი გადავიწურე საზოგადოებაში დაბრუნებისა, თქვენ გამოჩნდით... ღმერთო, რამდენი უდანაშაულო ზის ჩემს გვერდში, რომ იცოდეთ — ბევრიც კიდევ ნამდვილი დამნაშავენი — გული კვდება ამდენი უსამართლობის ყურებით, ტყვილა ვისწავლე, ტყვილა ვიშრომე, დღეს მე არავინ არ მყავს. ვინ იცის, როგორ იტანჯებიან ჩემი პატარა უდანაშაულო შვილები — შვილები, რომლებსაც ბავშვობა წავართვი, დედა წავართვი და არ ვიცი კიდევ რა.

**ლია დვალიშვილი**

●

**პატ. რედაქტორო, მე კარგად მესმოდა და მესმის ის, რომ ქალობა საზოგადოებისაგან ბოძებული ისეთი პრივილეგია არაა, რომ მოვალეობასაც არ გულისხმობდეს, რომ ამ პატივისცემასა და ყურადღებას ქალმა კეთილხინდისიერი, პატიოსანი ცხოვრებითა და საქციელით უნდა უპასუხოს და არა უგვანო ქცევითა და საზოგადოებისათვის რაიმე ვნების მიყენებით.**

**მე ამ პრინციპით მინდოდა მეცხოვრა და თუ რაიმე უყურადღებობა გამოვიჩინე და შეცდომა დავუშვი, ეს ადამიანური შეცდომაა და არა წინასწარ განზრახვა დანაშაულისა. იმის მაგივრად, რომ იმ კოლექტივს, სადაც მე „ვმოღვაწეობდი“ მხოლოდ ოთხიოდე თვის განმავლობაში, ხელი გამოეწვდინა და დამხმარებოდა 21 წლის გოგოს, ხელი მიბიძგეს და წამაქციეს. არც სამართლის მსახურებმა დამაყარეს კარგი დღე —ექვსი წელი ისე გამომიტანეს სასჯელად, თითქოს „ექვსდღიანი საგზურით მაგზავნიდნენ სანატორიუმში“, ეს ხომ „ცოდვის ბუდეა“, რამდენ რამეს უძლებს ეს კედლები, თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა ძნელია სულიერად გაძარცვული, მორალურად პატივაყრილი ქალების ყურება, რომლებსაც ახლა იმედად თქვენ მოევლინეთ.**

**გიწერთ ამ ბარათს და სული მიტირის, თქვენ არ იცით რა ძნელია სულის ტირილი, — ოო — ღმერთმა მტერსაც არ გამოაცდევინოს. ამ კედლებში შემისრულდა 26 წელი, ფსიქიკურად დამიავადმყოფდა მეუღლე და როდესაც ვფიქრობ, თუ რისთვის ვიმყოფები აქ, ვეძებ მიზეზს, მივდივარ დასკვნამდე, რომ არ ვმუშაობდი სათანადო დონეზე, ისე არ გადავიბარე საწყობი, როგორც საჭირო იყო. თქვენ პირველი ადამიანი ხართ, ვისაც ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბარათს ვწერ. მე მინდა, რომ თქვენ ჩემი გჯეროდეთ, მე გამოვიჩინე სამსახურებრივი უყურადღებობა, რაც ნაწილობრივ ჩემი უცოდინარობითაც და გამოუცდელობითაც იყო გამოწვეული. ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, თუ საიდან აღმოამაჩნდა ოთხი თვის განმავლობაში ამდენი დანაკლისი.**

**ვფიცავარ, რომ არ დამიმსახურებია ასეთი ხვედრი და მინდა ვირწმუნო, რომ არიან ადამიანები, ვისაც შესწევს ძალა და უნარი, გაარჩიოს ავი და კარგი, მართალი და მტყუანი, ბოროტება და სიკეთე. სწორედ ამიტომ მოგმართავთ თქვენ და ველი თქვენს დახმარებას, მე ხომ ახლადშექმნილი ოჯახი მქონდა და მომავალში დედობასაც ვფიქრობდი...**

ულრმესი პატივისცემით მსჯავრდებული **ციური მეტრეველი.**

●

ბატონო ელიზბარ! ამ წერილს, გწერთ გაუბედურებული პატიმარი ქალი. დავაშავე, ძალიან დავაშავე და ალბათ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ მომასვენებს ეს დანაშაული. მოვკალი კაცი, თანაც მამამთილი. მოვკალი და იმ წუთიდან მოვკვდი სულიერად მეც. როგორ მოხდა? ვცხოვრობდით გაჭირვებით, ოჯახში კაციც მე ვიყავი და ქალიც. ვშრომობდი დღედაღამ, რათა გამომეკვება შვილები. ქალ-ვაჟი მყავს. როგორც ზღაპრებშია თქმული, სამოვარზე ხშირად შორ გზაზეც მიხდებოდა წასვლა. ამავე დროს ვმუშაობდი. ტანჯვამ, შიმშილმა, ოჯახურმა უსიამოვნებამ გამხადა ნერვიული, ხშირად მიხდებოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობა.

ერთ დღესაც დაღლილ-დაქანცული დავბრუნდი სახლში და დავიწყე ბავშვებისათვის საჭმლის კეთება. მამამთილმა დამიწყო ლანძღვა-გინება. ვთხოვე თავი დაენებებინა, ძალიან დაღლილი და განერვიულებული ვიყავი. რაღა მე შემხვდა ასეთი ბედი, უფრო სწორად უბედობა, რა დავაშავე ასეთი? ყველაფრის გაკეთება შემიძლია, ოჯახს ვუვლი, ეზო-გარემო დასუფთავებული, დათოხნილ-დაბარული, სამსახურში კარგი მუშაკი, ტკბილი, მოსიყვარულე დედა, მაშ რაღა უნდოდა ჩემგან? მამამთილმა გააგრძელა ჩემი ლანძღვა უცენზურო სიტყვებით და რა დამემართა აღარ მახსოვს. გამოვფხიზლდი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წაიქცა. უკვე გვიან იყო. მოსახდენი მოხდა. ძიება თქვენც კარგად მოგეხსენებათ როგორია ჩვენთან. 14 წლით მიმატოვებინეს შვილები, იმ დროს უფროსი 12 წლისა იყო, ხოლო ვაჟი- 11 წლისა. ბავშვები სულ უპატრონოდ დარჩნენ და იმ დღიდან მათთვის დაიხურა სკოლის კარებიც. ვაჟი წერა-კითხვის უცოდინარია. დარდმა სულ გადამრია. ვიფიქრე გავგიჟდები მეთქი.

ბატონო რედაქტორო! მიშველა ღმერთმა, ზონაში ნება დართეს შემოსულიყო მღვდელი. ამან გადამარჩინა. ყოველთვის ვესწრები წირვას, მოვინანიე ცოდვა და თითქოს ცოტა დავმშვიდდი.

ბატონო ელიზბარ! გთხოვთ დამიჯეროთ, ირწმუნოთ გაუბედურებული 7 წლის პატიმარი ქალისა, მომცეთ საშუალება შრომით დავამტკიცო, რომ არც ისეთი უნებისყოფო და არასანდო ქალი ვარ. დარჩენილი წლები მიმამაგრონ რომელიმე ორგანიზაციას, ვიმუშავებ და ჩემს შვილებს მაინც დავაყენებ სწორ გზაზე, რომლებიც დღეს უპატრონო ბატებივით არიან. გთხოვთ მენდოთ და დამეხმაროთ.

პატივისცემით **რუიზან ქარელიძე.**

●

**ბატონო რედაქტორო, მე-4 წელია პარალიზებული ვარ მარჯვენა მხარეს, ამ წერილს სხვას ვაწერინებ. ღმერთმა უშველოს ჩვენს ქალებს, მივლიან, მეხმარებიან მოხუცს.**

**შამპანურის ქარხანაში ვმუშაობდი, ვინც ჩემთან ერთად დაიჭირეს, ყველა გარეთაა, ხომ იცით, უფულო ადამიანი ყველგან დამარცხებულია. მე კი 12 წელი შევასრულე პატიმრობაში, ახლა სამი თვეღა დამრჩა, ვითხოვე შეწყალება და ეს სამი თვეც არ მაპატიეს, ნუთუ არა რცხვენიათ? განა რა ზიანი უნდა მივაყენო სახელმწიფოს დადამბმლავებულმა დედაბერმა, რომელსაც საჭმლის ჭამაც კი მიჭირს?!**

**ჩემი შვილები და შვილიშვილები მოდიან, მნახულობენ, ალბათ, სახლსაც ვერ მივაგნებ უიმათოდ, პატარა ბავშვები ვერც კი მცნობენ...**

**ღმერთმა უშველოს თქვენისთანა კეთილ ხალხს, პირველ რიგში ილია II-ს, მისი ლოცვა-კურთხევით მღვდელი მოდის ჩვენთან ყოველ კვირა და გვაზიარებს.**

**ღმერთისა და თქვენი იმედით ვარ, ბატონო ელიზბარ. იქნებ ეს სამი თვე მაპატიონ თქვენი თანადგომით და სახლამდე მივიტანო გაწამებული სული.**

პატივისცემით **მარიამ ბიბილაშვილი**

●

ბატონო რედაქტორო! კორესპონდენტის მოსვლამ ზონაში ყველანი აგვაფორიაქა, რწმენა-დაკარგულებს არ გვეგონა თუ ოდესმე გაზეთში სიმართლე დაიწერებოდა, თქვენმა გაზეთმა ეს შეძლო, მხოლოდ ამიტომ გადავწყვიტე მეამბნა თქვენთვის ჩემი ცხოვრების შესახებ.

მძიმე ბავშვობა გავიარე. თქვენ კარგად მოგეხსენებათ დედანაცვალი და მისი სიკეთე. ბედის ძიებამ ქალაქ რუსთავში მიმიყვანა. დავიწყე მუშაობა, როგორც სოფლიდან წამოსული ახალგაზრდობის უმრავლესობა, ბინა საერთო საცხოვრებელში დავიდე, ვინაიდან ჩემი მეუღლეც ობოლი იყო, ვცხოვრობდით ჩემს მშობლებთან. ამ დროს ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა, გაიზარდა ოჯახი. მე იძულებული ვიყავი გავსულიყავით ოჯახიდან ქირით და თან ამომწერეს ბინიდან მშობლებმა. სივიწროვემ, გაჭირვებამ კარგად მოგეხსენებათ უსიამოვნება იცის ოჯახში და მეუღლემაც მე და მცირეწლოვანი ბავშვი ორივე ერთად მიგვატოვა. მშობლებმა უკან აღარ მიმიღეს. მამამ მომცა 10 მანეთი და მითხრა ქვეყანა დიდია, საითაც გინდა ქეთ წაბრძანდიო. უბინაო, უფულო, უპატრონო, ჯერ კიდევ მთლად ბავშვი დავრჩი ქუჩაში, ჩემი ბავშვი კი ჩემს ახლადმოყვანილ რძალს შევატოვე და ოჯახიდან წამოვედი. დავიწყე მუშაობა, საცხოვრებლად ბინა ვიქირავე, ამ დროს დამეკარგა პასპორტი, პასპორტის ასაღებად მილიციაში მიმყვა ამხანაგი, მილიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა შემომთავაზა მათთან მუშაობა, პირველად ვერ მივხვდი რას ნიშნავდა „მუშაობა“, ხოლო, როდესაც ამიხსნა და მივხვდი, უარი განვაცხადე, რა ვიცოდი თუ ამ უარით უამრავ მტრებს შევიძენდი. მდგმურად ვცხოვრობდი, ტაბიძის ქუჩაზე. იქვე მეზობლად ცხოვრობდა სპეკულანტი ქალი, რომელსაც ხშირად ჩამოჰქონდა ძვირფასი ნივთები მოსკოვიდან. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა (მთელი კვირის ნაშიმშილარმა) მივაკითხე ამ სპეკულანტს და შევთავაზე ნივთებს გაგიყიდი-მეთქი. ნივთები წამოვიღე და საცხოვრებლად სხვაგან გადავედი, გადავედი ისე, რომ არც ბინის ქირა გადამიხდია, არც სპეკულანტისათვის მითქვამს ჩემი ადგილსამყოფელი. ეს ქალბატონი ძლიერ გამოცდილი იყო. მიხვდა ნივთები ჩემი გაჭირვებისთვის რომ მჭირდებოდა. უსულგულო იყო და ამიტომ მილიციაში მიჩივლა, დამიჭირეს, სიმართლე არ დამიმალია, ყველაფერი გულახდილად ვუამბე მილიციის თანამშრომლებს, მცემეს და გამომიშვეს.

1986 წლის აგვისტოში სოფელში წავედი. იქ გავიგე, რომ თურმე მილიცია მეძებდა. გამიკვირდა, რუსთავში ჩამოსვლისთანავე დამიჭირეს, დამიჭირეს, როგორც თავზეხელაღებული ყაჩაღი. დამიჭირეს ქუჩაში, ქუჩაშივე მცემეს, გადამიგრიხეს ხელები და შემაგდეს მანქანაში. მილიციაში დამხვდა ჩემი ბინის ყოფილი პატრონი, რომლისაც ერთი თვის ქირა მემართა, თურმე ის მიჩიოდა, ბინა გამიტეხა და ძვირფასი ნივთები მომპარაო. რა თქმა უნდა, ბრალდებაზე უარი ვთქვი, ვინაიდან მე ქურდი არ ვიყავი, უმოწყალოდ მცემეს და გამომიშვეს იმ პირობით მოპარული ნივთები სამ დღეში დამებრუნებინა პატრონისათვის. რაც არ მქონდა წაღებული, რა უნდა დამებრუნებინა? და ისევ დამიჭირეს 1986 წლის 1 სექტემბერს. უმოწყალოდ მცემეს, არ მეგონა, თუ საბჭოთა მილიციის ცემის მეთოდები ზუსტად ისეთივე იქნებოდა, როგორც ფაშისტებისა. შიშველ ფეხის გულებზე პარკეტის ნაჭერს მირტყამდნენ და ტკიფილი ტვინს მირევდა. მცემდნენ რამდენიმე ერთად, ესენი იყვნენ, შოთა ა-შვილი, გივი ან-ოვი, პაატარ ნ-ძე, სერგო ქ-ვი, მურთაზ კ-ია, ჯუდუ ბ-შვილი, დათო გ-შვილი და სამის სახელი და გვარი არ მახსოვს*. როდესაც ცემა მობეზრდათ და მეც გონი დავკარგე, შეისვენეს და თან მკითხეს, იღებ შენს თავზე თუ არა ამ ქურდობასო. მე უარი განვაცხადე. უარის თქმის დროს თავში 20 ლიტრიანი ცარიელა კასრი ჩამარტყა გივი ა-ვმა, ისევ გონი დავკარგე, როდესაც მომიყვანეს აზრზე, გავიგონე, რომ თურმე ჩამოკიდებას მიპირებდნენ, რას ნიშნავდა ეს ჩამოკიდება არ ვიცოდი, ვიფიქრე ალბათ ჩამომახრჩობენ-მეთქი. ამ დროს შემოვიდა ოთახში მათივე თანამშრომელი გია კ-ძე, მან მიხსნა სიკვდილისაგან, მისმა ყვირილმა გამოაფხიზლა ცემის აზარტში შესული მხეცები. იმ ღამეს სამორიგეოში ვეგდე. მეორე ღამის თორმეტ საათზე სერგო ქ-ვი შემოვიდა სამორიგეოში, ამ ორფეხა პირუტყვმა მუცელში წიხლი ჩამარტყა და გამაფრთხილა, თუ ნახევარ საათში აღიარებას არ დაწერ უარესს გიზამო. ნახევარი საათის შემდეგ გამიყვანეს კაბინეტში. დაიწყო ისევ ჩემი წამება, მე შემეძლო მარტო ამ ქურდობის საქმე კი არა, 10 კაცის მკვლელობაზე დავთანხმებოდი, მაგრამ ბავშვობიდან შესისხლხორცებულმა სიჯიუტემ და სიმართლის ძიებამ აქაც თავი იჩინა. გამომიყვანეს განყოფილებიდან და ჩამიყვანეს მტკვრის ნაპირთან, თან მახლდნენ სერგო ქ-ვი და მისი მძღოლი ალბერტ მ-შვილი. უმოწყალოდ მცემა ქ-ევმა, მძღოლიც კი შესძრა, სერგო, ეყოფა ბოლო-ბოლო ამდენი ცემა, გოგოა და ცოდვააო. დამანება როგორც იყო თავი და ამიყვანეს განყოფილებაში. და მაშინ ქ-ვმა ბრძანა, ნახევარი საათის შემდეგ ჩამოვკიდოთო. რაღაც ითათბირეს და ნ-ძეს უბრძანეს, შემოიტანე მოსამართლე და პროკურორიო. პაატა ნ-ძემ შემოიტანა კარნიზი და მაგიდის ფეხი, პირველად მაშინ გავიგე, რომ თურმე მილიციასაც თავისი ჟარგონი ჰქონია. კარნიზს მოსამართლე ერქვა, მაგიდის ფეხს კი პროკურორი. არ შემიძლია არ აგიწეროთ, რა არის ჩამოკიდება. მინდა იცოდეთ საბჭოთა მილიციაში როგორ ექცევიან უდანაშაულო ხალხს. ხელები შემიკრეს ხუნდებით, შეკრული ხელების შუაში გამიყარეს კარნიზი და დამდეს ორ მაგიდაზე, ამომატრიალეს ფეხებით ზევით, პირზე აირწინაღი ჩამომაცვეს და დამიწყეს ცემა, მერე მივხვდი, აირწინაღი რისთვის იყო საჭირო, მაგრამ მე ისედაც არ ვიყვირებდი, ვინაიდან სიკვდილს როგორც ხსნას ისე ველოდებოდი. ზუსტად ორი საათი ვიყავი ასეთ მდგომარეობაში. სერგო ქ-ვი, ეს ფორმიანი სადისტი, ნიშნის მოგებით მეუბნებოდა: ბინის ქურდობას კი არა, კენედის მკვლელობასაც აგაღებინებ თავზეო. ველარ გავუძელი ამდენ ცემას და გამწარებულმა შევძახე: ბინაც მე გავტეხე, კენედიც მე მოვკალი, ოღონდ თავი გამანებეთ და რაც გინდათ იმას დავწერმეთქი, ცემისაგან ჰკუაშერყეულს მომიჯდა ჯუდუ ბ-შვილი და მისი ნაკარნახევი სიტყვა-სიტყვით დავწერე. მომიყვანეს გამომძიებელი

---

* გვარებს აქაც და სხვაგანაც შეგნებულად არ ვშიფრავთ, რადგან მიგვაჩნია, რომ საქმე ცალკეულ პიროვნებებში კი არ არის, არამედ მთელი სისტემის მუშაობის მეთოდებში. სწორედ ეს ჯალათური მეთოდები უნდა შეცვალოს ჩვენმა მილიციამ (რედ.).

იური ტ-ვი, მასაც ხომ უნდა დავეკითხე? ვინაიდან ჯ. ბ-შვილის ნაკარნახევიდან დეტალები ვერ დავიმახსოვრე, გამომძიებელს ეგონა „ისევ ვიტყუებოდი" და არც იმან დამზოგა. დაკითხვის შემდეგ წამიყვანეს საავადმყოფოში. ცემისაგან მარჯვენა მხარზე მქონდა ძლიერი ტკივილები, ექიმებს ეგონათ, რომ ბრმანაწლავი იყო, მაგრამ რომ გამკვეთეს, ჩემმა მდგომარეობამ გინეკოლოგიური ჩარევაც მოითხოვა. ჩემს საავადმყოფოში ყოფის დროს ნამდვილი ქურდი დაუჭერიათ, ამის შესახებ მაცნობა გამომძიებელმა ი. ტ-ვმა. დამნაშავის სკამს კი ავცდი, მაგრამ სამაგიეროდ ნახევარი სიცოცხლე წართმეული მქონდა.

ამ შემთხვევიდან რამდენიმე წელი უმუშევარი ვიყავი, ვინაიდან რაიგანყოფილებამ არ მომცა პასპორტი. 1989 წ. 17 მარტს ქ. რუსთავში მოხდა მკვლელობა. ამ მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ მილიციის თანამშრომელი გ. ხ-ვი. მკვლელობა მოხდა შემთხვევით. ძიების დროს ვთქვი სრული სიმართლე, მაგრამ ამ სიმართლის დამჯერი არავინ იყო და ისევ დაიწყო ჩემი უღვთო წამება. ამჯერად ჩემი მწამებლები გახლდნენ ცუგო ბ-ძე და ჩემი გამომძიებელი ამირან დ-ძე. განმეორდა იგივე. ვიცოდი ჩამოკიდებას ველარ გავუძლებდი და ვიყვირე, ოღონდ არ ჩამომკიდოთ და მაგ მკვლელობასაც მე დავიბრალებ და თუ კიდევ გაქვთ რაიმე საქმე ვინმეზე დასაბრალებელი, ისიც მე დამაბრალეთ, თანახმა ვარ-მეთქი. ყოველგვარი მტკიცეების გარეშე 105 მუხლით მომისაჯეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. ნაცემი, საშინელი ტკივილებით შემაგდეს ციხეში, ნოშპა და ანალგინი — მხოლოდ ეს ემეტებათ პატიმრისათვის. და, აი, ზონა. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ზონა ის დაწესებულებაა, რომელიც ადამიანს აკეთილშობილებს და სწორ გზაზე აყენებს? ზონა იმ კიბის ბოლო საფეხურია, რომელსაც გოლგოთის მთაზე ავყავართ, არავის არ აინტერესებს არც ჯანმრთელობა, არც სულიერი მდგომარეობა, ისინი პირადი საქმეებით არიან დატვირთულები, ხელჩართული ომი უნდა გადაიხადო ანალგინისა და ნოშპის გარდა წამალი რომ მიიღო. ბატონო რედაქტორო, ამდენი ცემა-ტყეპის, შიმშილის და სიცივის შემდეგ დავრჩი მძიმე ავადმყოფი. არც ზონის ექიმი და არც რეს-საავადმყოფოს ექიმები პატიმრის გახკურნებაზე თავს არ იწუხებენ. აქ ზონაში პატიმარს თუ კარგი პატრონი არა ჰყავს გარეთ, ასეთი პატიმარი სულიერადაც და მორალურადაც ნადგურდება.

ჯერ მხოლოდ 31 წლის ვარ, ცხოვრება წინა მაქვს, ვჰირდები ჩემს უპატრონოდ მიტოვებულ შვილს, ბესიკის, ასეთმა გულგატეხილმა, ასეთმა უიმედომ მომავლისადმი, როგორ უნდა ვიცხოვრო? ბავშვი შორეულ ნათესავებთან იზრდება, როგორი გაიზრდება? ამ უსამართლო ცხოვრებაში ალბათ ისიც უსამართლო გაიზრდება, აი, მხოლოდ ეს მაწუხებს.

ბატონო რედაქტორო, დამეთანხმებით. ეჭვს არ იწვევს. მე რომ თავიდანვე მათ თანამშრომლობას დავთანხმებოდი, მეკეთებინა მათი უსინდისო საქმეები, მე დღეს პატიმარი არ ვიქნებოდი და ისევ და ისევ გულს მიღრღნის ერთი კითხვა, რატომ? დახმარებას არა გთხოვთ, ვინაიდან 30 წლის მანძილზე ადამიანი არ შემხვედრია, რომელსაც საწყალად ხელი გამოეწოდოს და თუნდაც უბრალო, ტკბილი სიტყვით ჩემთვის ეთქვას რაიმე საიმედო ან იარა მოეშუშებინოს, ეს წერილი მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გაზეთის გამოხმაურებაა. მინდა იცოდეთ, რომ პატიმრებს ცემენ, მინდა იცოდეთ, რომ უსინდისოდ ახვევენ თავს სხვის ცოდვებს უცოდველს, მინდა იცოდეთ, რომ მხოლოდ სიკვდილია გასაცოდავებული პატიმრის წამალი, როგორ უნდა ვთხოვო ვინმეს, შემიბრალე და შემიწყალეო, როდესაც საწყალობელი არაფერი მაქვს გაკეთებული. მე მგონია შესაბრალი და შესაწყალი ჩემს მიერ ჩემოთვლილი პიროვნებებია.

ვიცი არ გამოაქვეყნებთ ამ წერილს, არც გამოსაქვეყნებლად დამიწერია. მე მინდა მხოლოდ ჩემი ასაკის და ჩემზე უფრო ახალგაზრდა ასაკის ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ ციხე და ზონა არ არის ის დაწესებულება, რომლითაც შეიძლება იამაყო. დღეს საქართველოს ქართველი დედები ამ ყრუ კედლებს გარეთ ურჩევნია, საამაყო საქმეები გარეთაა საკეთებელი.

მსჯავრდადებული

**ხათუნა ნოზაძე**

●

პატივცემულო რედაქტორო! ამ ბარათის მოწერა „ლიტერატურული საქართველოს" № 19-ში გამოქვეყნებულმა სტატიამ „შეგვახსენეთ, რომ ჩვენც ქალები ვართ?!" გადამაწყვეტინა. ვიცი, თქვენი სპეციალობის ადამიანებს დრო მუდამ რეგლამენტირებული გაქვთ, ჩემს მდგომარეობაში მყოფნი კი ყოველთვის ყინიანობას და წუწუნს არიან მიჩვეულნი. მე თავს არ მოგაწყენთ, ბატონო ელიზბარ, ჩემი ამბის მოყოლით. ეს ჩემი ბარათი, მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს. ამას წინათ თქვენი კორესპონდენტი გვესტუმრა, მე, როგორც ქალს, მინდოდა მისთვის ჩემი წუხილი მეთქვა, გული დამეცალა, თანაც რამოდენიმეჯერ ვთხოვე, ჩემი ამბავი გაზეთში არსად დაწეროთ-მეთქი. გარს იმდენი ქალები ეხვია, პირადად ვერც კი დაველაპარაკე, „ალხარებახავით" დავუწერე და გადავეცი. ყველაზე მეტად იცით რამ გამამწარა? —ვუყვებოდი ნანას ჩემს წარსულს, თქვენმა კოლეგებმა — „ნიანგის" რედაქციაში ჩემი ამბის ყბადაღებული ჭორი საქმის საბოლოოდ დამთავრებამდე გამოაქვეყნეს-მეთქი. ვფიქრობ, ნებისმიერი სტატიის დაწერას რაიმე სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მკითხველისათვის, ან იდეურ-პოლიტიკური, ან ზნეობრივი. აკი ბატონმა თამაზ წივწივაძემ ერთ-ერთ თავის ინტერვიუში თქვა: „წესიერი კაცი, განგებისაგან დახჩილ კაცს კრიტიკის ობიექტად არ გაიხდის"-ო. ააშენოს ღმერთმა მაგის მთქმელიც და შემსრულებელიც. მათ კი მომხპეს და ისედაც განადგურებული მიწასთან გამასწორეს მეც და ჩემი შვილებიც.

და აი, სტატია ჩვენზე. შიგ ჩემი მონაკვეთიც. ვკითხულობ და სული მითხება, როგორ გულთან მიუტანია, უგრძვნია ამ ახალგაზრდა გოგონას ჩემი ტკივილები და ჩემს მიერ ნაჩქარევად დაწერილი ვრცელი „ალხარებიდან" ამოუკრეფია ზუსტად ის ფაქტი, რაც ნამდვილად უმძიმესიცაა და სარწმუნოც. მე ამ „მონაკვეთს" ვთვლი ერთგვარ რეაბილიტაციად — ჩემი ჩახერგილი ცხოვრების არაერთგზის პრესის ფურცლებიდან უკუღმა გაშუქების შემდეგ.

დიდი მადლობა ჩვენს ნანას. დიდი მადლობა თქვენ, ბატონო ელიზბარ, იმისათვის, რომ ნანას მიეცით „გახაქანი", თქვენი გაზეთის ფურცლებზე სიმართლე წეროს. ეს თქვენგან დიდი თანადგომაა ჩვენდამი, და ამ სამადლობელში მე მხარში მიდგას აქაური ბევრი კარგი ქალი.

ჩვენ გვიხარია, რომ დღეს უკვე სიტყვის თავისუფლებაა, რასაც ყველაზე მეტად თქვენი გაზეთის კითხვისას ვგრძნობთ.

პატივისცემით, მსჯავრდებული

**ნელი ხმალაძე**

●

წავიკითხე ნანა დავითაშვილის რეპორტაჟი ქალთა კოლონიიდან და მინიმალური იმედის სხივი გამიბრწყინდა, „იქნებ გაახილონ თქო თვალები სიმართლემ" და მოგმართავთ იმ ვარაუდით, რომ გამომეხმაურებით და საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანთ ჩემდამი ჩადენილ უსამართლობას, რასაც წინ უძღოდა ჩემს მიერ სხვათა უფლებების დაცვა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ეროვნული კულტურული საგანძურის შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

პატ. რედაქტორო! მე არაერთხელ გამოვგზავნე თქვენს სახელზე განცხადებები ჯერ კიდევ იზოლატორიდან, მაგრამ ისინი ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ არ ვიცი, რადგან გამოხმაურება არ მოჰყოლია და არც წერილობითი ინფორმაციით შეწუხებულა ვინმე. ბოლო დროს არაერთხელ ბატონი ზვიადის სახელზე გამოვგზავნე რედაქციაში წერილები, მაგრამ გამოხმაურება არც იმას მოჰყოლია.

მოგმართავთ ისევ და ისევ და გთხოვთ გამიწიოთ დახმარება, ჩემი უკანონო ბრალდებისა და უკანონო მსჯავრდების ირგვლივ მოეწყოს მრგვალი მაგიდა კოლონიაში, სადაც მოწვეული იქნებიან ყველა ისინი, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩემი ბრალდებისა და მსჯავრდების საქმეში, ასევე საქ. სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, საქ. სსრ პროკურორი ვ. რაზმაძე, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რომელთანაც ამჟამად არის საქმე განსახილველად, საქ. სსრ რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი ა. ბაქრაძე, საქ. სსრ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნ. ნათაძე, ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე ზ. გამსახურდია, მერაბ კოსტავას საზოგადოების, წმინდა ილია მართლის და ა. შ. წარმომადგენლები, უნეტარესი და უწმინდესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ჩათვლით და მოეწყოს ჩემი საქმის განხილვა პირდაპირი ტელე-რეპორტაჟით, რადგან სრულიად უდანაშაულოდ აყვანილი ვარ პატიმრობაში მხოლოდ იმიტომ, რომ სხვათა ხელისშემშლელი ვიყავი — დანაშაულობებში.

მოგახსენებთ, რომ სამეურნეო საქმიანობაზე აყვანილი ვარ პატიმრად და მსჯავრდების მიუხედავად საქმეზე „საბუღალტრო ექსპერტიზა" და „სპეციალისტების" დასკვნა არ ჩატარებულა საქმეში კრიმინალის დასადგენად, ვინაიდან ჩემი ბრალდებისათვის საჭირო იყო იურიდიული საბუთები, გამოძიებამ ეს საბუთები გააქრო, მაგრამ რაც დარჩა, ისიც მეტყველებს, რომ საქმეში არც დანაშაულია და არც დანაშაულის ნიშნები. ამიტომ, გთხოვთ, გამოხმაურებას და დახმარებას, ინიციატივას, მოეწყოს ჩემი საქმის განხილვა მრგვალ მაგიდასთან კოლონიაში, პირდაპირი ტელერეპორტაჟით.

გთხოვთ ისევ და ისევ გამომეხმაუროთ სასწრაფოდ, თუ შეგიძლიათ უანგაროდ სამსახური სხვათა სიმართლის დასაცავად.

ველი თქვენს რეაგირებას დაუყოვნებლივ და გთხოვთ მაცნობოთ შედეგი.

თბილისის № 12-ე ქალთა კოლონიის უკანონო პატიმარი

**ნ. გოდერიძე**

◆—◆

**რედაქციისაგან:** ჩვენთვის ცნობილია, რომ რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილა და შესაძლებლად ცნო 47 პატიმარი ქალის ვადამდე განთავისუფლება, რის შესახებაც სათანადო მონაცემები და დასკვნები გაუგზავნა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს. მაგრამ, ეს მეტად საშური და ღვთისნიერი საქმე რატომღაც დღემდე ჭიანურდება. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია, ქართველ მწერლებთან და მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, დაბეჯითებით სთხოვს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს ეს მტკივნეული საკითხი, ვიდრე საზოგადოება პროტესტის უკიდურეს ზომას არ მიმართავს.

# რამდენიმე განმარტება

(დასასრული)

რომ მიზეზებია მოხაძებნი, რომელზეც ახე „ნოყიერად" იყარა ულორტი ეროვნულ ტრაგედიამდე მისულმა უკეთურებამ.

რასაკვირველია, ქართველი ერის გამრავლების პრობლემა ძალზე აქტუალური, უმტკივნეულესი და ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა შევინარჩუნოთ ისინი, ვინც უკვე დაბადებულნი არიან.

აი, რას ვწერდი ამის თაობაზე 1986 წელს („ხვალ გვიან იქნება", „კრიტიკა" № 6):

„ერთი ბავშვი, რომელიც არ დაიბადა, ერთი ერთეულია. მაგრამ ერთი ბავშვი, რომელიც გზას ასცდა, გადაგვარდა, სხვებიც აიყოლია, ჭაობში ჩაითრია და საშიშ დამნაშავედ იქცა, უკვე ერთეული აღარაა; იგი უბედურებაა, თანაც ეროვნული უბედურება.

არ შეიძლება ეს არ აწუხებდეს ყოველ ჩვენგანს...

...ისინი ჯგუფ-ჯგუფად არსებობენ. ხშირად ასაკითაც არიან განსხვავებულნი. არაფერი ერთმანეთთან არ აქვთ საერთო. მალულად, უშიშარ ადგილზე შეკრებილნი არაფერზე არ მსჯელობენ. არაფერზე არ კამათობენ. მათ გონებაში ნელ-ნელა კვდება ცოცხალი აზრი, მათ არსებაში ჯერ უძლურდება, ძაბუნდება და შემდეგ სრულიად ქრება მიზანი, ცხოვრების ხალისი. მათ შეშადქცეულ, გუგებშევიწროებულ თვალებს თანდათან აკლდება სისველე და სიღრმე.

იმპოტენტებად ქცეულებს აღარც კი შესწევთ განსჯისა და სულიერი დაცემის შეფასების უნარი.

მათი ცხოვრების ერთადერთ მიზნად რჩება ნარკოტიკების შოვნა. მთელი მათი დაქვეითებული და განადგურებული ენერგია მხოლოდ ამ მიზნისაკენ არის მიმართული. ნარკომანობა ძვირადღირებული „სიამოვნებაა" და ნარკოტიკების შოვნა ბევრ ფულთან არის დაკავშირებული. ფულის საშოვნელად კი ისინი არაფერს თაკილობენ. საკუთარ ოჯახში ქურდობა, ფულის გამოძალვა, მათხოვრობა, ტყუილი, ხვეწნა-ვედრება, — არაფერს აღარ უკადრისობენ, ოღონდ კი როგორმე ფული იშოვნონ. თუ პირველ დღეებში, თუნდაც ერთი წლის მანძილზე, ნარკოტიკებს მათთვის ნეტარებისა და ეიფორიის განცდა მოაქვს. შემდგომ, მხოლოდ წამების, ტანჯვისა და ტკივილების განცდით შეპყრობილებს, ნარკოტიკები მხოლოდ იმიტომღა სჭირდებათ, რომ შეიმსუბუქონ აბსტინენციის უმძიმესი განცდა.

ისინი ცდილობენ თავის წრეში ჩაითრიონ შეძლებული და გავლენიანი ოჯახის შვილები. მარტივი, მაგრამ შთაბეჭდავია მათი ტაქტიკა: ქურდობის, გამოძალვისა და ნარკოტიკების შეძენისას თუ ჩავარდებიან, გავლენიანი მამა იზრუნებს შვილის გამოსახსნელად და იძულებული გახდება, გამოიხსნას მისი დანარჩენი მეგობრებიც"...

ვფიქრობ, კმარა ციტატების მოტანა. მკითხველს ბოდიშს ვუხდი მათი სიუხვისათვის, მაგრამ სხვანაირად ვერ დავამტკიცებდი ჩემს სიმართლეს. ამჯერად იმ პრობლემებზე ვილაპარაკებ, რომლებზეც არ მიმსჯელია ჩემს წერილებში.

კერძოდ, ზვიად გამსახურდია წერს: „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობაში დაშვებულია ერთი არსებითი შეცდომა. საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი. ეს იწვევს ფრიად სავალალო შედეგებს ერის გამრავლებისათვის, ვინაიდან მეცნიერებაში ქალის ფერტილურობის (ნაყოფიერების) ასაკად აღიარებულია 16 წელი. ეს „შეცდომა", როგორც ჩანს, უნებლიე არ არის და შორს მიმავალ მიზნებს ისახავს, თორემ რატომ უნდა იყოს საქართველო გამონაკლისი ამ თვალსაზრისით?"

გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ამ პრობლემაზე არ მიფიქრია და, მით უმეტეს, არ შემისწავლია. არ ვიცი, რამდენად სწორია, რომ ამ საკითხში მარტო საქართველოა გამონაკლისი. დროს, ეპოქის რიტმს აუცილებლად შეაქვს კორექტივი გარკვეულ მოვლენებში, მათ შორის საქორწინო ასაკის დადგენაშიც. კარგი იქნება თუ ამის თაობაზე მოსაზრებებს გამოთქვამენ ექიმები და იურისტები. საქართველოში ახლა ბევრი თხოვდება 16 წლის ასაკში. აუცილებელია, სოციოლოგებმა შეისწავლონ და საზოგადოებისათვის ცნობილი გახადონ, დღეს რამდენად მდგრადია ამ ასაკში შექმნილი ოჯახები.

ბატონი ზვიადი ლაპარაკობს ეროვნული არმიის შექმნის თაობაზე და სრულიად სამართლიანად წერს: „საქართველოს სსრ ხელმძღვანელებმა საკითხი უნდა დააყენონ მოსკოვის მთავრობის წინაშე საქართველოში სამხედრო ბეგარის გაუქმების შესახებ, ეროვნული შინაგანი ჯარის შესახებ, ვინაიდან ეს ჩვენთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია".

სავსებით ვეთანხმები ამ მოსაზრებას, ოღონდ დავსძენ, ჩემი ხსენებული წერილი 1982 წელს დაიწერა, მაშინ კი ეს პრობლემა არ იყო ასე მძაფრად გამოკვეთილი, როგორც დღეს, რვა წლის შემდეგ არის და, ბუნებრივია, მაშინ მე ვერ ვიმსჯელებდი ამ მართლაც ერისათვის სასიცოცხლო საკითხზე.

სავსებით მართალი ბრძანდება ზვიად გამსახურდია, რომ რელიგია ეროვნული კონსოლიდაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, რომ ერის ჯანსაღი სულიერი და ზნეობრივი ცხოვრება შეუძლებელია რელიგიის გარეშე, რაც, თავისთავად, ამ შემთხვევაში, დაკავშირებულია თუნდაც ერის გამრავლების პრობლემასთან.

მინდა მკითხველს მოვახსენო, რომ იმ პერიოდში რელიგიის საკითხებისადმი მიძღვნილი არა ერთი და ორი ნაწარმოები თუ ვრცელი ნარკვევი დავწერე (რომანები „აქტიური მზის წელიწადი" და „სპირალი", მოთხრობები „რექვიემი", „ქვიშის საათი", წერილები: „ფიზიკა, ასტრონომია, რელიგია", „პიკასო-ფიზიკა — XX საუკუნის აბრაკადაბრა" და სხვ.), მაგრამ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილში რელიგიის ჭეშმარიტ როლსა და მნიშვნელობაზე ლაპარაკი მაშინ შეუძლებელი იყო. რელიგიაზე კი არა, უბრალო საკითხზე გაბედული მოსაზრება რომ გამოგვექვეყნებინა, ათასგვარი ყონგლიორობა, „ჭრა-კერვა", „იდეურ" მოსაზრებებს ამოფარებული სიმართლის გაპარება გვიხდებოდა. მაშინ მთავარი იყო, ყოველგვარი ხერხი გვეხმარა, ოღონდ ჭეშმარიტი აზრი მკითხველამდე მიგვეტანა.

ასეთი ეპიზოდიც მაგონდება. ბატონ მუხრან მაჭავარიანს 50 წლისთავზე სრულიად საქართველოს პატრიარქმა „ჯვარი ვაზისა" გამოუგზავნა პატარა წარწერით. აი, ეს წარწერაც: „ბატონო მუხრან, გილოცავთ 50 წლის იუბილეს და გისურვებთ ბედნიერებას ორთავე სოფელსა შინა".

როცა ამ მილოცვის წაკითხვა რამდენიმე კაცმა ვერ გაბედა (ზოგმა სათვალის უქონლობაც მოიმიზეზა), იგი მე წავიკითხე. იმავე დღეს, „სადაც საჭირო იყო", ყველაფერი იცოდნენ და ბატონ მუხრანსაც და მეც საკმაოდ დიდი რისხვა დაგვატყდა თავს. აი, ასეთი იყო მაშინ საქმის ვითარება.

ამით ვამთავრებ ჩემს „რამდენიმე განმარტებას".

ვფიქრობ, მკითხველი, რომელსაც ეყო მოთმინება და ბოლომდე ჩაიკითხა ჩემი წერილი, დარწმუნდებოდა, რომ არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ამას ბატონი ზვიად გამსახურდია გვიხატავს.

მე ყოველთვის მადლიერების გრძნობით ვიღებდი და კვლავაც მივიღებ სამართლიან კრიტიკას, მაგრამ უფლება მომეცით, დუმილით არ ვუპასუხო უსამართლო შენიშვნებს.

# მოთმინების ფიალაავსებული კაცის ნათქვამი

ტირანია, დესპოტიზმი, ერთმმართველობა შემაძრწუნებლად მოქმედებს დღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის საოპერო დასზე. ერთ წერილში ამდენი ტყუილი, შეზავებული მკრეხელობითა და ცილისწამებით, თვით ბარონ მიუნჰაუზენის ფანტაზიასაც აღემატება. მკითხველს თავს არ შევაწყენ „ლიტერატურულ საქართველოში" (№ 28, 1990) გამოქვეყნებული წერილის „ყველაფერს საზღვარი უნდა ჰქონდეს, ანუ ღია წერილი მაია თომაძეს" შინაარსის გადამღერებით. სხვათაშორის, არც პირდაპირი პასუხის გაცემაა ჩემი მიზანი. მე არასდროს დასის წევრებისა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის პირად შეურაცხყოფაზე არ მიფიქრია, მაგრამ თქვენ მაიძულებთ, პატივცემულო „კოლექტიური წერილის" ავტორებო, ბოლომდე გითხრათ სათქმელი. მით უმეტეს, შავით თეთრზე ჩანს, თუ ვის მიერ არის ინსპირირებული თქვენი ცილისმწამებლური თხზულება. ჩემი წერილიც უფრო მეტად მას მიმართავს.

წლების განმავლობაში, ერთმმართველობის მარწუხებში მყოფ „მდუმარეთ" ვერასდროს ხმა ვერ აიმაღლეს, უფრო მეტიც, — მორჩილად სდუმდნენ. დუმილიც არის და დუმილიც, ერთადერთხელ აღიმაღლეს ხმა და გადმოგვანთხიეს კიდეც დიდი ხნის დაგროვილი ბოღმა. ყოველივე ეს გამიზნულია დღეს „გაჭირვებაში" მყოფი მაესტროს, ბატონ ჯ. კახიძის დასახმარებლად, და პირველ რიგში, საკუთარი უტილიტარული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ზოგს შემოდგომაზე გერმანიაში ფესტივალზე წასვლა უწევს და, როგორც მაესტრომ განუცხადათ, თუ არ დაიცავენ მას და თეატრიდან გააგდებენ, ეს გამგზავრება ჩაეშლებათ, ზოგს კი — ჩემს პატივცემულ ვეტერან კოლეგებს, ჯ. კახიძის თეატრის მმართველობის დატოვების შემთხვევაში (რასაც, რასაკვირველია, დასის რადიკალური გადახალისება მოჰყვება) ხელიდან ეცლებათ ის უდიდესი მატერიალური ანაზღაურება, რომელსაც ვეტერანები დიდი ხანია, უკვე აღარ იმსახურებენ. ჩემს უშუალო კოლეგებს — ყველას ვეკითხები:

1. როდესაც ამ უმეცრებას ქმნიდნენ, თუ ჩაიხედეს საკუთარ გულებსა და ყელებში? 2. ეს წერილი სტილითა და გადმოცემის ხერხებით ხომ არ აგონებთ იმ ანონიმურ „თხზულებებს", რომლებიც იწერებოდა წინა ხელმძღვანელების მმართველობის პერიოდში? უნდა გაგიმხილოთ, რომ ზედმიწევნით არის დაცული სტილი იმ ანონიმების ოსტატობისა; ისიც აღსანიშნავია, რომ ხელისმომწერთა უმეტესობას, ამ წერილის შედგენისას, არც მელნით დასვრია ხელი და არც გონების ძალდატანება დასჭირვებია, რადგან, ბევრ მათგანს, ჯ. კახიძის „აგენტურა" ბინძური ხერხებითა და დაშინებებით აწერინებდა ხელს ამ „თხზულებაზე". ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც და ჩემს მიერ კონსტატირებულ ფაქტებზეც ნებისმიერ დროს ვაგებ პასუხს, ერთ გარემოებას მსურს გავუსვა ხაზი — 117-დან ერთ-ერთი ხელისმომწერი ერთ დროს ჩვენ „გვმოძღვრავდა" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ხერხების გამოყენების შესახებ. გვიწუნებდა „ბრძოლის ტაქტიკას", მოგვიწოდებდა, შემოწმებულიყო თეატრის ფინანსური მხარე, კომბინატი, სახელოსნოები, თეატრის გარაჟი, ხარჯთაღრიცხვა... ბოლო ხანს, გვთხოვა, გერმანიის გასტროლების ჩატარებამდე გაჩუმება, ჩამოსვლის შემდეგ „ჩვენ თვითონ დავცხებთ კახიძეს"-ო.

პატივცემულო დასის წევრებო, ჯანსულ კახიძემ, სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნისთანავე, ერთ-ერთ კრებაზე განაცხადა: „თავის დროზე ჩვენ (ე. ი. ჯ. კახიძე და გ. მელივა — რ. ლ.). გაგდებული ვიყავით ამ თეატრიდან და თვალცრემლიანებმა დავტოვეთ იგი"... სად იყავით მაშინ, სიმართლისა და ნიჭიერების მოყვარულო ვეტერანებო? ახალგაზრდები ბრძანდებოდით იმ დროს და, ვგონებ, უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო თქვენთვის ახალგაზრდა „უნიჭიერეს" დირიჟორთან თანამშრომლობა! მაგრამ მაშინ კახიძე არც დესპოტი და ტირანი იყო და არც იმ შემოქმედებითი მაფიის წარმომადგენელი, რომელიც მისი მეორედ მოსვლიდან მძვინვარებს. სიტყვამ მოიტანა და მკითხველს მსურს განვუმარტო, რომ თეატრში შემოქმედებითი მაფია ფესვგადგმულია, რაზეც არსებობს ოფიციალური დოკუმენტი და რასაც თვით კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელებიც კი ეთანხმებიან. ამის დამადასტურებელია მაია თომაძის განცხადება, თეატრიდან წასვლის შესახებ, სადაც ქ-ნი მაია ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ თეატრში არსებულ მაფიასთან უკვე ბრძოლის შეუძლებლობას ასახელებს. ამას კი კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა რეზოლუციით ეთანხმება (იხილეთ კულტურის სამინისტროში არსებული მაია თომაძის განცხადება ახალ თეატრში გადაყვანის შესახებ). გულისტკივილს გამოვთქვამ ხსენებული სამინისტროს ხელმძღვანელობის უსუსურობის გამო. იგი რადიკალურად ვერ ერევა ჩვენსა და თეატრის ხელმძღვანელობის დავაში. სწორედ ასეთმა პასიურობამ შექმნა ის საზოგადოებრივი მითქმა-მოთქმა, რომელიც სუფევს ჯ. კახიძის მიერ მინისტრის დანიშვნის და სურვილისამებრ მისი მოხსნის შესახებ. ეს აზრი არაერთხელ გამოთქმულა საოპერო თეატრის მაფიის წინააღმდეგ მიმართულ მიტინგებზე. ამავე მიტინგებზე თუ საგაზეთო სტატიებში, სადაც ეროვნული მოძრაობის ლიდერები „ცილს სწამებენ" „დიდებულ მაესტროს", არაეროვნულობასა და არაზნეობრიობაში, სად არის თქვენი ქომაგი, პატივცემულო ოპონენტებო? თქვენ მხოლოდ აწ გარდაცვლილ ბატონ მერაბ კოსტავას სახელს ამოფარებულხართ და სპეკულაციას ეწევით მისი პროფესიით — მუსიკისმცოდნეობით. არადა, ყველას კარგად მოგვეხსენება, ბატონ მერაბის აზრი საოპერო თეატრის დასზე და მის „სწორუპოვარ" სამხატვრო ხელმძღვანელზე. ნათელი დაადგეს ბატონ მერაბის წმინდა სულს და ღმერთმა მომიტევოს მისი სახელის აქ ხსენების გამო.

ისე კი დროა, პატივცემულო დასის წევრებო, რომ დაისვას თბილისის ოპერის თეატრის შემოქმედებითი დონის შემოწმების საკითხი აბსოლუტურად ყველა სფეროში. საჭიროა გამოჩენილი და ავტორიტეტული მუსიკოსებისა და საოპერო რეჟისორების ჩარევა ამ საქმეში, როგორც მოწვეულთა, ისე ადგილობრივთა მხრიდან, თორემ 10-15 კაციანი მაყურებელთა დარბაზი, ეტყობა, ვერ აუდის ამ საქმეს. რომ დადგინდება დასის შემოქმედებითი შესაძლებლობები, აი, მაშინ იურიდიულადაც უფლება გექნებათ ახსენოთ სიტყვები „შესაძლებლობების ფარგლებში" (იხ. „ყველაფერს საზღვარი უნდა ჰქონდეს"). წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ნათქვამი საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრას ჰგავს.

თუ რამ განაპირობა თბილისის საოპერო თეატრის დღევანდელი „სულის ლაფვის" მდგომარეობა, ამის შესახებ მ. თომაძემ, ა. ხომერიკმა და ამ წერილის ავტორმა მოვახსენეთ ბ-ნ ჯ. კახიძეს ფაქტების კონსტატირებით, ულტიმატუმის სახით როგორც კულტურის სამინისტროს კოლეგიის გაერთიანებულ სხდომაზე, ასევე საგაზეთო სტატიით (იხ. „ხარანგი", № 2, 22/IV-90). ის ამბავი, რომ ჯ. კახიძე ნიჰილისტურად არის განწყობილი ყოველივე ქართული მოვლენის მიმართ, ბევრჯერ დაუმტკიცებია სატელევიზიო გამოსვლებშიც, სადაც იგი შეურაცხყოფას აყენებდა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას ზოგადად და, კერძოდ, საკომპოზიტორო დონეს. იგი დასძენდა, რომ თბილისის ოპერის თეატრს, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერისა" და „დაისის" გარდა, მიზანშეწონილად არ მიაჩნია სხვა ქართველ კომპოზიტორთა ოპერების განხორციელება არასათანადო დონის გამო. შემდეგიც ნათელია — ჯ. კახიძის „დიქტატურის" პერიოდში არც ერთ ქართულ ქმნილებას სცენიური განხორციელება არ ღირსებია, თუ არ ჩავთვლით ისევ და ისევ „შინაურების" გაბატონებას, მხედველობაში მაქვს ბ. კვერნაძის „...იყო მერვესა წელსა" და გ. ყანჩელის „და არს მუსიკა". რაც შეეხება მამა-შვილის მკრეხელობას ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს" მიმართ, ამის თაობაზე არაერთხელ გამოუთქვამს აღშფოთება საზოგადოებას. ჩვენი ოპონენტები მიუთითებენ, რომ სპექტაკლი დღესდღეობით მოიხსნა და ამით უნდა დავშოშმინდეთ. საოცრად მიამიტურად გამოიყურებით, ჩემო კოლეგებო, ამ შემთხვევაში.

სხვა არც ერთი ახალგაზრდა კომპოზიტორის (ვახტანგ კახიძის ბალეტის „ამორძალების" გარდა) ნაწარმოები არ მოსმენილა და არ განხილულა თეატრში.

საერთოდ, ბ-ნ ჯ. კახიძეს, რომელსაც ცხოვრების დევიზად სხვისი ნიჭის და ღმერთის მიერ ბოძებულის ხელყოფა გაუხდია, ყოველნაირად ცდილობს ამ დევიზის პრაქტიკულ განხორციელებას. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი თანამედროვე უნიჭიერესი დირიჟორის ბ-ნ გივი აზმაიფარაშვილის თეატრში დაბრუნებაზე კატეგორიული უარი. სამხატვრო ხელმძღვანელი აცხადებს, თითქოს მას პირადი შუღლი ჰქონდეს გივი აზმაიფარაშვილთან და, ამდენად, მათი ერთად მოღვაწეობა შეუძლებელია, მაგრამ ეს მოჩვენებითია. ქრისტიანებში მიუტევებელი არაფერია. ჯ. კახიძისათვის მიუტევებელია გ. აზმაიფარაშვილის მხოლოდ ნიჭი.

როგორ გგონიათ, პატივცემულო მკითხველო, რა უნდა იყოს მიზეზი, რომ დღეს ამერიკაში მოღვაწე ჩვენი გამოჩენილი დირიჟორისათვის, ჰ. კარაიანის კონკურსის ლაურეატის — ბ-ნ ვახტანგ ჟორდანიასათვის არ მოიძებნა ერთი პულტი მაინც საქართველოში? ან რა არის მიზეზი იმისა, რომ ათეული წლების მანძილზე საქართველოში არ ჩამოსულა საგასტროლოდ არც ერთი გამოჩენილი საზღვარგარეთელი დირიჟორი? ვალუტის უქონლობას რომ იმიზეზებენ, დავიჯეროთ? კომენტარები თქვენთვის მომინდვია.

დღეს, როდესაც ქართული ახალგაზრდული ეროვნული სიმფონიური ორკესტრი დაიბადა, არ შეიძლება არ აღვნიშნო მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, ნიჭიერი და რაფინირებული დირიჟორის ბ-ნ ავთანდილ მამაცაშვილის დამსახურება. დღეს ეს მუსიკოსი შემოქმედებით აღმაფრენას განიცდის, და ვუსურვოთ ახალგაზრდა ორკესტრსა და მის ხელმძღვანელს დიდი შემოქმედებითი წარმატებები. რაოდენ საწყენია, რომ ბატონი ა. მამაცაშვილი აქამდე „შავი სამუშაოს" შემსრულებლად გვევლინებოდა ოპერის თეატრში და დამოუკიდებელი სპექტაკლი არ ღირსებია, თქვენ განსაჯეთ რატომ? გავიხსენოთ, ჩვენი მრავალი თაობის აღმზრდელის, ამაგდარი დირიჟორის, მაღალი პროფესიონალისა და მოქალაქის ბ-ნ ზაქარია ხუროძის გულისტკენა მისი სიმფონიური ორკესტრიდან წასვლის გამო...

ჩემი თაობის ნიჭიერმა დირიჟორმა ვახტანგ მაჭავარიანმა წლების განმავლობაში, ვერ მიაღწია თბილისის ოპერის თეატრის სადირიჟორო პულტამდე. ერთი პერიოდი ლენინგრადის კიროვის სახელობის თეატრმა გაუწია მფარველობა დირიჟორს. ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როდესაც ვ. მაჭავარიანს უკვე გავლილი ჰქონდა ვენაში ორწლიანი სტაჟირება თანამედროვეობის უდიდეს დირიჟორთან ლოორინ მააზელთან. დღეს ვ. მაჭავარიანი ევროპის თეატრების ხშირი სტუმარია და სათანადო აღიარებაც მოიპოვა.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით, დაიწყო ბატონმა ჯ. კახიძემ ქართული კულტურის საუკეთესო ნიმუშებით მანევრირება. სწორედ წყალში მდგომმა განახორციელა ო. თაქთაქიშვილის „მინდია", რომელსაც ადრე „გულით არდაწერილ" ოპერას უწოდებდა. ესეც ბ-ნ კახიძეზე, აწ განსვენებული გამოჩენილი კომპოზიტორის ნიჭის ზემოქმედების შედეგია. ჩვენი ღვაწლმოსილი დირიჟორი ბატონი ოდისეი დიმიტრიადი, რომელიც, მიუხედავად სიჭარმაგისა, დღესაც ბრწყინვალედ უძღვება თავის საქმეს, მხოლოდ ბოლო წლებში გამოჩნდა თბილისის საოპერო თეატრის სადირიჟორო პულტთან. ვგონებ, რვა წლის უკან, უფრო ენერგიულად შეეძლო თავისი ბრწყინვალე ნიჭისა და გამოცდილების წარმართვა ჩვენს სასარგებლოდ. მაგრამ 8 წლის წინ, ბატონ ჯანსულის „ნიჭიერებაზე" მითი იქმნებოდა და ბ-ნი ოდისეი ხელისშემშლელად აღმოჩნდებოდა ამ მითების შეთხზვისას. იმ პერიოდის „Советская музыка" კი შემდეგს გვამცნობს:

«Дж. Кахидзе наметил для себя путь поиска какой-то новой системы дирижерского жеста...

Бетховенская программа, которую Госоркестр провел под управленнем Дж. Кахидзе, оставила двойственные, а в чем-то неожиданные впечатления.

Да и чисто ансамблевых неточностей (как в фортепианном концерте, так и в пятой симфонии) оркестром было допущено немало.

При этом подавляющая часть таких неточностей предопределялась несоответствием мануальной техники дирижера стилю музыки.

Во всяком случае, ансамблевые погрешности в оркестре обнаруживались не сами по себе, а в непосредственной связи с вызывавшими их причинами.

Например, в конце второй части фортепианного концерта, при переходе на финал, pizzicati прозвучали заметно врозь исключительно из-за многосложного размазанного «жеста дирижера».

Нередко используемые им в Пятой симфонии «круговые» движения руками явно противоречили «квадратности» Бетховенской ритмики.

Особенно страдали все вступления оркестра...

Неточно ложились на сольную партию аккорды оркестра в финале...

Оркестровые произведения выглядели по сравнению с мягкой, певучей игрой солиста слишком массивно».

Л. РАКОВ.
«На симфонических вечерах».
«Советская музыка» № 7, 1982 г.

საინტერესოა, კოლეგიის მკრეხელური ოქმებით რომ იმუქრება, ამ კონცერტის შემდეგ თუ იმსჯელა ე. წ. მონოკოლეგიაზე ბატონმა ჯანსულმა. ეტყობა, ეს ტექსტი ვერ ამოიკითხეს, ან არ ამოიკითხეს ჩვენი კულტურის იმ მესვეურებმა, რომლებმაც თბილისის საოპერო თეატრს ჯ. კახიძე ქართული საოპერო ხელოვნების „გადასარჩენად" მოუვლინეს. აკი თვით ბატონი სამხატვრო ხელმძღვანელი ამბობდა საჯაროდ — წინა ხელმძღვანელობის დანგრეული საქმის გამოსასწორებლად მოვედიო. კვლავ ნიჭის შესახებ. განა ამბიციურმა, საკუთარი განდიდების უზომო სურვილმა არ აამოქმედებინა ბატონ ჯანსულს ყველანაირი მანქანა, რათა თეატრიდან გაეძევებინა საქვეყნოდ აღიარებული ბალეტმეისტერი ბ-ნი მიხეილ ლავროვსკი. ყველასათვის ცნობილია ჯ. კახიძის გასტროლიორობა და თეატრის უპატრონოდ მიგდება თვეების განმავლობაში. მაგრამ ჩემი შენ გითხარიო, ზუსტად ამაში დასწამა ცილი აღიარებულ ბალეტმეისტერს და თეატრიდან გააძევა კიდეც. ყველასათვის ნათელია თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ბატონ მ. ლავროვსკის ჩვენი საბალეტო დასისათვის, მაგრამ აქაც ნიჭი, აქაც შური... ზუსტად ამისვე გამოძახილია ფალიაშვილის გენიალური ქმნილების „აბესალომ და ეთერის" კახიძისეული ინტერპრეტაცია. ოპერა იწყება ფინალით, შესავალი მთლიანად ამოღებულია, „ჩაკრულოს" დამატებული აქვს ჯ. კახიძისეული დაბოლოება, რაც საოცარი პროვინციალიზმით გამოირჩევა. პატივცემულ მაესტროს მსურს შევახსენო, რომ უვერტიურა არის მთელი ნაწარმოების დედააზრის მოკლე კონსპექტი.

ბ-ნი კახიძე ვერ იტანს სიმართლის მთქმელთ და ამბიციურებად ნათლავს მათ. არადა, სწორედ მისმა ამბიციურობამ შეუქმნა ბ-ნ ჯანსულს ის ოდიოზური მდგომარეობა, რომელმაც დაისადგურა საოპერო თეატრის ჯანსაღ ნაწილს შორის. 1984 წლის მოსკოვის გასტროლებიდან თეატრის დაბრუნების შემდეგ, საოპერო დასს შეხვედრა მოუწყვეს აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში, სადაც ჯ. კახიძემ სიტყვაში გამოსვლისას აღნიშნა, რომ ნაკლებად იწერება მასზე: „როგორც თავის დროზე ევგენი მიქელაძეზე იწერებოდა, ისე უნდა იწერებოდეს ახლაც"-ო. ვგონებ, კომენტარს თქვენ თვითონ გაუკეთებთ ამ „ისტორიულ" გამოსვლას. ბ-ნ ჯ. კახიძეს მსურს შევახსენო, ე. მიქელაძის პედაგოგის, გამოჩენილი დირიჟორის, გაუკის სიტყვები: „ე. მიქელაძე სადღაც ცაშია თავისი ნიჭით, შემდეგ მრავალი საფეხურია თავისუფალი და მერე იწყება გამოჩენილი საბჭოთა დირიჟორების ელიტა — მრავინსკი, მელიქ-ფაშაევი" — ე. მიქელაძის თანადროული დირიჟორები და ერთი პედაგოგის აღზრდილები.

განდიდების მანიას, „ვარსკვლავომანიას" და „დიდობას" მოპოტინებული ჯ. კახიძე ჩვენს სინამდვილეში, უდავოდ ანგარიშგასაწევი მუსიკოსია, მაგრამ მოჩვენებითმა „დიდობამ" ბოლომდე ვერ გაუძლო. გამოვთქვამ რა მოსაზრებებს, სადირიჟორო კოლეგიის წევრების მიმართ, ვმოქმედებ პრინციპით: „რაც არ მეხება, არ შემეხება". ლუკმაპურის დაკარგვის შიშით შეპყრობილ სადირიჟორო კოლეგიის იმ წევრებს, რომლებიც კახიძის პლატფორმაზე დგანან და მკრეხელურ გადაწყვეტილებებს გუნდრუკს უკმევენ, ჯერ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების „სტატუსი" აქვთ დასადგენი, ხოლო შემდეგ, ეძლევათ უფლება, განაგონ სხვისი ბედი, თორემ ასეთი უბადრუკების მიერ გადაწყვეტილი კოლეგიის „განაჩენები" არც არავის აშინებს და, როგორც წლებმა გვიჩვენა, არც სასურველ შედეგებს იძლევა.

ერთობ უხერხულად მიმაჩნია ჩემს შესახებ ორიოდე გამონათქვამის ციტირება, რომლებითაც კოლეგიასა და მის თავკაცს მინდა შევახსენო, ჩემი ადგილის შესახებ ოპერის თეატრში:

«Проф. Н. Андгуладзе (завкафедрой сольного пения Тбилисской Госконсерватории, солист Тбилисской оперы, народный артист Грузинской ССР).

Лагвилава Р. Н. — Драматический баритон, выдающиеся вокальные данные по силе, диапазону и богатству тембральной окраски (la voix moireé), может освоить обширный исполнительский репертуар».

რუსულენოვნებისათვის ბოდიშს ვიხდი მკითხველთა წინაშე, ორიგინალი რუსულ ენაზეა; ტექსტი

ამოღებულია სათანადო დოკუმენტიდან.

ჩემთვის საწყენი და დამაფიქრებელია, რომ ამ სიტყვების ავტორი ხელისმომწერთა სიაშია. (ტექსტებში სტილი დაცულია).

«Прежде всего обратил на себя внимание от природы данный уникальный голос. За это время мы успели заметить его трудолюбие, что немало важно для оперного певца...

В будущем Р. Лагвилава по нашей просьбе готовит новую сложную партию Скарпъя в опере Пучинни «Тоска».

Надеюсь он сумеет открыть в этой партии новые грани своего таланта.

С большим удовольствием буду работать с ним над этой партией.

Стефан ТУРЧАК.
Народный артист СССР, Лауреат Госпремии им. Шевченко и З. Палиашвили.
Худ. рук. Киевской оперы им. Шевченко.

ბ-ნ ს. ტურჩაკის ავტორიტეტულმა სიტყვამ, რომელიც ქართულ პრესაშიც დაიბეჭდა, ერთობ გააღიზიანა ბატონი ჯანსუღ კახიძე. მან კატეგორიულად აუკრძალა თეატრის კონცერტმაისტერებს ჩემთან მუშაობა სკარპიას პარტიაზე და მათ თეატრიდან გაგდებით დაემუქრა. „დიდი დირიჟორის" ამ ზნეობრივ საქციელზე კომენტარები მკითხველისათვის მომინდვია.

წლების განმავლობაში ხელოვნურ ბარიერებს მიქმნიდნენ, რათა ხელი შეეშალათ საზღვარგარეთ როგორც სტაჟირებაზე, ისე შემოქმედებითი მივლინებით გამგზავრებაში. დღესაც სიამაყეს მგვრის გენიალური ბარიტონი ბ-ნ ჯინო ბეკის მიერ მოწვევა ფლორენციის მუსიკალურ ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. ეს ფესტივალი ჩატარდა 1989 წლის ივლისში, კულტურის სამინისტრო კი დღესაც „ეძებს" ვალუტას იტალიაში შემოქმედებითი მივლინებით ჩემს გასამგზავრებლად. პარიზში „იუნესკოს" შტაბბინაში უკვე თითქმის სამი წელია, რაც გაგზავნილია ჩემი საბუთები, მაგრამ ჩემი გამგზავრების ბედი არავის აწუხებს. სათანადო უწყებებიდან არაოფიციალური განაცხადით შევიტყვე, რომ დაინტერესებული პირები სპეციალურად მიშლიან ხელს. ყოველივე ზემოთქმულმა და ჯ. კახიძის მონოპოლიამ მაიძულა წამოვსულიყავი თეატრიდან და არა წოდების მოუნიჭებლობამ, რაზეც ჩემი პატივცემული კოლეგები მიკიჟინებენ. ამის შესახებ მათ არავითარი ოფიციალური დოკუმენტი არ გააჩნიათ. ეს არის მხოლოდ ჭორი და დემაგოგია.

რაც შეეხება ჩემს განცხადებას თეატრში დაბრუნების შემდეგ, იგი არსებობს და გადაწყვეტილება მისი დაწერის შესახებ მივიღე კულტურის მინისტრის ბ-ნ ვ. ახათიანის დაჟინებული თხოვნით. განცხადებაში გარკვეულად გამოვკვეთე თეატრში დაბრუნების მიზანი — კვლავ გავაგრძელო ბრძოლა უსამართლობასთან.

რაც შეეხება ჩემი კოლეგების ბრალდებას, თითქოს მე ქართული რეპერტუარი არ გამაჩნდეს, ეს მტკნარი სიცრუეა. როგორც ხწავლების პერიოდში, ასევე შემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყებისას სისტემატიურად ვმუშაობდი ქართულ რეპერტუარზე და თუ რატომ ქართულ ოპერებში არ მიმღერია თეატრის სცენაზე, ეს ღმერთმა იცის და არც მკითხველს გაუჭირდება ამის დადგენა.

იმის მაგიერ, რომ სამხატვრო ხელმძღვანელს ობიექტურობა გამოეჩინა, ჩვენს— ჩემსა და თავის, აგრეთვე ჩემთან ერთად თეატრიდან წასული მომღერლების კონფლიქტში, მან კოლეგიის სახელით შემთამიტია და გეხლი მანთხია. კარგი იქნებოდა, იგივე კოლეგიაზე ერთხელ მაინც გაეხადა „დიდ მაესტროს" განსჯის საგნად საკუთარი დირიჟორობა ბახის მინორული მესისა, რომელიც 1985 წლის ოქტომბერში შეასრულა, ბახის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალზე, მაგრამ საკუთარ ცოდვებს მალვა უნდა. ასეთივე მალვა სჭირდებოდა მის მიერ შესრულებულ მოცარტის და ვერდის „რექვიემებს", ბეთჰოვენის IX სიმფონიას, საოპერო თეატრში განხორციელებულ ვერდის რეპერტუარს. სახელდობრ, კოლეგიის მსჯელობის საგნად უნდა ქცეულიყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დირიჟორობით ზედიზედ „ტრუბადურის" რამდენიმე სპექტაკლზე ორკესტრის გაჩერება (მათ შორის მოსკოვში — გასტროლების დროს), მაგრამ „ძლიერსა ამა ქვეყნისას" ვინ რას შეჰედავდა (არსებობს ზემოთ დასახელებული შესრულებების ვიდეოჩანაწერები)

ასევე შეუვალი ეგონა თავი ბ-ნ ჯ. კახიძეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან დაკავშირებით, რომელთა თანდასწრებითაც საბოლოოდ გამოაშკარავდა მისი, ამჯერად უკვე როგორც მოქალაქისა და ქართველის სახე. მან თავისი ამბიციების გამო 9 აპრილის გამეორებაც კი მოინდომა, რაზეც ძალიან მწარედ დაიწერა გაზეთ „სარანგაში" (1990 წ. №2. 22.IV).

დახმა წერილში გამიზნულად აუარა გვერდი „სარანგის" ბრალდებებს, რადგან ის ფაქტები საყოველთაო რისხვას იმსახურებენ ჯ. კახიძის მიმართ, ამ შემთხვევაში კი დასი დაუპირისპირდებოდა ქართველ ერს და დამარცხება გარდუვალი იქნებოდა. ამდენად, მათ პიროვნებებთან დაპირისპირება და ცოდვილი სამხატვრო ხელმძღვანელის ამ გზით დაცვა ამჯობინეს.

ბატონი ჯანსუღ კახიძე კი, ალბათ, დიდხანს იქნება ორ უდიდეს პოსტზე სამხატვრო ხელმძღვანელად, რადგან „დაინტერესებული კოლექტივი" იცავს. საინტერესოა, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ჩვენში 30-იანი წლების დროინდელი ვითომდა ერის სასარგებლოდ მიმართული „კოლექტიური ფარსები"?! ვნახოთ!

ამ წერილში სპეციალურად არ ვამახვილებ ყურადღებას ჩემს მეგობარ კოლეგებზე — მაია თომაძესა და ალეკო ხომერიკზე, დაინტერესებული კაცის შთაბეჭდილება რომ არ დავტოვო. ერთი კი მინდა აღვნიშნო — თუ საქართველოს ეგიდით ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი" უნდა წარადგინონ საზღვარგარეთ, დანაშაულად მიმაჩნია მისი აჟღერება დღევანდელ დღეს ამ ორი მომღერლის მონაწილეობის გარეშე.

მიუხედავად ჩემი წერილის მინორული ტონალობისა, იმედი მაქვს, რომ გლობალური საკითხები ოპტიმისტურად გადაწყდება.

რევაზ ლაგვილავა,
სახელმწიფო მუსიკალური თეატრის სოლისტი,
ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის ყოფილი სოლისტი.

# მიეცი ნიჭსა გზა ფართო

დღევანდელ საქართველოში თავისუფლების სულისკვეთება ტრიალებს. ძნელი წარმოსადგენია ისეთი ქართველი, რომელსაც არ აღელვებდეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. სწორედ ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომელიც დღევანდელი კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის დოშეს.

დღეს საქართველოში ურთულესი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ძვრები მიმდინარეობს და ამას სათავეში უდგას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ყველა კარგად ვხედავთ, რომ მრავალი სასიკეთო, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ფაქტი ხდება. მაგრამ, დამაფიქრებელი და გულსატკენია, რომ ამ პროცესებს ნეგატიური მოვლენებიც ახლავს თან. საჯაროობამ გზა გაუხსნა განაწყენებულ და პატივმოყვარე ადამიანებს თავისუფალი სიტყვისა თუ ქმედებისა, ზოგჯერ დაუშვებელი ფორმებითაც კი. ამოტივტივდა ბევრი სინჯი. გაჩაღდა მტრობა და შური, ერთმანეთში აირია პირადი და ეროვნული პრობლემები.

ბოლო ხანებში ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა ჯანსუღ კახიძის წინააღმდეგ ამხედრებულ მუსიკოსთა გარკვეულმა ჯგუფმა, რომელიც დეზინფორმაციას აწვდის ეროვნულ მოძრაობაში შემავალ პარტიებსა და საზოგადოებებს.

კონფლიქტი საოპერო თეატრიდან დაიწყო და გადაიზარდა ჯანსუღ კახიძის წინააღმდეგ მიმართულ აქციებში. მას სათავეში ჩაუდგნენ ოპერის სოლისტები, საქართველოს სახალხო არტისტები მაია თომაძე და ალექსანდრე ხომერიკი. როდესაც მათი მოქმედება ჩვენც შეგვეხო, საჭიროდ ჩავთვალეთ, მთელი კოლექტივი წინ აღვუდგეთ მათ და თავი დავიცვათ.

ყველაფერი დაიწყო 1990 წლის 2 მარტს დანიშნული საქველმოქმედო კონცერტით. ამ მართლაც უდიდეს ეროვნულ საქმეს ჩვენ დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ. კონცერტში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სახელოვან მუსიკოსებს და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდს. კონცერტის ჩატარება, პირვანდელი შეთანხმების შესაბამისად, ჯანსუღ კახიძეს დაევალა. სამწუხაროდ, აუცილებელი გახდა თავის დაზღვევა და საკონცერტო ღონისძიების დაცვა მათგან, ვინც ჯანსუღ კახიძის გადაყენება დაისახა მიზნად და საკონცერტო დარბაზის დარბევითაც იმუქრებოდა. ამიტომ ჯანსუღ კახიძემ ბუნებრივად მიიჩნია და იგი არც მალავს ამას, რომ კონცერტის ასეთნაირად ჩატარების შემთხვევაში უნდა გამონახულიყო საშუალება დარბაზის დასაცავად.

ჩვენ, ორკესტრის ყველა მსახიობს, კარგად გვესმოდა ამ კონცერტის მნიშვნელობა, მისი მორალური და ეკონომიური წვლილი ეროვნულ საქმეში, მაგრამ ერთი საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის კატეგორიული და შეტევი მოთხოვნა-განცხადებების შემდეგ, ორკესტრის თითოეული წევრი თავს დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა. ჯანსუღ კახიძემ ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ კონცერტი აუცილებლად ჩატარებულიყო, თუნდაც უიმისოდ. კონცერტი ჩატარდა კიდეც ორკესტრისათვის არახელსაყრელ პირობებში. ამ საღამოს უდირიჟორა ი. ჭიაურელმა. ესაა სინამდვილე, და არა ი. აფაქიძის მიერ გაზეთ „სარანგში" გამოქვეყნებული მტკიცება, თითქოს ჯ. კახიძე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ კონცერტი არ ჩატარებულიყო. ი. აფაქიძეს სურს გააყალბოს ჭეშმარიტება და გაამტყუნოს ჯ. კახიძე. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ ჩვენ, ორკესტრის მსახიობები, ჭეშმარიტად ერთსულოვანნი და ერთგულნი ვართ ჩვენი დირიჟორისა და დიდ პატივს ვცემთ მას, როგორც ხელოვანსა და ადამიანს. უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვიცავთ ჭეშმარიტ ხელოვნებას და ჯანსუღ კახიძე სწორედ ამ ჭეშმარიტ ხელოვნებას ემსახურება.

თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი, მასში შემავალი საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი აცხადებს, რომ ჯანსუღ კახიძის, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის მოღვაწეობამ, მრავალი გამარჯვება მოუტანა ორკესტრს. ჯანსუღ კახიძემ საგრძნობლად აამაღლა ორკესტრის მხატვრული დონე. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი რეცენზიები და გამოხმაურებანი მისი დირიჟორობით ჩატარებულ ორკესტრის კონცერტებზე ჩვენთან თუ საზღვარგარეთ. ჯანსუღ კახიძემ რეპერტუარი გაამდიდრა კლასიკური, ეროვნული, თანამედროვე ნაწარმოებებით, ქართული მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება ფართოდ გაიტანა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ბევრი ქართველი დირიჟორი და შემსრულებელი მჭიდროდ თანამშრომლობს ორკესტრთან და თითქმის ყველა რიგიანი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებს ვასრულებთ. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დიდი ავტორიტეტის მოპოვება ჯანსუღ კახიძის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. მისი სახელი, როგორც დირიჟორისა და მუსიკოსის, დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. მას დღეს საქართველოში არ ჰყავს შემცვლელი, ეს არის ჩვენი მტკიცე აზრი.

რაც შეეხება ჯანსუღ კახიძის „არაეროვნულ რელსებზე" დადგომის პრობლემას: ის გახლავთ პირველი ქართველი დირიჟორი, რომელმაც საზღვარგარეთ, კერძოდ პოლონეთში, განახორციელა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „აბესალომ და ეთერის" დადგმა. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც საკავშირო დიქტატს დააღწია თავი ჩვენს კოლექტივთან ერთად. დღეს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს აქვს თავისი სახლი — თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი, სიმფონიური და კამერული მუსიკის შესანიშნავი დარბაზით. ასეთი ბინა ძალზედ ცოტა ორკესტრს თუ მოეპოვება მსოფლიოში. ყოველივე ეს ჯანსუღ კახიძის უდიდესი ენთუზიაზმისა და ძალისხმევის შედეგია. ეს შესანიშნავი შენობა ემსახურება ქართველ ერს, მისი მუსიკალური კულტურის განვითარებას.

როდესაც ი. აფაქიძე ხაზს უსვამს ჯანსუღ კახიძის მიერ „ქართული მუსიკალური კულტურის ფეხქვეშ გათელვას", მას ავიწყდება ჯანსუღ კახიძის წვლილი ქართული ხალხური საშემსრულებლო ხელოვნების ტრადიციების განვითარებაში. მის მიერ ჩამოყალიბებული „შვიდკაცა" მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მუსიკალურ სამყაროში. ამ ფაქტმა დიდად განაპირობა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ტრიუმფალური სვლა მსოფლიო ასპარეზზე. ჯანსუღ კახიძის სიმღერები, მისივე შესრულებით, დღეს ამშვენებენ ბევრ ქართულ მხატვრულ და ნახატ ფილმებს.

წლების მანძილზე ჯ. კახიძე ატარებდა ლექცია-კონცერტებს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის, ზრდიდა მათში მომავალ მსმენელს, არჩევდა სადირიჟორო მონაცემების მქონე ბავშვებს, უნერგავდა მათ მუსიკისადმი დიდ სიყვარულს.

9 აპრილის ტრაგედიამ შეძრა მთელი საქართველო. ამ პერიოდში ჯანსუღ კახიძე საგასტროლოდ იმყოფებოდა საზღვარგარეთ. 10 აპრილს ბუდაპეშტში კონცერტის დაწყების წინ მან ფეხზე დააყენა მთელი დარბაზი, რათა პატივი მიეგოთ დაღუპულთა ხსოვნისათვის. ჩამოსვლისთანავე, 12 აპრილს, მან გადაწყვიტა საქმით დაემტკიცებინა ამ ტრაგედიისადმი თავისი დამოკიდებულება. მოხსნა საკმაოდ პრესტიჟული სიმფონიური და კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი და ერთ-ერთმა პირველმა ჩაატარა სიმფონიური მუსიკის ახლად გახსნილ დარბაზში 9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო კონცერტები.

თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი და მასში შემავალი საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი აცხადებს პროტესტს 1990 წლის 22 აპრილს გაზეთ „სარანგში" გამოქვეყნებული პუბლიკაციის გამო და კატეგორიულად მოითხოვს: შეწყდეს ჯანსუღ კახიძის დევნა! ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ყველაფერი ვიღონოთ ჩვენი ადამიანური და პროფესიული უფლებების დასაცავად.

რაც შეეხება ჯანსუღ კახიძისათვის და საერთოდ, ყველა ჩვენთაგანისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ ადამიანურ სისუსტესა და ხარვეზს, მათი დაძლევა ადვილია, თუ სათანადო ტაქტით მივუდგებით ერთმანეთს, თუ ჩვენი მცდელობის საფუძველი ყოველთვის კეთილმოსურნეობა და ქართულ მუსიკაზე ჭეშმარიტი ზრუნვა იქნება.

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს" ჰქვია ი. აფაქიძის პუბლიკაციას. დიახ, სწორედ მისმა საქმეებმა გამოაჩინა ჯანსუღ კახიძე ერის წინაშე და კიდევაც გამოაჩენს. თუ ჩვენ, ქართველებმა, ერთმანეთისაკენ ვერ ვიპოვეთ გზა, ვერ გავიტანეთ ერთმანეთი, არ ვიქენით ერთსულოვანნი, განა სხვა ერის წარმომადგენელი დაგვინდობს? განა დავადგებით ჩვენ ტაძრისაკენ მიმავალ გზას, რომელსაც თავისუფლება ჰქვია? დავუფიქრდეთ ყოველივე ამას, არ დავკარგოთ ჩვენი სახელო მამულიშვილები, რომლებიც დღეს ასე სჭირდება საქართველოს. უმჯობესია, ყველამ მაღალპროფესიულ დონეზე ვაკეთოთ ჩვენ-ჩვენი საქმე. მოდით, უფრო ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს სიმფონიური მუსიკის დარბაზში. მუსიკა გაგვაერთიანებს ყველას: განაწყენებულებსა და კეთილის მსურველებს, დიდსა და პატარას.

**თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი და საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი.**

**ნოდარ სირაძე, ელენე ჭოხონელიძე, მაია სიხარულიძე, მურთაზ მაჭავარიანი, მარინე ბებეშიძე.**

წერილს ხელს აწერს კიდევ 205 თანამშრომელი.

# „სოლომონ, მსაჯული მეფისა"

16 თებერვალს გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოდგენილი იქნა პრემიერა ოთარ ჩხეიძის ტრაგედიისა „სოლომონ, მსაჯული მეფისა".

პიესა დაწერილია 1978 წელს. თავის დროზე, მისი დადგმა განზრახულიც ჰქონდათ გლდანისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს, მაგრამ იმის გამო, რომ ტრაგედია პირუთვნელად და მთელი სიმწვავით აღწერს საბედისწერო ჟამს ქართველი ერის ცხოვრებაში — მეფობის გაუქმებასა და რუსთა მფლობელობის დამყარებას, ხელისუფლებამ დადგმის ნება არ დართო.

მას მერე, რაც საზოგადოებრივი ვითარება შეიცვალა, პიესა შარშან გამოქვეყნდა ალმანახ „დრამატურგიის" ფურცლებზე, წელს კი რადიოშიც გადაიცა, როგორც რადიო-სპექტაკლი.

გორის თეატრის სცენაზე პიესის დადგმა განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორმა ალექსი ჯაყელმა, მუსიკა მის მიერვეა შერჩეული, მხატვარია ვანო არჩვაძე.

სოლომონ მსაჯულის როლს განასახიერებს ოთარ ქუთათელაძე. მონაწილეობენ მსახიობები: კახა ბერიძე, ლევან ოზგებაშვილი, დარეჯან ჭამაური, ნინო ზალდასტანიშვილი, ვლადიმერ ზაჩიძე, კობა გაბეშია, ზურაბ პავლიაშვილი, მერაბ ჭანკოტაძე, გია ქოქოშვილი, სერგო ტატალაშვილი, გიორგი დენისაშვილი, ზაურ ჯულაბაშვილი, ნუკრი ასანიძე, ქიშვარდ მანველიშვილი, დიმიტრი ბოლოთაშვილი, ლარისა ჯაფარიძე, ნუნუ ზაკალაშვილი, ეკატერინე დადიანი, იამზე ცინაძე, ნათელა დოხტურიშვილი, ზათუნა ბასიშვილი, მარინე სვანიძე, მერაბ მეზურნიშვილი, გიორგი ბასიშვილი.

პრემიერამ წარმატებით ჩაიარა.

23 ივნისს სპექტაკლს წარმოადგენენ თბილისში, საქართველოს საქალაქო და სარაიონო დრამატული თეატრების მესამე ფესტივალზე.

# ნუ ვამახინჯებთ თბილისს

თბილისში, მთაწმინდაზე, კოტე მესხის ქუჩაზე (№ 29) დგას ძველი, ქართული აგურით ნაგები და კრამიტით დახურული სახლი, რომელსაც მეოცე საუკუნის ბევრი მოღვაწე ახსოვს. ლაპარაკია მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, „თეატრი და ცხოვრების“ გამომცემელ-რედაქტორის იოსებ იმედაშვილის მემორიალურ სახლზე. ხშირი სტუმრები ყოფილან ამ სახლისა ვაჟა-ფშაველა, ზაქარია ჭიჭინაძე, ივანე ჯავახიშვილი, კათოლიკოსი კალისტრატე, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვანი და სხვანი, სახინონი თუ-უჩინონი.

1983 წლის მთავრობის დადგენილებით, ეს კერძო სახლი ქალაქმა გაარემონტა და დანგრევას გადაარჩინა, შთამომავლობას შემოუნახა. სახლი ძველია, მთაწმინდისთვის ტიპიური წესით ნაგები, უკანა კედელი თითქმის სანახევროდ მიწაშია, შუქი და ჰაერი კი ოთახებში ქალაქის მხრიდან შემოდის. ძველად ასე აშენებდნენ ტერასებს — ზემო სახლი ოდნავ მაღალი იყო ქვემოზე. ახლა მდგომარეობა მკვეთრად იცვლება — სახლები იყიდება, ძველი მეპატრონენი მიდიან, ახალი მფლობელები სახლებისა კი აღარაფრად დაგიდევენ არც ტრადიციას, არც მეზობლის შეწუხებასა თუ დაჩაგვრას და მტრად მოკიდებას.

სწორედ ამ ლოგიკით იოსებ იმედაშვილის სახლის ფანჯრების წინ თბილისის არქიტექტურული სამმართველოს მიერ გაცემული ნებართვით, მეზობლის სახლის მცირე სახურავის ნაცვლად უნდა წამოიჭიმოს 825 სმ. სიმაღლის „მანსარდა“, 20 კვ. მ. ოთახით, აბაზანით და 20 კვ. მ. ვერანდით, იმედაშვილებისათვის ნაწილობრივ ჩაიკეტება სინათლისა და ჰაერის წყარო, ჩაბნელდება ისედაც ჩაბნელებული ოთახი, დამახინჯდება ხედი.

მშენებლობის ნებართვა გაიცა კერძო სახლის (ტყის შესახვევი №18) მფლობელ ე. ხალაყაძეზე იმ მომენტში, როდესაც იგი გადადიოდა კოოპერატიულ ბინაში და სახლის სახურავის გაგანიერება-აწევა და მასში ოთახის მოწყობა ხულაც არ იყო გამოწვეული საბინაო პირობების გაუმჯობესებით. რა თქმა უნდა, „პროექტიანი“ სახლი (118 კვ. მ. სასარგებლო ფართობით) უფრო ძვირად გაიყიდებოდა. ასეც მოხდა, პროექტი დამტკიცდა 1989 წელს, სახლი გაიყიდა თითქმის მაშინვე, 1990 წელს, ფაქტიურად კი გაყიდვა და პროექტირება ერთდროულად მოხდა.

იოსებ იმედაშვილის მემკვიდრეებიდან, ქეთევან და გაიოზ იმედაშვილებისგან არავის არ მიუღია ამ მშენებლობის ნებართვა, თუმცა, რაკილა სახლები ერთმანეთს ესაზღვრება (დაცილება მათ შორის სამი მეტრია, ხოლო სამზარეულოს ფანჯარა უშუალოდ ებჯინება და ვერანდა გადახცქერის მშენებარე სახურავს) — არსებული წესის მიხედვით ეს თანხმობა უნდა მიეღოთ.

აპრილის თვეში იმედაშვილების განცხადების საფუძველზე მთაწმინდის აღმასკომმა მშენებლობა შეაჩერა, მაგრამ მაისის ბოლოსთვის მშენებლობა თვითნებურად კვლავ განახლდა და ამოყვანილ იქნა „მანსარდის“ კარკასის ნაწილიც, ვერანდას გაუკეთდა მოაჯირი. ახლა მშენებლობა კვლავ შეჩერებულია.

აპრილიდანვე, შემდეგ, განმეორებით, მაისის პირველი რიცხვებიდან და მაისის ბოლო რიცხვებიდან ქალაქის მთავარი არქიტექტურული სამმართველოსთვის ცნობილი იყო იმედაშვილების საჩივარი. იყვნენ კიდეც ადგილზე, შეწუხდნენ, მაგრამ საჩივარზე უარყოფითი ან დადებითი პასუხი არავის გაუცია. სწორედ ამ სიჩუმემ წააქეზა სახლის ახლანდელი მფლობელი თვითნებურ მშენებლობაზე.

ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რის საფუძველზე დაამტკიცა ქალაქის მთავარმა არქიტექტურულმა სამმართველომ აღნიშნული პროექტი? რა უფლებით იშენებს სახლის ძველი მეპატრონის ე. ხალაყაძის პროექტით სახლის ახლანდელი მფლობელი? იმედაშვილების არაერთგზის საჩივარზე რატომ არაა გაცემული ოფიციალური პასუხი? (იმედია, პასუხზე არ იმოქმედებს ის, რომ ამ მშენებლობით დაინტერესებული პირი, არქიტექტურულ სამმართველოსთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანი, ერთ-ერთი არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელია).

მაგრამ ეს ყოველივე კერძო შემთხვევაა, ზოგადი ტენდენციის ერთი გამოვლენა.

კერძო მშენებლობის იმ ბუმში, რომელიც ახლა თბილისშია, თბილისის ისეთ რაიონს, როგორიც მთაწმინდაა, ეკარგება თავისი სახე, რადგან ვისაც როგორ მოეგუნებება და მოეხერხება, ისე აშენებს.

როგორია თბილისის არქიტექტურული სამმართველოს კონცეფცია მთაწმინდისა და საერთოდ, თბილისის ფერდობების კერძო განაშენიანებისა?

შეუძლია თუ არა ამ სამმართველოს წინ აღუდგეს თბილისის დამახინჯებას და თუ შეუძლია, რა კეთდება ამ მიმართებით?

აი, კითხვები, რომლებზეც პასუხს ელის გაზეთის მკითხველი.

**წერილებისა და ინფორმაციის განყოფილება.**

# წერილი რედაქციას



ვწუხვარ, ავადმყოფობის გამო ჩვენი სახიქადულო მწერლის გიორგი შატბერაშვილის დაბადების დღეს, მის საიუბილეო საღამოს, მის ულამაზეს მშობლიურ სოფელში ამჟამად ვერ დავესწარი. გიორგი შატბერაშვილის კიდევ ერთ ნიჭზეც მინდა მივაქციო ჩვენი მკითხველის ყურადღება, ნიჭზე, რომელიც მას საბოლოოდ ფართოდ არ გამოუმჟღავნებია: იგი შესანიშნავად კვეთდა ხეზე (როგორც მახსოვს, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ). და ეს მას მხოლოდ გასართობად მიაჩნდა; მხოლოდ სასუმარო გასართობად.

1961 წელს, პალესტინური ექსპედიციის შემდეგ გიორგი შატბერაშვილმა მიძღვნა თხილის ხისაგან გამოჭრილი გრძელი ყავარჯენი, რომელზეც შოთა რუსთაველის დიდებული სახეა გამოკვეთილი. იგი ნამდვილი ხელოვნის მარჯვენითაა შესრულებული, ხეზე მომუშავე ოსტატის ხელით. ყავარჯენზე ასეთი წარწერაა: „ქ... ირაკლი აბაშიძისთვის შოთას დიდებული სახის ამგვარად დამხატავს გიორგი შატბერაშვილს შეუნდოს ღმერთმან, ამინ! 1961 წლის იანვრის 29-ს. თბილისი“.

თუ ოდესმე ჩვენში სადმე გაჩნდება გიორგი შატბერაშვილის მუზეუმი, რისი ღირსიც იგი ნამდვილად არის, ამ მუზეუმს ეს ყავარჯენიც გადაეცემა ჩვენი ერთად გატარებული ახალგაზრდობის წლების მოგონებებთან ერთად.

**ირაკლი აბაშიძე**
1990. VI.







# ორი ლატვიური გაზეთი

ამ დღეებში თბილისში გაიყიდება ორი ლატვიური გაზეთი — ლატვიის კულტურის ფონდისა და რუსული კულტურის ლატვიური საზოგადოების გაზეთი „ვჩერა ი ზავტრა“ და „სოვერშენნო ოტკროვენნო“ (№4, 1990), რომლებიც გამოსცა ლატვიის მწერალთა კავშირის დეტექტური და პოლიტიკური ჟანრის ავტორთა ასოციაციამ.

„ვჩერა ი ზავტრა“ მკითხველს სთავაზობს მასალებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, აქვეა წერილები განათლების საკითხებზე, გამოქვეყნებულია ნაწყვეტები ელენე რერიხის წერილებიდან, რომან ტიმენჩიკის „ვსევოლოდ მეიერჰოლდის ზაფხული მელუჟში“. რუბრიკით „რუსი ემიგრანტი პოეტები“ იბეჭდება ალა გოლოვინას ლექსები. ნომერში მკითხველი კიდევ ბევრ საინტერესო მასალას წაიკითხავს.

„სოვერშენნო ოტკროვენნო“ პუბლიცისტური გაზეთია. აქ დაბეჭდილი მასალები მოგვითხრობს სოციალურ პრობლემებზე, თვითმკვლელობებზე, დანაშაულობებზე, მილიციის მუშაობაზე. რუბრიკით „არქივებიდან“ იბეჭდება კომინტერნის კურსების მსმენელის მოგონებები, რომელსაც ერთვის ისტორიკოს ბონიფაციუს დაუკშტსის კომენტარი. ამავე ნომერში მკითხველი გაეცნობა ვლადიმირ კაიაკის დეტექტურ მოთხრობას „ნავი“, რომელიც ლატვიურიდანაა თარგმნილი.

### შეცდომის გასწორება

15 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში „ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარი“ ტექნიკური მიზეზებით დაშვებულია უზუსტობა. გამორჩენილია სემინარის მონაწილე, — გაზეთ „ოქროს საწმისის“ რედაქტორი, პოეტი ჯანო ჯანელიძე.

### განცხადება

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მიმდინარეობს ფონდსაცავების რეკონსტრუქცია და მისი შიგა საფონდო სამუშაოები, რის გამოც, დროებით, რეკონსტრუქციის დამთავრებამდე, შეწყვეტილია ფონდებში დაცული მასალებით დაინტერესებულ პირთა მომსახურება.

საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირისა და ჟურნალ „ნაკადულის“

# კ ო ნ კ უ რ ს ი

საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირი და ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქცია აცხადებენ კონკურსს საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებებზე, რომლებიც გამიზნულია მოზარდი თაობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის, მასში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, სწავლისა და შრომის ჩვევების, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისათვის, მშობლიური ქვეყნის წარსულის, წინაპრების, უფროსი თაობის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობის გაღვივება-გაღრმავებისათვის.

მიიღება მხატვრული ნაწარმოებები — მოთხრობები, პიესები, პოემები, ლექსები (პროზაული ნაწარმოებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 საავტორო თაბახს, პიესისა — 2 მოქმედებას, პოემის ან ლექსების ციკლისა — 300 სტრიქონს).

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

**ერთი პირველი პრემია — 500 მანეთის ოდენობით;**
**ორი მეორე პრემია — თითოეული 300 მანეთის ოდენობით;**
**ორი მესამე პრემია — თითოეული 200 მანეთის ოდენობით;**
**ორი წამახალისებელი პრემია — თითოეული 100 მანეთის ოდენობით.**

კონკურსი დახურულია. მასალები უნდა გადაიბეჭდოს ორი ინტერვალით და გამოიგზავნოს ორ ცალად, დევიზით; ცალკე კონვერტში ამავე დევიზით აღინიშნოს ავტორის ვინაობა და მისამართი.

პრემირებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „ნაკადულში“ და დაიბეჭდება ცალკე წიგნად „ნაკადულის“ ბიბლიოთეკის“ სერიით.

საკონკურსო მასალების მიღება მთავრდება 1990 წლის 31 ოქტომბერს. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 1 დეკემბრისათვის.

მასალები მიიღება მისამართით: **თბილისი, 380096, ბელინსკის 2, ჟურნალი „ნაკადული“. კონკურსისათვის.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს პოეტ მალხაზ მაჭავარიანს მეუღლის

**ნინო ბოჭორაძე-მაჭავარიანის**

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი **ელიზბარ ჯაველიძე**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.**

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი.**



რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით